


ՎՈՐԱՎԻՐ
1852

N1 2023

Հ. ՎՈՐԱՎԻՐ





№ 1 // 2023

ლიცეუმი –
სამთავრობო კულტურული
და სპორტული ცენტრი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიშვილი

კომიტეტის უზრუნველყოფა
მარინე სიმაშვილი

ამინისტრი გამოიცის
საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის

სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

სარჩევი

რეფუზორის გვერდი		დოკუმენტი	
ამირან გომართელი „კრინისის ველი და თებერვალი“	3	გიორგი შერვაშიძე მეორედ მოსვლისას	58
პოეზია		ახალი თარგმანი	
ია ხასაია	8	კენ ლიუ	72
ანა სისვაძე	14	ქალალდის სამხეცე ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა	
პროზა		ზახარ პრილეპინი	83
დათია ბადალაშვილი ევა, იანვარა და იასამანი	20	მკვლელი და მისი პატარა მეგობარი რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილმა	
ბესო ხვედელიძე	27		
ინფიცირება			
ჟოზენი-ესეისტიკა			
თამარ გელიტაშვილი ცუდი ბიჭების ომობანა	40		

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>



ამირან გომართელი

„...პრანის ველი და თაბარვალი“

1985 წლის აგვისტოში უცნაური რამ მოხდა. გამომცემლობა „მერანის“ გრიფით დაბეჭდილ კრებულში – „პოეტის ათასი სტრიქონი“ – კოლაუ ნადირაძის ანტისაბჭოთა ლექსი გამოქვეყნდა. აღნიშნულ წიგნს რეალურად კომერციული დანიშნულება ჰქონდა. იმ წლებში წიგნები უზარმაზარი ტირაჟით იქცებოდა, თუმც მათი შოვნა მაინც ჭირდა, ხალხი ჩეხურ-რუმინული წარმოების თაროებს ავსებდა, რომლის შოვნაც საბჭოთა ეპოქაში ასევე დიდ მარიფათს მოითხოვდა.

გამომცემლებმა კრებულის დიზაინ-ზეც იზრუნეს და წიგნში ხელნაწერების ჩართვა გადაწყვიტეს. ასე აღმოჩნდა წიგნში ხელნაწერი კოლაუ ნადირაძის ანტისაბჭოთა ლექსისა, რომელშიც თბილისის ოკუპაცია, 1921 წლის 25 თებერვლის ავტედითი დღეა აღნერილი. ამ ლექსზე უამრავი რამ დაინერა, თუმც სიმართლე იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ლექსი კრებულში, ბოლომდე არ თქმულა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ლექსი კრებულში გამომცმლობის თანამშრომელთა დაუდევრობის გამო გაიპარა. ერთი სიტყვით, ცნობილი ფილმის – „ცისფერი მთების“ – ანალოგიური ვარიანტი გათამაშდა – ლექსი არავინ წაიკითხა. ამ ამბავს 1990 წლის გაზეთ „მა-

მულში“ იუმორით გაჯერებული წერილი მიუძღვნა წიგნის რედაქტორმა ლეილა ბეროშვილმა. ლეილამ პატიოსნად დანერა, თუ სტილისტ-კორექტორიდან მოყოლებული, მთავარი რედაქტორისა და ავტორის ჩათვლით ყველამ როგორ უარყო რაიმე კავშირი ამ ლექსთან. უკვე ოცდამეერთე საუკუნეში, თორმეტიოდე წლის წინ „ლიტერატურულ გაზეთში“ ისიც დაინერა, თითქოს ანტისაბჭოთა ლექსი გამომცემლებმა შეგნებულად განათავსეს კრებულში. წერილი მთავლიტის ყოფილი თანამშრომლის მარო არუცევა-აბრამიას გარდაცვალებას ეძღვნებოდა, რომელიც ამ წიგნში გაპარული კოლაუ ნადირაძის ლექსის გამო დაითხოვეს სამსახურიდან. საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს მთავარმა რედაქტორმა და ცენზურის თანამშრომელმა შეგნებულად დახუჭეს თვალი ანტისაბჭოთა ლექსზე, რაც სინამდვილეს აშკარად არ შეესაბამება. ვიმეორებ, ლექსი მხოლოდ და მხოლოდ გამომცემლობის მუშაკთა დაუდევრობის გამო აღმოჩნდა წიგნში.

... და მაინც, სიმართლე ბოლომდე არ თქმულა. არ თქმულა, თუ როგორ აიდგა ლექსმა ფეხი და როგორ აღმოჩნდა ლიტერატურის მუზეუმის საცავიდან წიგნში – „პოეტის ათასი სტრიქონი“?! ინტერნეტში განთავსებულია ამონარი-

დი ლეილა ბეროშვილის წერილიდან, სადაც ასეთი რამ წერია – „გოგი წერეთელმა წიგნის გაფორმება ავტოგრაფებით გადაწყვიტა და ლიტერატურულ მუზეუმს ეწვია. არქივის ხელმძღვანელი გურამ ვანიძე ენდო სიტყვას, „25 თებერვალი“ (ამის გამო სამსახურიდანაც გაათავისუფლეს და პარტიიდანაც გარიცხეს) და სხვა ავტოგრაფებთან ერთად გამოატანა.“

ლეილა ბეროშვილის მოგონებაში რამდენიმე სამწუხარო უზუსტობაა. პირველი: გურამ ვანიძე პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა და ბუნებრივია, ვერც ვერსაიდან გარიცხავდნენ. მეორე: არც სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. მესამე: არასწორია ისიც, თითქოს გურამ ვანიძე შეაცდინა სიტყვამ „25 თებერვალი“. აქ ერთადერთი სიმართლე ის არის, რომ ფოტოგრაფს შალვა დემეტრაძის არქივში დაცული კოლაჟ ნადირაძის ხელნაწერი გურამ ვანიძემ მიაწოდა. მან, „მერანის“ თანამშრომლებისაგან განსხვავებით, კარგად იცოდა ამ ანტისაბჭოთა ლექსის შინაარსი, სხვაგვარად კოლაჟ ნადირაძის ხელნაწერის ქებნას შალვა დემეტრაძის არქივში არ დაიწყებდა. ფოტოგრაფმა აპარატი ისე ჩააჩხაკუნა, რომ ტექსტით არ დაინტერესებულა. გურამ ვანიძე იმ დროს ფონდების მთავარ მცველად მუშაობდა და საზოგადოებაში კარგად იყო ცნობილი მისი დისიდენტური განწყობა. მახსოვს, როგორ გვეხმარებოდა გურამ ვანიძე აკაკი ბაქრაძეს და მე პავლე ინგოროვას ოჯახის დაყოლიერაში, რათა გაეპროტესტებინათ ხელისუფლების ქმედება, არ დაეშვათ პავლე ინგოროვას საბუთების მიღება აკადემიკოსის ვაკანტურ ადგილზე. ამის თაობაზე საგანგებო წერილი მაქს გამოქვეყნებული ჟურნალ „ცისკრის“ 2013 წლის საიტილეო კრებულში სათაურით – „ნარსული ჰკივის თავდავინებით“. გურამ ვანიძე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ჯგუფის წევრი იყო. ამას წინათ კონსტანტინე გამსახურდია უმცროსმაც მოიხსენია იგი ზვიადის გარშემო შემოკრებილ დისიდენტთა შორის.

ამდენად, ლექსმა დღის სინათლე

გურამ ვანიძის გააზრებული ქმედების შედეგად იხილა. მან შეგნებულად გადააღებინა ხელნაწერი ფოტოგრაფს, მაგრამ შემდგომში, როცა მოვლენები მძიმედ განვითარდა, კიდევაც რომ ეღიარებინა საკუთარი ქმედება, ვეღარავის უშველიდა, მანც ყველას დაითხოვდნენ სამსახურიდან. გურამ ვანიძის მიზანი ცხრაკლიტურში გამოკეტილი ანტისაბჭოთა ლექსის გავრცელება იყო. კომუნისტების ეპოქაში არაერთი ლექსი გავრცელებულა ასე – ხელნაწერის სახით. მაგალისათვის, რუსული პოეზიიდან შეიძლება მანდელშტამის ლექსის დასახელება სტალინის ფართო, ოსურ გულმკერდზე. კიდევ უფრო უარესია ჩვენი გაბრიელ ჯაბუშანურის ინვექტივა იმავე სტალინზე. ასევე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა მუხრან მაჭავარიანის მიერ 1964 წლის გაზაფხულზე თბილის უნივერსიტეტში წაკითხული სამი ანტისაბჭოთა ლექსი („ახლა კი დროა, სოლომონ, რომა კვლავ დაიქუხოს საქართველომა“ და სხვა). ასევე ხელნაწერის სახით გავრცელდა მიხეილ ქვლივიძის პოეტური გაპაექტება ირაკლი აბაშიძესთან: „მაშ შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს, /არ გაქცევია სამშობლოდან სულთამბუთავებს...“

და, მაინც... საკითხავია, „მერანის“ თანამშრომელთაგან რატომ არავინ დაინტერესდა შინაარსით ლექსისა – „25 თებერვალი“. ამ სათაურს მინიმუმ სამმა ადამიანმა ხომ მაინც დახედა – ფოტოგრაფმა, მხატვარმა და წიგნის რედაქტორმა. ჩემი აზრით, ლექსის წაუკითხაობის მიზეზი სწორედ მისი სათაურია – „25 თებერვალი“ და, ამდენად, თვალსაზრისი, რომ გურამ ვანიძე ლექსის სათაურმა შეაცდინაო, არასწორია. პირიქით, აღნიშნულმა სათაურმა სწორედ წიგნის მხატვარი და რედაქტორი შეიყვანა შეცდომაში.

25 თებერვალი კომუნისტური პროპაგანდისთვის საქართველოს გასაბჭოებასთან, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ბედნიერ მომავალთან ასოცირდებოდა. მეტიც, საერთოდ თებერვლის თვე განახლება-აღორძინების სიმბოლოდ აქციეს: ინერებოდა ლექსები, მოთხოვობე-

ბი და რომანებიც კი, სადაც თებერვალი ფიგურირებდა, როგორც ბეჭნიერების ნიშანსვეტი. კიდევ უფრო უარესი: ხალხურ ლექსს – „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გადგაო“ – საქართველოს გასაბჭოებას – ახალი ცხოვრების დაწყებასა და სიცოცხლის განახლებას უკავშირებდნენ. ამიტომ დაარქვა ერთ დროს გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მთავარმა რედაქტორმა, გრიგოლ ჩიქოვანმა საბჭოურ ოპუსს, საკუთარ რომანს – „თებერვალო დადგაო“.

ასეთი საბედისნერო როლი ითამაშა ლექსის სათაურმა – „25 თებერვალი“ – „მერანის“ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის საქმეში.

აქვე მინდა გამოვეხმაურო ლეილა ბეროშვილის ვაჟის, ბექა ქურხულის კომენტარს: „მაშინდელი მწერლების კაი დიდი ნაწილის საქციელი უნდა გენახათ: ცნობილი ალექსი ინაურიც მოინვიეს, რომელიც კოლაუ ნადირაძისა არ იყოს, კაი მოხუცი იყო, ამბავმაც დიდად ვერ დააინტერესა და ჩასთვლიმა. გამოაღვიძა აღშფოთებული მწერლების შეძანილმა: ამხანაგი ბეროშვილი დასასჯელია, ამხანაგი ბეროშვილი გასაკიცხია, ამხანაგი ბეროშვილი დასაჭერია და ა.შ. შეხედა ასე ანურულ დედას, რომელიც მაშინ 35 წლის გოგო იყო და მერე აუიტირებულ და აღშფოთებულ მწერლებს მოავლო თვალი და: კიდევ კაი ამხანაგს მაინც ეძახით თქვენი დედა ვატირე მეო და ასე ნამძინარევი წავიდა კარისკენ... ხრუშჩოვი ჰყავდა 1964 წლის შემოდგომაზე, ბიჭვინთაში აყვანილი, კოლაუ ნადირაძე, დედაჩემი და ეს ჩვენი შეშინებული მწერლები უნდოდა ეხლა?..“. ალნიშნული კომენტარი, მიუხედავად ბექას მწერლური ნიჭისადმი ჩემი პატივისცემისა, სინამდვილეს არ შეესაბამება – უფრო ბელეტრისტიკის სფეროს განეკუთვნება. არავითარი კრება და ინაურის მისვლა-მოსვლა არ ყოფილა, არც ლეილას დასჯა მოუთხოვია ვინმეს. პირიქით, გათავისუფლებული ხუთი თუ ექვსი ადამიანიდან ყველაზე ადრე ლეილა ბეროშვილს უშოვეს სამსახური. ორ ლეილას გაუცვალეს ადგილები – ლე-

ილა მესხი „თეატრალური საზოგადოებიდან“ „მერანში“ გადმოიყვანეს და მის ადგილზე ლეილა ბეროშვილი დაბიშნეს. როგორც მახსოვს, ეს ადგილმონაცვლება მანანა სანადირაძემ მოიფიქრა და არავინ ამის წინააღმდევ არ წასულა.

მე ამ ამბების მომსწრე იმ შემთხვევის გამო გავხდი, რომ იმხანად მერანში ჩემი წიგნი „ჭირთა თქმა“ იბეჭდებოდა. ერთ დილას „მერანში“ მისულს გულშემოყრილი თანამშრომლები დამხვდნენ. მამუკა წიკლაურმა მითხრა – მხატვრებით დაწყებული, რედაქტორებისა და ხელმძღვანელობის ჩათვლით, გუშინ ყველანი გაგვათავისუფლესო. მეორე დღეს გამოირკვა, რომ მხოლოდ გამომცემლობის დირექტორი, გურამ გვერდწითელი დატოვეს თანამდებობაზე.

არ დავმალავ, მე ჩემი საწუხარი მქონდა. როგორც მოგახსენეთ, ჩემი წიგნის სახელწოდება „ჭირთა თქმა“ იყო, რედაქტორი კი – აკაკი ბაქრაძე. წიგნში რამდენიმე წერილი იყო, რომლის ანტისაბჭოთა განწყობა ძნელი მისახვედრი არ იყო. გურამ გვერდწითელმა და მამუკა წიკლაურმა (რომელიც ჯერ კიდევ დადიოდა სამსახურში) მითხრეს, ვერც „ჭირთა თქმას“ დავტოვებთ სათაურად და ვერც აკაკი ბაქრაძეს – რედაქტორადო. აკაკი ბაქრაძეს რედაქტორობა არაფერში სჭირდებოდა, ეს ჩემთვის იყო პატივი, წიგნს მისი სახელი და გვარი რომ სწერებოდა, მაგრამ მაინც გავჯიუტდი. მახსოვს, ამ დროს მთავლიტიდან დაბრუნებული ელდარ კერძევაძე შემოვიდა – ჩემი კრებულიდან ათი ლექსი ამომიყარეს, ოცდაათი გვერდი ამოიღესო. როცა მიზეზი ვკითხეთ, სიმწრის სიცილით თქვა – სადაც ნახეს წვიმს და ცუდ ხასიათზე ვარ, ყველა ლექსი ამოაგდეს. ჩემს გაჯიუტებას აზრი აღარ ჰქონდა. სათაურის საკითხის მოგვარებაში ტაგუ მებურიშვილი დაგვეხმარა. ასე დაარქვით – „ჭირთა თქმა სჯობს“. ხომ არის ნათქვამი „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!“ ეს ამ ფრაზის ვარიაციაა, ასე გავამართლოთ. ეს აზრი მისაღებად ჩავთვალე. რაც შეეხება რედაქტორობას, გადაწყდა – წიგნის რედაქტორად

მანანა სანადირაძის სახელი და გვარი დაგვეწერა, რომელმაც მართლაც დიდი ამაგი დასდო ჩემს წიგნს, ფაქტობრივად, ის წიგნის სტილისტიც იყო, კორექტორიცა და რედაქტორიც. მერე მე და მანანა კიდევ ერთი კვირა მოვუნდით ამ წიგნის ცენზურიდან დახსნას. ამაზეც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა რაც საბჭოთა იდეოლოგიისა და ცენზურის სიბრიყვის კიდევ ერთი მაგალითია. კოლაუნადირაძის ლექსით დაშინებულები, მთავლიობში, როგორც ჩანს, ქართველ თანამშრომლებს აღარ ენდობოდნენ და ჩემი წიგნი ნებართვის მისაღებად გადასცეს კაცს, რომელიც გვარით კი ქართველი იყო, მაგრამ ქართული ხეირიანად არ იცოდა.

1985 წელი ის პერიოდია, როცა მკითხველმაც ისნავლა სტრიქონებს შორის კითხვა და მნერლებმაც, მათ შორის ჩვენც, კრიტიკოსებმა, ვისნავლეთ მკითხველისათვის აზრის ისე მიწოდება, რომ პირდაპირი სამხილი არ მიგვეცა ცენზურისათვის. თუ თავისქებაში არ ჩამითვლით, ამგვარი ანტისაბჭოთა სულისკვეთებით არის გამსჭვალული ჩემი წიგნის წერილების უმრავლესობა, მაგრამ ქვეტექსტისა და სტრიქონებს შორის მოქცეული აზრის ამოკითხვა ქართულის ცუდად მცოდნე ცენზორისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, არადა, სათაურში ნახსენებმა „ჭირთა თქმაში“ დიდად შეაფიქრიანა და რუსი ფილოსოფოსების – ვლადიმერ სოლოვიონისა და ნიკოლოზ ბერდიაუვის რუსულ ციტატებს ჩაეჭიდა. წიგნის რედაქტორი მანანა სანადირაძე და მე ერთ კვირაში ბარე სამჯერ დაგვიბარა. მეორე მისვლაზე გვითხრა, ეს სოლოვიონი რელიგიური ფილოსოფოსი ყოფილა, ბერდიაუვი კი – ემიგრანტი. აქ კი მანანამ და მე შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან წიგნში სხვა, იდეურად მიუღებელი ვერაფერი ნახა. მე ვუთხარი, ბერდიაუვსა და სოლოვიოვზე საბჭოთა კავშირში დისერტაციებს იცავენ, მათ შორის, საქართველოშიც. ხვალვე მოგიტანთ შესაბამის ავტორეფერატებს და დაგიმტკიცებთ, რომ ისინი ჩვენთან აკრძალული არ არიან-მეთქი. მეორე დღეს

კიდევ ერთხელ ვეახელით მე და მანანა და მივუტანეთ არჩილ ბაქრაძის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი ვლადიმერ სოლოვიოვზე და ხვთისო გოგოჭურისა – ნიკოლოზ ბერდიაუვზე. მაშინ ამ რუსაპეტა ცენზორმა დაარტყა ბეჭედი და მოაწერა ხელი, ანაწყობები კი მანანას გადასცა. გახარებული მანანა მეოთხე სართულიდან ისეთი სისწაფით დაემვა, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე ძლივს დავეწიე.

●

უცნაური რამ იყო საბჭოთა ცენზურა, ძირითადად უნიჭო და უინტელექტური ხალხით იყო დაკომპლექტებული, ამიტომაც ხან ისეთი რამეს გაუშვებდნენ, გაოცდებოდი კაცი. მაგალითად, სამოცდაათი წელი კრებულიდან კრებულში გადადიოდა გიორგი ლეონიძის ლექსი „საქართველო“. ეს ლექსიც 1921 წლის ოკუპაციის თემას შეეხება და კოლაუნადირაძის ლექსზე არანაკლები ანტისაბჭოური განწყობილებისაა. გიორგი ლეონიძის ლექსი პირველად 1922 წელს გამოქვეყნდა „ცისფერყანწელთა“ გაზითში „ბარრიკადი“ (რედაქტორი ტიციან ტაბიძე). თებერვლის ამ სევდიან დღეებში, ვფიქრობ, უპრიანია მისი კიდევ ერთხელ გახსენება:

საქართვალო

შენ ფიროსმანის შვიდლარიან
მარნებში გხედავ,
გადაპოხილა შენი მკერდი,
როგორც სარწყავი.
სისხლის საპალნით დატვირთულო,
ვინ დაგიხვეტა
ბრგე თეძოები ბელტებივით
დასაფარცხავი.
ტანი ყამირი, როგორც ხმალი,
ელავს ჩამდგარი,
ვინ დაჩიქმული ჩემი სული შხამებს
დარია.
აქაფებულა შუალამე, როგორც
ჯაგარი:
ვილამ დაიდგნოს, ვინ შაებას
კარად დარიალს.

ტაძარს ალავერდს შემოაფრენს
ტალღას მორევი
დგანან უზანგში ღვთისმშობელი
და მოურავი,
რკინის პალოზე გადავარდნილს
ვხედავ ხანძარებს

მოდის შამქორი. სოლანლული.

დროშების მტვერი.
ზურნით ფალანგებს მოუძღვება
კონდოტიერი
და შენი სისხლი გაჭედილი შიშით
ზანზარებს.

1922 წ.

გარდა იმისა, რომ ამ ლექსში არის „სისხლის საპალნით დატვირთული“ „დაჩერემილი სული“, „დარიალის კარის“ დახურვის მცდელობაც, რამაც არ შეიძლება არ გაგვახსენოს ამავე თემაზე დაწერილი ჩვენი დიდებული ენათმეცნიერის, აკაკი შანიძის ლექსის სტრიქონი – „ნუ, ნუ აღებ დარიალსა“. რაც მთავარია, გიორგი ლეონიძის ლექსში პირდაპირი მინიშნებაა სერგო ორჯონიკიძეზე – „ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი“. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის „შიშით აზანზარებული, სისხლით გაჭედილი“ ქვეყნის, „დროშების მტვერის“, „სოლანლულისა“ და „შამქორის“ ხსენება. პირველად 1920 წლის პრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში მოადგა სერგო ორჯონიკიძე შამქორის გზით ფოილოს ხიდს რუსული არმიით, ოლონდ მაშინ საქართველოში შემოჭრა გადაიდო, რადგან ბოლშევიკებმა საჭიროდ ჩათვალეს გაეთამაშებინათ ფარსი – საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. შვიდ მაისს ასეთი ხელშეკრულება მართლაც დაიდო, ოლონდ ათი თვის შემდეგ 1921 წლის თებერვალში სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან კოჯორ-ტაბახმელისა და სოლანლულის გავლით ისევ შემოუტიეს თბილის. 25 თებერვალს უსამშობლო კონდოტიერმა ბაქოდან დეპეშით კრემლს თბილისის აღება უპატაკა.

...და მაინც, როგორლა აიხსნება ის ფაქტი, გიორგი ლეონიძის აშკარად ან-

ტისაბჭოთა ლექსი გამუდმებით რომ ქვეყნდებოდა სამოცდაათი წლის მანძილზე, როგორლა გადაჰქონდათ პოეტის ერთი კრებულიდან მეორეში?! ჩემი აზრით, აქ ცოტა სხვაგვარად იყო საქმე. რა თქმა უნდა, საბჭოთა ცენზორთა სიბრივესა და მიუხვედრელობასაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ დაბეზღებით მაინც როგორ არავინ დააბეზღა ლექსიცა და მისი ავტორიც, როცა იმ პერიოდში დამშებლებლები ბლომად იყვნენ, იმაზე გაცილებით მეტნი, ვიდრე დღეს არიან წარსულის მოღვაწეთა შეურაცხმყოფელი და მათი ავტორიტეტის დაკნინების სურვილით შეპყრობილ-აუიტირებული ნეობოლშევიკი-ფსევდოლიბერალები. როგორ ის მაინც არავინ თქვა, ლეონიძე სერგო ორჯონიკიძეს გულისხმობს იმ კონდოტიერში, შამქორიდან სოლანლულისკენ მტრის ფალანგებს ზურნა-დუდუკით რომ მოუძღვებაო. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე ისეა, როგორც ერთ ებრაულ ანეგდოტში: „ჩეკაში ამბავი მიიტანეს: მოშემ თქვა, ეგ საკუთარი ჩიბუხივით მყრალი კაციო. წაავლეს ხელი ჩეკისტებმა საბრალო მოშეს და სტალინთან მიიყვანეს, მოახსენეს ბელადს – ასე და ასე თქვაო. ვიზე თქვიო? – კითხა დიდმა ბელადმა, მარკ ტვენზეო – უპასუხა მოშემ. რას ერჩითო?! – სტალინმა და გააშვებინა, მერე იმ ორ ჩეკისტს მიუბრუნდა – თქვენ ვინ იგულისხმეთო? მიტკლის ფერი დაედოთ საცოდავებს, მიხვდნენ, რომ თავი ხაფანგში გაყვეს. ამგვარი ხაფანგის შიშმა იხსნა დამბეზღებლებისგან გიორგი ლეონიძე.

1921 წლის თებერვალი თავისი ავბედითობით კრნანისის ომის ტრაგედიას უტოლდება. ეს ვითარება ზუსტად არის გამოხატული ალექსანდრე აბაშელის სტრიქონებით:

„და ერის ტანჯვის გამომხატველი,
იზრდება გულში ორი მწვერვალი....
ერთი ნალველის ორი სახელი –
კრნანისის ველი და თებერვალი“.

თებერვალი
2023 წ.



ია ხასანა

●

რომელს ვესტუმრო?
 ლხინის სახლს თუ მწუხარებისას?
 მელოდებიან, გვერდიგვერდ დგანან,
 მოდი, ჯერ ლხინის სახლს ვესტუმრები, –
 გავიფიქრე და გავემართე,
 ცარიელი დამიხვდა სახლი,
 არსად იყო ლხინისუფალი...
 დამლანდეს ფანჯრისთვალებიდან
 ჭირის სახლის
 მომლოდინე ჭირისუფლებმა...
 და ვიდრე ლხინის სახლის ზღურბლთან ვიდექი,
 ჩამომწკრივდნენ და დავინახე
 ან უფრო სწორად, დამანახა მთვარის სინათლემ,
 დახრილ თვალებით
 ჭირის სახლში ვერდალვრილ ცრემლებს
 ლხინის სახლისკენ
 როგორ ფრთხილად მოაგორებდნენ...

●

ცდილობდა შაშვი,
 შენს სივრცეში მოფრენილიყო...
 მაგრამ შეასკდა
 ფრთებით ვიტრაჟს –
 ლამაზ სიცრუეს...
 და ყოველივე ამის შემდეგ
 გინდაც მოხდეს სასწაული,
 ჩიტად იქცე და მის გვერდით
 დაიწყო ფრენა,
 რატომ გგონია,
 რომ დაგიჯერებს?!..

მდგმურები

გარეთ გამოსული ისინი არავის უნახავს...
 მათ ნაცვლად სახლიდან
 საქმევლის სუნი გამოდიოდა...
 ოდნავ შეღებული კარებიდან
 (ალბათ, მიცვალებულთა სულებისათვის, საკურთხობის
 დღეებში)

ჩანდა მაგიდის, მაქმანიანი გადასაფარებლის კუთხე
 და ლარნაკი ყვავილებით,
 რომელიც გაშეშებულ შადრევანს ჰგავდა...
 სახელიც კი დაგვვიწყებოდა მეზობლებს
 ამ ორი ხანდაზმული დის,
 რადგან მუდამ მდგმურებად მოვიხსენიებდით.
 მოწყალების მთხოვნელი დააკაკუნებდა მათ კარებზე
 თუ საარჩევნო ბიულეტენის დამტარებელი,
 ყველას მაგივრად ვპასუხობდით:
 – აქ მდგმურები ცხოვრობენ.
 – აქ მდგმურები ცხოვრობენ.
 ... და ისინიც უხმოდ გაეცლებოდნენ იქაურობას.
 მეც ხშირად წამომცდენია, მათი ბინის კარზე უნებლიერ
 დაზარებისას:
 „აქ ხომ მდგმურები ცხოვრობენ“...
 ჩუმი იყო მათი გარდაცვალება
 ისევე, როგორც სიცოცხლე.
 ერთხელ, როცა მამაჩემის საფლავზე გასულს
 მომინდა მათი საფლავისთვისაც შემევლო თვალი,
 (ვიცოდი, ახლოს დაეკრძალათ)...
 ძრწოლამ ამიტანა...
 შავ მიწაზე ორი ვარდი იდო,
 გადახსნილი ბოქლომივით...
 და ორი დის ხმით ჩურჩულებდა:
 „მანდაურობის მდგმურებო,
 ჩვენ სახლში ვართ“...



ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
 თმას არ იშლიან...
 სავარცხლის ნაცვლად
 თავთან უდევთ სახაზავები,
 მარკეტში სწრაფად თმის გასაზრდელ
 შამპუნს ეძებენ...
 ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
 ახალ „ვანსებზე“ ოცნებობენ

და ფართხუნა მაისურებზე...
 ეხიდებიან დედიკოებს
 დაფარვაში განვადებების
 ნაოცნებარ მობილურების,
 ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
 ნაცრისფერ „პენალს“ ყიდულობენ,
 შავ ჩანთას და...
 თასმებს, ფერადებს...
 ის გოგონები, თმას რომ ყიდიან,
 თმას არ იშლიან...
 ძილის წინ თავთან უდევთ
 დიდი სახაზავები...
 და ესიზმრებათ გაშლილ ველებზე
 როგორ დარბიან
 თმაში გვირილით და
 მზის სარჭებით...

●
 არ მიძებნია მე ლექსებში ფილოსოფია.
 სიტყვა „გაწვიმდა“ თუ დავწერე
 რითმებთან, მიჯრით,
 ჩათვალე, სულაც არაფერი დამიწერია,
 თუ ვერ გითხარი, სად გაწვიმდა,
 გარეთ თუ შიგნით...

●
 მე რომ ქალალდის ფურცელი ვიყო,
 დავუსხლტებოდი საქალალდის საზურგეს, უცვლელს,
 მწერლის მძიმე მჯიდს,
 ბასრი კალმის შხამიან მელანს,
 მკერდს მივუშვერდი ფერად ფანქრებს,
 ცას, მზეს და ყვავილს,
 მე, მოქცეული პატარების ხელისგულებში.
 ავიცილებდი ყალბი გრძნობის
 მწარე ტატუებს,
 მრავალწერტილით, წერტილ-მძიმით
 სხეულის გვემას,
 ჩვილის თითებში დაფლეთილი
 თოვლს მოვიყვანდი,
 გააკეთებდნენ დედიკოები
 ქალალდის გემებს...

●
 ვხედავ, არ ეყოთ ჩიტებსაც კი
 ზეცის თაბახი,
 სადღაც ზლვარს იქით გასრიალდნენ...
 ისევე, როგორც აბზაცის ველზე
 ვერ ატევენ სიტყვებს ბავშვები.

●
 მზესუმზირას არ ფცქვნიან
 ომში კაცები,
 მზესუმზირას იფურთხებიან...
 და სწორედ ამიტომ,
 იქნებ მართლაც სწორედ იმიტომ
 მზესუმზირა ჩაგიყარა
 საომრად შემოსულ მტერს
 მუჭში ქალმა –
 როცა მოგკლავენ,
 შენგან მზესუმზირა მაინც დარჩებაო.
 ჭამე მზესუმზირა, ლულისთვალა ჯარისკაცო,
 აფურთხე და მიწას დახედე,
 იქნებ მიწამ მაინც დაგინდოს,
 და როცა ცისთვის თვალის გასწორების
 სურვილი მოგკლავს
 და ველარ შეძლებ,
 შენს ნაცვლად თბილმა მზესუმზირამ აიხედოს
 სისხლისფერ მზისკენ...

●
 როცა პირველად სახლი დავტოვე,
 ბუხართან ლამე იწვა მარხული,
 პირნამახული მთვარე სატორე
 მიწაში ესო, კართან მარხილი
 მელოდა, მწამდა, კედლებს ნამეხარს
 ვერ ვუწამლებდი, ჭირისგან მწუხარს,
 ვერ ვუპოვიდი კიბეს საფეხურს,
 კარს სახელურს და საკვამურს ბუხარს.

ვინატრე ფრთები, მიწას გავცლოდი,
 ინაწილებენ რადგან იქ როლებს,
 შევრთვოდი იმ ცას, სად შეუცნობი
 გობლინი ჩიტი გადაიქროლებს.

ფრთები მომეცა, მყის მიაყუჩა
ამქვეყნიური დრტვინვა, ის სრბოლა...
და ყალყზე შემდგარ ქალაქზე ქუჩა
ცამ მათრახივით გადაისროლა.

მემძიმა ნისლი, ღრუბლის სიდიდე,
სინესტენაჭამ პლედივით, ძველი,
ჩამომესვენა სახლზე მინდოდა,
მაგრამ დაშვება ველარ შევძელი.

დავწყევლე ფრთა და ვინატრე ისევ
ხელი, სახლი და ძალა ველური,
საფეხური რომ არა აქვს კიბეს,
ჭერს საკვამლე და კარს სახელური...

●
მიირწევა წყვილი ხვევნით...
თითქოს ღმერთად მოევლინოს,
ჩამოუსვა წვიმამ ხემი
ფოთოლს, როგორც ვიოლინოს...
ქუჩა არის სავსე ბინა
ჰანგით... კოცნით... ა, იმ ვნებით...
და სახლებმა თასებივით
წამოსწიეს აივნები...

●
თუკი ოდესმე მოინადილებ, რომ გაიგო,
რას გრძნობს მიწა, როდესაც აჩენს...
ნუ წარმოიდგენ დაბადებას
ტბების და ზღვების,
ხეების, ქვების, ანდა თუნდაც
ბუმბერაზ მთების,
უბრალოდ ერთხელ
ზამთრის მიწურულს უნდა შეესწრო
მზემიჭერილ მიწის მუცლიდან
ლურჯთვალა იის
ამოკივლებას...

●
წყალი წყალია,
გინდა ზღვისა,
გინდა ცრემლისა...

ერთს შეუძლია გამორიყოს
უბრალო კენჭი,
ხოლო მეორეს –
დიდი ლოდი სინანულისა...

●
მზემ გადაწყვიტა,
გაზაფხული წააქსოვოს
მაქმანად მიწას.
თვლის ამოყვანა ისთვერი
ძაფით დაიწყო...

●
ბედის სიმუხთლე აი, რა არის –
ის ერთი დღეც კი
წვიმიანი შეხვდა პეპელას.

●
სარეცხის თოკზე
მზე უტიფარ
მზერას აყოლებს
ქვრივის კაბაზე
ფერგასული შროშანების
უხერხულ ღიმილს.

●
ეს თებერვალიც წაბაკუნდა
წვიმის ქუსლებით...
და გაზაფხულის
პირველი დღის მზე
სულ პირველ კვირტთან
ხარობს პირველი დილის უფლებით.



ანა სისვაძე

შე6

მისმინე...

მინდა ჩემი წერილი დაგრჩეს ანდერძად.

„ნუ დანებდები!

აქმდე ბევრჯერ ვიომე, მაგრამ...

მაინც ვიმკობი ცოცხალ გრძნობებით...

იქნებ ცხოვრება ჩვენი ხატია

ობოლი ბავშვის შენაკედლების

და ეს სამყაროც, სავსე სიურჩით

გვებრძვის და სისხლს გვწოვს

თავგამოდებით.

ნუ დანებდები!

ჯერ ისევ სახლობს შენი თვალების

მკვეთრი დიდება

და თითქოს დიდი ტაძარიც მთაზე

შენ გარეშეა ურჩი ლტოლვილი,

როცა ვუყურებ, იმ თეთრ კედლებშიც

ისე საოცრად ჩამობინდდება,

ზეცაც ვერ უძლებს და ზამთრის ქარით

ჩნდება მწუხარე ჩამოთოვლილი.

ნუ დანებდები!

ისევ აანთე შენი ხელების გრილი ალერსი,

მიღე ისე, თითქოს ბრძოლაა არგადასული

თეთრი ბედნერა.

დაე, იცოდე,

რომ მე აქამდეც

და ამის მერეც შენთვის ჩავეშვი

იმ ფათერაცში, სადაც მსურდა, რომ

შენზე მეფიქრა და დამეწერა.

ნუ დანებდები!

ნუ გაუხდები სიკვდილის ყველაზე სანდო ვასალი
 და შენს ოცნებებს ისევ აუნთე
 მშვენიერებით სავსე ლამპარი
 და თუ ოდესმე განაბავ თვალებს
 მარტოობისგან მოკლულ ქვასავით,
 მე გამიხსენე
 და გაიხსენებ
 რომ ჯერ კიდევ გაქვს თავშესაფარი.
 ნუ დანებდები!
 ჩვენი შეხვედრის დრო-წამი ისევ სახლობს გეგმებად,
 ვნებათა ღელვით რომ მოგიქსოვე,
 როცა მიკლავდა ხელებს სიცივე,
 დღეს შენი ქარი, უხმოდ ნაგები
 გაზაფხულივით მომეგებება,
 მაგრამ დარდი მაქვს, რომ არ ხარ ჩემთან
 და უძილობის ფიქრით ვიძინებ.
 ნუ დანებდები!
 და ნუ მაშინაც, როდესაც შეწმი დარდი იელვებს,
 ვიცი, რომ ამ დროს დიდი ტკივილით
 მხოლოდ სიკვდილის წამი გინდება,
 მაგრამ გახსოვდეს, რომ შორის გზების
 გულს სიყვარული მოგიძლიერებს
 და რომ დღეს ჩემთვის ისევე სუნთქავს
 შენი თვალების მკვეთრი დიდება.
 ნუ დანებდები!
 რადგან უშენოდ აქ ისევ მწუხრით გადის დღეები,
 მე გელოდები...
 შენ კი სულს მიეც მებრძოლი კაცის მშვიდი ბუნება,
 გააძლიერე და გაამყარე ზამთრის ფიფქივით თეთრი ხელები,
 ბოლოს კი შეძლებ შენს სამშობლოში
 და შენს სატრფოსთან ტკბილ დაბრუნებას.
 ნუ დანებდები!
 არ მსურს გიხილო თვალდახუჭული ხელებში ჯვარით,
 ვფიქრობ, ადრეა...
 ადრეა შენთვის უსულ-უხორცოდ მინას ეკედლო,
 რატომ მოგეგო სამყარო ასე დაუნდობელად,
 დარდით და ჯავრით,
 ნეტავ შემეძლოს, რომ მოგცე სუნთქვა მარადიული,
 ნეტავ შემეძლოს...
 ნუ დანებდები!
 რადგან აქ ისევ გელის ოჯახი, გელიან მთები,
 წვიმა, ქარბუქი, ზამთრის ნიავი,
 თოვლი და...
 ნიშნად ზღვაც კი დიდდება...
 ნუ დანებდები!
 რადგან უშენოდ აქ ისევ მწუხრით გადის დღეები

და რადგან დღემდე ისევე ცოცხლობს
შენი თვალების მკვეთრი დიდება.
ნუ დანებდები!
და თუკი ბოლოს არ გაამართლებს შენი ნაბრძოლი,
სანთლით მოგაგნებ იქ, სადაც ღმერთი
ჩვენს სიყვარულში კვლავ დარწმუნდება
და ჩემს ნაზ გრძნობას ისევ დაატკბობს
შენი ხელების ტკბილი ამბორი,
როდესაც ზეცით გადმომხედავ და
ჩემში სრულიად გაზაფხულდება.

საჭ მიფრინავენ ახალგაზრდები? (ჩემი და ღამის გასაუბრება)

ახალგაზრდები მიფრინავენ. სად მიფრინავენ?
სად მიფრინავენ თითისტოლა ახალგაზრდები?
როგორც სექტემბრის ხეებს სწყდება თითო ფოთოლი,
ისე ქრებიან. დარდს ტოვებენ. ღმერთო, ვბრაზდები!
სად მიფრინავენ ვარდოვანი ახალგაზრდები?
მოგონებები რად რჩებიან მხოლოდ იმათგან,
ვისაც სიკეთე უთესია მთელი სიცოცხლე
და სიყვარული – საუკუნო-საამგვაროვნო.
ვინ იცის, როგორ დარდობს დედა (ცრემლად გამშრალი),
ანდაც როგორი წვიმა უნდა ფერად ყვავილებს,
შეყვარებული (როგორც უფრთო ბელურა ჩიტი)
ვინ იცის, სულში ამგვარ ტანჯვას როდის მოილევს?
სად მიფრინავენ მეოცნებე ახალგაზრდები,
გამიზნულები სიყვარულის დასათესველად,
ღმერთო, მითხარი, მოამგვარი ბედისწერებით
ამ სამყაროში ოდნავ მაინც რამეს ეშველა?
ვინ იტყვის კიო, დასტირიან სულებს სულები,
ახალგაზრდები მიწის ტევრში იმარსებიან,
ღმერთო, მითხარი, რად კვდებიან უბრალოები,
სად მიფრინავენ, სად მიდიან, ან სად ქრებიან?

ო, ღამის მწუხრო, შენც ცრემლი გდის ახლა, რა მძიმე!
თავზე მეღვრება ეგ წვეთები სათუთიანი.
ახალგაზრდები მიფრინავენ და არ რცხვენია
ამ წუთისოფელს, რომ თენდება დილა მზიანი.
მხოლოდ შენა გსურს შვება მისცე მარადიული
დატანჯულ სულებს – და მათ დარდებს თავად იწამლებ.
ო, მწუხრო ღამევ, არ იდარდო, თუ შეგცივდება,
ჩემს საბანს მოგცემ და შენ გქონდეს – გადაიფარე!
საპანს, რომელმაც ვერ გაათბო გარდასულები,
ახლა არ ვიცი, რას ჩავიდენ ან რას ვინანებ.

მე მავინდყება ჩემი ცოდვა, ყოველი ცოდვა,
ახალგაზრდები უდროო დროს რომ მიფრინავენ.
რად მიფრინავენ, მწუხრო ღამევ, ახალგაზრდები,
სად არის ღმერთი, როცა მინას ძირი ეცლება?
ნუთუ იმქვეყნად ამგვარია დღეს სამართალი,
რომ ჩვენში ტანჯვა უფრო ხარობს და უმეცრება?!

„ახალგაზრდები მიფრინავენ, ცად მიფრინავენ.
და ღმერთს თან უნდა წაიყვანოს, ვინაც გრძნობები
დასთესა მხოლოდ, ეს სამყარო კეთილშობილით
შემოსა – რათა გააბრწყინოს თქვენი სამოთხე.
და ტანჯვა? – ტანჯვა მხოლოდ დროის საკითხავია,
თავადაც იცი, ხანმოკლეა წუთისოფელი.
მათ სურთ, რომ იშვან ყვავილებში, როცა ძლიერი
წვიმა, როცა თოვლია და როცა ქარია.
ანგელოზებიც უკვდავია გონებასავით,
მაგრამ ასევე მათაც უნდათ ძლიერი სული,
რომ მოამრავლონ ბრწყინვალება დედის სახლისთვის,
შვილის სახლისთვის ან ცოლისთვის ღრმა სიყვარულით
სამარადფამო სამყოფელის თეთრი კედლები.
ნუ დანებდები, როცა გტკივა, ნუ დანებდები!“

ო, მწუხრო ღამევ, სევდიანო, მაინც რაგვარი
ტანჯვა იგრძნობა შენს სიტყვებში, ნეტა იცოდე!
ხორცის ტარება რა რთულია, როცა აქვს ფრთები
სულს და გასაქანს ვერ პოულობს ამ სიმძიმილით!

მხოლოდ ნუგეში დაგვრჩენია მათდამი, ვინაც
ერთ დროს გვემტერა. ქვა გვესროლა. გადაგვიარა.
და მაინც გვტკივა ის ტკივილი, რაც მათ ეტკინათ.
და მაინც გვტკივა მტრის თვალებში ხსნილი იარა.
სიყვარულია გარდასულთა ისევ სამიზნე,
სიყვარულია! და მეც, ღმერთო, აღარ ვპრაზდები!
ახალგაზრდები მიფრინავენ, ცად მიფრინავენ!
ცად მიფრინავენ თითისტოლა ახალგაზრდები!

სარავ

შროშნების ტბაზე ლერწმების სახლიდან ვსუნთქავ,
სადაც აკენი ჰრაფ-ჰეთს სიკვდილს გლიჯავს ხელიდან,
მინდა, უბრალოდ სარკესავით ის სინამდვილე
გავუზიარო ფურცლებს, რომლის თქმაც მომერიდა.
ახლა ღამეა, როგორც გუშინ, ისევე ყინავს,
ალბათ, თევზებზე ფიქრში სძინავს შიშველ მენავეს,
დღეს აღარავის შევრაცხავდი არსების გმირად

გარდა სხეულის, მკვდარიც შვებად რომ დამენამა.
 დღეს აღარავის შევაქებდი, განდიდებულნი
 ისედაც, როგორც სპილო ჭაობს, ისე მცქერიან,
 ჩემმა ფიქრებმა, დარდიანნმა, ძლიერ აიშვეს
 და როგორც ლურჯი მგალობლები, თავს დამმდერიან.
 გუშინ სიზმარში დამეცვარა გულზე ბავშვობა,
 თვალწინ დამიდგა უწმინდესი დედის ოთახი,
 მარგალიტებით მოთვალული მისი კაბები
 და დარდი, კედლის ფიცრებში რომ დათარიხობდა.
 მერე ფანჯრისკენ მივტრიალდი, სადაც ჩემს სახსრებს
 ტკივილს უშრობდა დარდიანი ყოფის სიბნელე,
 ვნატრობ მწვანე ბაღს ყვავილებით რომ გავაშენებ,
 სადაც ბავშვები კისკისით და ლახტით ირპენენ.
 ბედნიერია ძილში ფიქრი ბავშვურ გრძნობების,
 მაგრამ ხანმოკლე ამ სიცოცხლის ყველა დროება,
 ერთ დღესაც იქნებ დავდგებოდე სცენაზე მათ წინ,
 რომელთაც ჩემს ხორცს შეასწავლეს ამაოება.
 ბევრი კითხვა მაქვს მათ წინაშე, ვინაც პოეტობს,
 იქნებ ჩემგვარად თვალს ხუჭავდეთ, თქვენს არსებაში
 იმალებოდეს ის ბავშვობა, რაც გაწერინებთ
 თოვლად მოქცეულ სხივის დარდებს ერთარსებაში
 ნამწვავ სილურჯის, კარუსელზე ქანაობისას
 ფეხს რომ გატკენდათ, მერე როგორც ფოთლის ბოლოზე
 დაკიდებული მატლებივით დაიშლებოდით.

ო, შემოდგომის მწუხრო ღამევ, გთხოვ დაიმარხო
 ამ ხორცში ისე, როგორც ახლა ყოველ მკითხველში
 მე ვიმარხები ზოგისათვის, როგორც თავმცოდე,
 ან როგორც მიწას მიმალული უხრწნელი ლეში.

თქვენ, პოეტებო, რა გაწუხებთ, ამ სამყაროში,
 მართლა წუხილი, თუ დიდების სურვილი ოდენ,
 იმ ხისგან შექმნილ სკამზე ზიხართ, დარდებს რომ ანდობთ
 და სანამ კითხვას დაიწყებდით, თუ დაელოდეთ,
 რომ ხესაც ეთქვა ერთი სიტყვა, იქნებ ემტკივნა
 მამის მხრებში რომ ჩაიმალნენ ტკბილი ამბორით,
 რისთვის წერთ, ისევ ის ფურცლები გაგვიზიაროთ,
 დღეში რომ ვისმენთ ათასჯერ და ასჯერ გაგონილს?
 პოეტს სჭირდება სიცოცხლეში მხოლოდ ტკივილი,
 შემცივნებული ირმის გუნდში ნაგრძნობი სევდა
 და ლაყუჩებში დაგუბული სისხლით ამბობდეს
 ყველა მსმენელი: ასეთი რამ რად დაებედა?
 პოეტს სჭირდება დედის ნიკაპს მომდგარი ცრემლი
 და მის თვალებში გადაშლილი ატმის ხეები,
 როგორც ჩემს კაშნეს, ისე ჰქონდეს თვალი წასული
 მცირე დროისგან გაგიჟებულ-განახელები

მის ცხოვრებასაც, რამდენჯერაც შეხედავს სარკეს,
იმდენჯერ მძიმე სიცოცხლის წამს რომ მოიცილებს
და ხალხში გავა, ისევ ხალხით აყროლებული
მოურიდებლად შეძლებს სიკვდილს და დაიყვირებს.

მე – ვითომ მწერალს, ფიქრი მტკივა, როგორც სიცოცხლე,
განთიადისას მონარჩარე ყოველი დილა,
ვხედავ იმ თვალებს, ერთხელაც კი არ გამოსულან
ჩემს სანუგეშად და მამსხვრევენ თავზე ბასრ მინას.

ახლა ღამეა, ისე ყინავს, რომ სისხლში მწვავედ
მოიპოლუსებს შორეული დროის წამება,
ო, როგორ მთრგუნავს ეს რითმები, ტაძარში მინდა,
სადაც ყოველთვის განვიცდიდი ფერისცვალებას.
მობეზრებულად ვგრძნობ სხეულებს, საზოგადობას,
ზამთრის ყინვაში ხეტიალსაც ძლიერ თრობისას,
მაგრამ რას ვიზამ, თუ ასეთი შემხვდა ცხოვრება,
როცა მეგობრად გავჩნდი მხოლოდ მარტობისა.

მე მტკივა ფიქრი დედის მკერდში თბილი ბავშვობის,
მტკივა ის ფიქრიც მკვდარ სხეულს რომ თან გავაყოლე,
ჩემი სიზმრების მონაცრისფრო დღეები მტკივა,
როგორც წვიმები ვარდობისთვეს გადანაყოლი.

წარმოსახვა

რძისფერ კლდეში ჩაიშალა შენი თმები,
შავო ღამევ, სულს რა გითბობს, გამანდე...
ღმერთო ჩემო, როგორ მტკივა უფრთო მხარი,
ეს უფრთობაც ნეტავ გასტანს სანამდე...
ცას ვუყურებ, ვერას ვხედავ, გახმა ეს დღეც
და მიწაში ჩაიმარჩა, როგორც ბზა...
სად ხარ, თეთრო ანგელოზო, ნუთუ ვერ გრძნობ,
რომ ეკლები მესობიან გზა და გზა...
ოჳ, როდისლა გადაივლის ეს დღეები,
როდის შეძლებს ჩემში იშვას ერატო...
არ იდარდო, სადაცა ხარ, ის ტკივილი,
რაც არ გსურდა, იქნებ არც დაგემართოს...
მშვიდად იყავ, ველიდები ფრთების შესხმას,
სანამ სუნთქვა უსიცოცხლოდ კესანობს...
გაემზადე სამასპინძლოდ, ნირჩო ბიჭო,
მონატრებულ სატრფოს რომ მიესალმო...



დათია ბადალაშვილი

ესა, იანვარი და ისამანი

თონესავით ჩავარდნილ სოფელს ხრიოკ გორაზე მდგარი, დახავსებული საყდარი დასცქეროდა.

იანვრის დილას მღვდელი საყდრი-დან სოფლის მფარველ, წმინდა თეთ-რცხენოსანი წმინდანის ხატს გამოაბ-რძანებდა და ხალხს სოფლის შუაგულში ჩამომავალ პატარა მდინარისაკენ ისე-თივე გულდაჯერებით გაუძღვებოდა, როგორც მოსე მიუძღვოდა ეპრაელებს უდაბნოში. ზამთრის სუსხიან დილას, თავდალმართში, ხორხოშელა თოვლს მიკვალავდნენ მღვდელი და მრევლი. იყო მათ თვალებში რაღაც საზეიმო და ამაღლვებელი. მღვდელი სოფელივით მოხუცი იყო და ღმერთივით ეშლებოდა თმა-წვერი. ახალგაზრდები ხელს აშვე-ლებდნენ, თოვლში პირქვე რომ არ ჩამ-ხობილიყო.

მდინარეში, სადაც საქონელს არ-წყულებდნენ, ნაჯახით ყინულს ამო-ამტკრევდნენ, ანაფორააკალთავებული მღვდელი მონიწებით უშვებდა ხატს მდინარეში, თითქოს ცივი წყლის გა-მო ებოდიშებაო. როცა წმინდანს ფე-ხები დაუსველდებოდა, წყალი ნაკურ-თხი იყო უკვე, რაც ყველაზე მთავარია, რიტუალის დროს ყველა უმძრახი უნდა ყოფილიყო. მღვდელი მკაცრად იცავდა წესებს, სჯეროდა, თუ ვინმე ენას დაას-

ველებდა, წყალი არ დაწმინდავდებოდა.

ჯერ კაცები დგებოდნენ გრძელ მწკრივში, ხატს ემთხვეოდნენ, შემდეგ მღვდელი მათ დაწმინდავებულ წყალს აპკურებდა. პკურების შემდეგ კაცები წყალს სახეზე ისხამდნენ, კარგად რომ ჩამოებანათ ცოდვის ჭუჭყი; შემდეგ ქა-ლების რიგიც დადგებოდა. მათ ჭურჭე-ლიც მოჰკონდათ, წყალი რომ ნაელოთ სახლში. მწნილს, ყველის წათხს ამზა-დებნენ და ქალიშვილებსაც ამ წყლით ბანდნენ თმას. სჯეროდათ, რომ ეს წყალი არა მარტო თმების ბზინვარე-ბას, არამედ ბედნიერებასაც მოუტანდა მათ შვილებს. დასჩურჩულებდნენ, რომ ბანვისას ნატკრა ჩაეთქვათ გულში. ამ დროს ყრუ-მუნჯი მნათე ზარს დარე-კავდა, იმის მანიშნებლად, რომ წყალი დაწმინდავდა და ხალხსაც ის ცოდვა მიეტევა, რაც დღესასწაულამდე ჰქონ-და ჩადენილი. ბოლოს უკვე საქონელ-საც უშვებდნენ მდინარესთან, დასარ-წყულებლად.

მრევლთან ახლოს არ მიდიოდა და შორიახლოს ტრიალებდა ერთი გოგო-ნა, რომელიც ყველაზე კეთილი და ყვე-ლაზე ცოდვილი იყო ამ სოფელში.

შემდეგ ისევ მოდიოდნენ – ამ დღის-თვის გამომცხვარი ქადებით, ნაზუქე-ბითა და ხილის არყით ხელში. თოვლი-

დან საქონლის გაყინულ ნეხვს გადაჰყოდნენ, მოტკეპნიდნენ და სუფრას შლიდნენ.

თამადა სოფლისთავი იყო – ბრგე და დოლრიალა, ძალმოსილი და სასტიკი. მისი ეშინოდათ და შურდათ, თუმცა, საუბედუროდ, არავინ იყო იქ ისეთი, სოფლის თავის ადგილას თვითონაც სასტიკი რომ არ ყოფილიყო.

ჩსუბიც ატყდებოდა... რასაც წმინდანი პატიობდათ, იმას ერთმანეთს ვერ პატიობდნენ. ახლა ზამთარი იყო – მუდამდღე ერთი და იმავე საქმით: საქონლის დარწყულებით, თავის ჩაყრითა და ნეხვის ხვეტით ჩლუნგდებოდნენ... ჩსუბი აცოცხლებდათ. დაღლილები და ნაცემები სისხლიან პირისახეს ნაჯურთხ მდინარეშივე იბანდნენ.

ვალმოხდილი მღვდელიც უკან, საყდარში ააბრძანებდა ხატს. ის კარგი ღვთისმსახური იყო, სიბერეს მასში ყველა ვნება გამოეშრიტა, მღვდლური წესების მორჩილების გარდა. ხალხსაც სჯეროდა, რომ მღვდლის არდაჯერებით ცხელ ნაკვერჩლებს დაიყრიდნენ თავზე, თუმცა ავი ბუნება სულ მუდამ სძლევდათ ხოლმე. მღვდელი კი ვერ ხვდებოდა, რომ ადამიანისთვის არაა-დამიანობაა ადამიანური.

ამასთან ერთად, ყველაფერი ცუდი სწორედ იმ დღეს ხდებოდა ამ სოფელში, ეს მათ ხლეჩდა და ერთმანეთს აშორებდა, ამის გამო ყველა უბედური იყო, თუმცა ამასაც ვერ ხვდებოდნენ.

მანავლებელი

ჩემი სკოლა გორაზე იდგა, ბოროტქარს ფარლაღალა აივანზე ცივი ფიფქები შემოქმნდა. კლასებში ისევე ციოდა, როგორც მიტოვებულ სახლებში.

თავი მომწონდა – შორი მხრიდან მოსული, პატივისცემით ვსარგებლობდი. ახლა კი ვხვდები, არაფერია ისეთი საშიში, როგორც ხიბლში ჩავარდნილი მღვდელი და მასწავლებელი.

მივხვდი, ეს ხალხი მარტო იმას იძულებდა, ვინც აგრძნობინებდა, რომ მათზე უკეთესი იყო. ეს საგულდაგულოდ გავითავისე და, რაც არ უნდა დამენახა, ენას არ ვასველებდი მათზე.

ევაცა და ევლიაც ჩემი მოსწავლეები იყვნენ – ყველაზე სუსტები. ევლიას – ძალიან გამხდარსა და შავგვრემან ბიჭს, ჩვევად ჰქონდა, ყოველ წუთს თავისი ხელები დაესუნა. მას ევას უყვარდა, ევას კი... ვგრძნობდი, მე ვუყვარდი. გვიან მივხვდი, რომ მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მას თბილად ექცეოდა. არ დაგიმაღავთ, მეც მაღელვებდა ოფლის მოტკბო სუნი, მას რომ ასდიოდა. რომ არა ხალხი...

ყოველთვის ვთხოვდი გაკვეთილის მოყოლას, თუმცა, ვიცოდი, ევას არც ამჯერად ეცოდინებოდა. ვთხოვდი და ევას ყავისფერი თვალები უფრო ჩაუმუქდებოდა ხოლმე. მრგვალსახიანს, ლოყასა და ტუჩზე ჰქონდა ხალი.

მე, სკოლის მასწავლებელი იანვარა, მაშინ ვერ ვხვდებოდი, რატომ იჯდა ხოლმე გარინდებული ევა თეთრი იასამინის ბუჩქის ქვეშ, რომელიც მაინდამანც ყველაზე მასინჯ ადგილას, სოფლის ნაგავსაყრელზე ამოსულიყო.

მე მაშინაც ვერაფერს მივხვდი, როცა დავინახე, თუ როგორ ხტებოდა ევა საყდრის გალავნიდან მიწაზე. ავიდოდა – გადმოხტებოდა, ავიდოდა – გადმოხტებოდა.

ვკითხე, თუ რატომ იქცეოდა ასე. ის კი ატირდა და მიპასუხა, რომ ორსულადაა და არც კი იცის ვისგან – სოფლის თავისგან, მენახირისგან თუ დიდი ბიჭებისგან; რომ უნდოდა, რამე მერჩია მისთვის. მე კი ვერაფერი ვუპასუხე... საერთოდაც, არ მინდოდა, ხალხს ერთად მარტონი დავენახეთ და სწრაფად-ვე გავშორდი.

ევა კი დახავსებული საყდრის მაღლი გალავნიდან მეორე დღესაც ხტებოდა მიწაზე...

სახლისთავი

სძულდა ის სახლი, სადაც გაიზარდა. დედამისი წავიდა, მთვრალი მამამისი კი აივნიდან გადმოდგებოდა და ფსამდა ხოლმე. ბიჭი თავმოყვარე იყო და რცხვენოდა თავისი მეზობლებისა, კარის გაღებაც არ უნდოდა მამამისის-თვის, როცა ის მთვრალი მოდიოდა. ბიჭი სთხოვდა მას, აღარ დაელია, მამა კი ამბობდა, რომ არაფერს აშავებდა ჭიქა დვინის მეგობრებთნ დალევით, ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა ცუდს.

არც მამას მოსწონდა შვილი, ერჩივნა მასავით მსმელი და მოჩხუბარი ყოფილიყო და არა წიგნის ჭია. საბაბს ეძებდა დაესაჯა, გაქცეული ცოლის ბოლმაც გადმოენთხია მასზე და ერთხელაც, როცა დაინახა, როგორ ეხუტებოდა საჯდომზე მეზობლის ბიჭს, სასტიკად სცემა სახრით. დაალილავა შვილი, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი მუხლებში უვარდებოდა და ეფიცებოდა, რომ ამას არასოდეს აღარ იზამდა. კაცს სირცხვილის შეეშინდა. რას იტყოდა ხალხი, როცა გაიგებდა, მას ასეთი შვილი ჰყავდა?! გამეტებით სცემდა სახრით და ეუბნებოდა, რომ დედამისივით წათრეულიყო.

შვილს სახრეზე მეტად სტკენდა მამის იმედგაცრუება. უნდოდა, ისეთი გამხდარიყო, როგორიც მამამისს სურდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა როგორ. არავინ ჰყავდა, ვინც ეტყოდა, რომ ამქვეყნად თავისთავადობაა კარგი.

ბიჭი წასასვლელად ემზადებოდა, როცა სახლთან მისულს მამამისს კიბესთან ჩაეძინა და გაიყინა. სითბოში შეტანილ გამხვალ მკვდარს სველ ფეხებზე ეხუტებოდა ბიჭი და ტიროდა. ავი იყო თუ კარგი, სხვა მამა არ ჰყავდა, მას არ მიუტოვებია დედამისისგან განსხვავებით, იმის მიუხედავადაც კი, რომ მამას საერთოდ არ მოსწონდა შვილი, თანაც, როცა ადამიანები კვდებიან, მისი ნასროლი ქვები გვავინყდება

ხოლმე. ახლა დედამისს ამტყუნებდა წასვლის გამო.

ბიჭმა დასაფლავებისას დაიფიცა, რომ ისეთი იქნებოდა, როგორიც მამამისს უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ვერც მამის სიკვდილის შემდეგ წავიდა. მისი ძმა ჭკუიდან შეცდა, როცა, გარეთ გამოსულმა, წინკარში გაყინულ მამას წამოჰკრა ფეხი. შეეშინდა და გაბავშვდა. ახლა მისი საქმიანობა ძალების დაპურება და მათთვის ტკიპების გამოცლა იყო. უმცროსმა ძმამ ვერ დატოვა უფროსი. არადა, ვინც წასვლას გადაიფიქრებს, ყოველთვის უბედურდება ხოლმე.

ხშირად წამოარტყამდა გაგიუებულ ძმას, რადგან კარგად იცოდა ერთი ძველი ხალხური სიბრძნე, რომ გიუი აუცილებლად უნდა შეაშინო, რომ ეს მისთვისაა კარგი, თუმცა კი ძალიან უყვარდა ძმა, უყურებდა და გულმუცელი ეწვოდა მისი საცოდაობით, როცა ის ქალის დანახვისას ხელს შარვლის უბეში ჩაიყოფდა და სახალხოდ ჩუკენობდა ხოლმე, როცა სოფლის ყველა ძალს აცლიდა ტკიპებს, როცა, ვინც გაულიმებდა, ყველა მეგობარი ეგონა და ამის გამო ბოსტანს უბარავდა და ბოსელს უხვეტდა მათ. ვეღარც ესარჩილებოდა, როცა ამასხარავებდნენ. მათ დასანახავად იცინოდა, სახლში კი სცემდა, სცემდა და ტიროდა. ძმას არა, თავის თავს დასტიროდა, რომ ცხოვრებამ ჯერ ლოთი მამა არ აკმარა და გიუი ძმაც აჰებდა სათრევად.

არადა, სატირალი ის იყო, მამამისივით ცემით რომ ცდილობდა ძმის შეცვლას და ისეთად გახდომას, როგორიც თვითონ უნდოდა რომ ყოფილიყო.

ვერ ხვდებოდა, რომ ვერასოდეს ვერავის შეცვლი, მითუმეტეს ცემით. მამამისი ღვინის გარეშე ვერ ძლებდა, ძმა კი – ტკიპების გარეშე და უნდა შეგუებოდა ამას.

მისი მშველელი წიგნები იყო და სწავლა. იცოდა, რომ განათლება სუფ-

თად ცხოვრების საშუალებას მისცემდა. სხვა გლეხებივით მიწასა და ნეხვში არ ექნებოდა ხელი ამოვლებული. კითხულობდა და კითხულობდა, სულაც იმიტომ, რომ უკეთესი ადამიანი გამხდარიყო.

ერთხელაც მთელ ქვეყანაში ხმა გავარდა, რომ საპყრობილებებში ადამიანებს აუპატიურებდნენ. მომავალი სოფლისთავი იმდროინდელი ხელისუფლების დაუცხრომელ მონინააღმდეგებდ იქცა. ახალმა მთავრობამაც ამაგი დაუფასა – ერთგული რევოლუციონერი სოფლისთავად დანიშნა.

წარმოსადეგსა და დათვივით ძლიერს, შვენიდა სახელო და სახელი. ბევრსაც აკეთებდა თავისი სოფლისთვის. როცა მოკვდებოდა და ღმერთი ჰეკითხავდა, რატომ აკეთებდი ამდენს შენი სოფლისთვისო, უპასუხებდა – მძულდა და იმიტომო. სძულდა თავისი ხალხი, მათი შიშით, ის ვერ იყო, ვინც უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ცოლიც მოიყვანა – ევლიას დედა. მოსწონდა ეს ქალი. ის მორჩილი იყო, რასაც ყველაზე მეტად აფასებდა ქალში. თავიდან ყველაფერი კარგად იყო – ცოლიც ჰყავდა, ოჯახში ბავშვიც იზრდებოდა, მტკიცედ იცავდა მამისადმი მიცემულ ფიცსაც, თუმცა ერთხელაც ვერ მოითმინა, დედიშობილა მიენდო კაცის ალერსს. კაცი უცხოელი იყო, შორიდან მოსული და ამიტომაც გაპედა.

ცოლმა დაინახა. საღამოს უთხრა, რომ ცოდვას ჩადიოდა და მისნაირები სოფლის მფარველ წმინდანს არ მოსწონდა.

კაცმა პირველად მაშინ სცემა ცოლი და, ტირილამდე მისული, სასონარკვეთილი განრისხებით დაპყვიროდა მას, რომ ამის შესახებ არავისთვის ეთქვა, განსაკუთრებით მღდვლისთვის, თორემ მოკლავდა.

ერთი რამ კარგად ესწავლებინა მის-თვის ცხოვრებას, რომ სხვისი საიდუმლო საკუთარზე მძიმე სატარებელია.

ამის შემდეგ ხშირად სცემდა ცოლს, ლუკმას აყვედრიდა, ეუბნებოდა, რომ შვილი გაუზარდა და ამის გამო მას ენა უნდა დაემოკლებინა, რომ სიმსუქნით ისე დაუშნოვდა, არც ერთ კაცს არ მიუვიდოდა მასზე გული. არც ცოლი იყო პირნათელი ქმართან, ამ კაცს მხოლოდ იმიტომ გაჰყვა, რომ შვილი გამოეკვება.

ესლია

„იქნებ ცოტა ნაკლები ჭამო!“ – ეუბნებოდა ევლია დედას, როცა შეამჩნევდა, თუ როგორ ცოტავდებოდა კედელზე, ლურსმნით ჩამოკიდებულ ცელოფანში პური. მას მამინაცვლის გაბრაზების ეშინოდა. ის ევლიას დედას ეტყოდა, რომ კუჭი არაფრით არ უძღება. ევლიამ იცოდა, რომ დედამისი ამ მდგომარეობაში მის გამო ჩავრდა, კაცს იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ შვილი მშიერი არ ჰყოლოდა. ამ დროს კი ბიჭს სულ ის ახსენდებოდა, თუ როგორ ამოუსვამდა ხოლმე მამინაცვალი საჯდომზე ხელს. ვერ ამბობდა ვერაფერს, ვერც დედას ვერ იცავდა. გაუბედაობით გაბრაზებული, ბალში გარბოდა და ბარს გამეტებით ურტყამდა ბელტს, თითქოს ბელტი მამინაცვალი ყოფილიყო და გულს უოხებდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ გადაუხსნიდა ბარი მას სახეს და როგორ გაასასამდა სისხლი. მალ-მალე ხელებზე იფურთხებდა და ისრესდა. მარტო იმიტომ არა, ბარის ტარზე ხელი არ გასცურებოდა, უნდოდა, მკვდრის სუნი მოშორებოდა ხელიდან.

ის და დედამისი, სანამ გათხოვდებოდა, მოხუც ნათესავთან ცხოვრობდნენ. ყველაფერი კარგად იყო იქამდე, სანამ მოხუცს სკლეროზი დაემართებოდა. ის ბოლო ხმაზე ყვიროდა და ოთახიდან ოთახში დარბოდა.

ჯვარს ეცვნენ ორივე – დედაცა და შვილიც. ევლია მოხუცის სიკვდილს ნატრობდა, რომ დაესვენათ.

ზამთრის ერთ ლამეს ევლიას საწოლში გამოეღვიძა და დაინახა, როგორ ჩაედო დედამისს მოხუცის თავი კალთაში და როგორ უჭერდა ნიკაბზე ხელებს. ალბათ, დაიღალა მოხუცის ყვირილით, თავი ვერ დაიჭირა და დაახრჩო, — ფიქრმა შეაშინა ევლია. საწოლში მოკუნტულმა მთვარის ანარეკლზე დაინახა, როგორ აკიაფდა დედის ხელებში ოქროს კბილი.

„ამანეკინე!“ — დაუძახა დედამისმა დალლილი ხმით, როცა მიხვდა, რომ შვილმა ყველაფერი დაინახა. ბიჭმა მკვდარს დახეთქილ ფეხისგულებზე მოჰკიდა ხელი და უცბად გველნაკბენივით გაუშვა. ღამის სიჩუმეში, ნაქარი ხილივით, მძიმედ დაეცა მკვდარი. ქალს ცივ იატაკზე ფეხშიშველა სიარულისგან დახეთქოდა ქუსლები.

„დონდლო!“ — შეჰყვირა დედამისმა და გამეტებით სტკიცა. ბიჭს შეეშინდა ისევ არ დამარტყასო და მკვდარს ახლა ჯოხივით წვრილ კანჭებზე წაავლო ხელი. მკვდარი ცივ სარდაფში ჩაიტანეს და ზედ საბნები დააფარეს. ყინვიანი თებერვალი იყო, მიცვალებული არ ასუნდებოდა, ესენიც თვის ბოლოს შეიცხადებდნენ, რომ მოხუცი მოკვდა და მის შემწეობასაც აიღებდნენ.

მაშინ დედამისზე არ გაპრაზებულა, არც იმის გამო, მოხუცს ოქროს კბილი რომ ამოაგლიჯა, არც იმის გამო, მისი ნივთები შავ ცელოფანში რომ ჩაყარა და ხევში მოისროლა. მაშინ კი გაპრაზდა, სოფლისთავი დედამისთან ღამე რომ მოვიდა და გარეთ გამოაგდეს.

ბიჭი მიწას დაჰყურებდა და მეზობლების გულიანი სიცილის ხმა ესმოდა. ეს ის ხალხი იყო, რომელიც ხედავდა, რომ სოფლისთავი ცოლს სცემდა. სოფლისთავის მომდურება არ უნოდათ. სოფლისთავს შეეძლო, მათთვის მთავრობის შემწეობა დაენიშნა და წლითი წლამდე მაძღარი ექნებოდათ კუჭი.

წინა ღამით, როცა ბოსელმი ნაკელის გამოსატანად შევიდა, დაინახა, თუ

როგორ ჩახვეოდა მამინაცვალი ევას, როგორ ლოშნიდა და როგორი ზათქითა და ზმუილით ეცემოდა ზემოდან პირქვე მწოლიარეს. მამინაცვალმა დაინახა გერი, მაგრამ არც შემცბარა, როგორც მაშინ შეცბებოდა ხოლმე, როცა ბიჭი დედასთან ჩახვეულს წაასწრებდა. მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ უყვარდა ბიჭს ეს თივაში პირქვე მოკრუსუნე გოგო.

პირქუმრად წამოვიდა ევლია ხმაურიანი ბოსლიდან, ღუმელთან მჯდარ დედასთან მივიდა და უთხრა:

„აქედან წავიდეთ!“

დედას მსუქანი ხელები აუკანკალდა.

„აქ პური გვაქვს!“ — იყო პასუხი.

გვა

ის ბუნებისა და მუნჯი ბიძის ანაბარა იზრდებოდა. მშიერ მუცელს ჩასტიროდა ბიძა-დიძასწული. დღესასწაულზე თუ გაუმართლებდათ, როცა მომლოცველები სურვილს ჩაუთქვამდნენ შავ მამალს და საყდრის ეზოში ააფრენდნენ ხოლმე. მუნჯი და ევა ერთად დასდევდნენ მამალს დასაჭერად.

ევაზე ძალა პირველად წყალკურთხევას იხმარა ბიძამისმა. როცა უკვე მოზრდილი გეჯაში ჩასვა და წმინდა წყლით აპანავა. მეორე დღეს მოუტკბილდა, თითქოს არაფერი მომხდარა, ანიშნა მწნილი წმინდა წყალში ჩაედო. ევა კი ტირილით კეპავდა კომბოსტოს და მკვდარ დედამისს სწყევლიდა მისი სატანჯველად გაჩინისთვის. ვერავის ეტყოდა. ჯერ ერთი, რცხვენოდა, მეორეც — ბიძამისს მაინც არავინ გაამტყუნებდა იმ სოფელში.

როცა ევა საყდარზე დაჭერილ მამალს ასუფთავებდა, ბურტყლი ყოველთვის ბიძამისის მკერდზე ამოსულ ბალანს ახსენებდა, როცა ის ზედ იხუტებდა და აიძულებდა, მკერდი დაეკოცნა, ამიტომ ზიზლიან ლუკმას მუჭით იპრუნებდა მუცელში, ბიძამისს რომ არ შე-

ემჩნია. თუ შეამჩნევდა, სცემდა ამ უმა-
დურობის გამო.

ერთხელაც, როცა მუნჯმა დღესას-
წაულზე ტაძრის სამრეკლოს დამპალი
თოკი გამოუცვალა, საყდრის ეზოში
ახალგაზრდებმა მიიპატიუეს საქეი-
ფოდ. გულიანად იცინოდნენ, თუ რო-
გორ ცდილობდა მუნჯი ზმუილით ლა-
პარაკს. იმ დღეს მთვრალმა მარტომ
მოინდომა მამლის დაჭერა და საფლა-
ვში ჩავარდნილი დაილენა.

ევა უვლიდა საწოლში მწოლია-
რე ბიძას, გულში კი ფიქრობდა, მის-
თვის წყალი მიეტანა თუ სანამლავი,
საჭმელად ჭრელი გველი ხომ არ შე-
ეწვა. გული ერეოდა, როცა ხედავდა,
თუ როგორი მავედრებელი თვალებით
უყურებდა ის. ევა კი წავიდა იმ ლამით
სოფლისთავის ბოსელში. ეს იყო მისი
შურისძიება, თანაც სოფლისთავი მას
მფარველობას ჰპირდებოდა.

სოფლისთავი ევას ისევე ხმარობ-
და, როგორადაც იმ სოფელში ვირებს
ხმარობდნენ ხოლმე. უკნიდან უხეშად
უბიძგებდა და სტკენდა, მარტო იმი-
ტომ, რომ ევას სოფლისთავის დედასა-
ვით თვალებზე ეტყობოდა ამბოხისა და
გაქცევის სურვილი.

მუნჯი სწორედ იმ ლამით მოკ-
ვდა. მის გასაპატიოსნებლად მოსულმა
მღვდელმა ევას უთხრა, რომ ყველაფე-
რი ცუდი ჩვენს განსაწმენდელად ხდე-
ბა, რომ წყალკურთხევას მივიდეს და
ცოდვები ჩამოიბანოს.

ევა კი სხვასთანაც მიდიოდა დასა-
წოლად, თითქოსდა წმინდანის ჯიბრზე
ირჩევდა ყველაზე ბინძურებს იმ სო-
ფლისში.

სად იყო წმინდანი მაშინ, როცა ევა
გაჩნდა? საერთოდაც, სად იყო წმინდა-
ნი, როცა ბიძის შერჩენილ თესლს ინ-
მენდდა ბარძაყებიდან?

მღვდელს რომ მოსმენა შესძლებო-
და, ხომ შესჩივლებდა ევა, რომ ორ-
სულადა და არც იცის ვისგან – სოფ-
ლისთავისგან, სოფლის მენახირისგან,

რომელიც ყველს ჩუქნიდა ხოლმე, თუ
უბრალოდ სკოლის მოსწავლე დიდი
ბიჭებისგან, რომლებიც მორიგეობოთ
ხმარობდნენ მას.

რა ბედი ეწოდა მის შვილს? როგორ
გაზრდიდა?

თვითონაც ხომ ასე გაჩნდა? დედა-
მისი მწველავი იყო. მენახირე უყვარდა.
მინდორში შემცივნული, ევას დედას
ბოსელში ხარბად უკოცნიდა ხოლმე
თბილ მკერდს და რა წამსაც ევას დე-
დას მუცელი გამოებერა, გაქრა. ევა
გაჩნდა და დედამისიც დამთავრდა. იზ-
რდებოდა უშვილძირო მუნჯ ბიძასთან.
ხალხიც სულ იმას ასმენდა, რომ ცოდ-
ვის ნაყოფი და ნაბიჭვარი იყო.

თვითონაც ხომ სანახევროდ მშიერი
იყო, ვინ მიაწოდებდა საჭმელს გოგოს,
რომელმაც „ლაჯი აილო“ და ყველას-
თან დაწვა. იცოდა, ბავშვს თუ გააჩენ-
და, უფრო გაუძალლდებოდა ცხოვრება.

გადაწყვიტა მუცელი მოეშალა.

გაგებული ჰქონდა, რომ სიმაღლი-
დან გადმოხტომით ბავშვის მოკვლა შე-
იძლებოდა. საყდრის გალავანზე ავიდა
და, როცა უნდა გადმომხტარიყო, ხმა
მოესმა.

„ნუ დგახარ მანდ!! ეშმაკი ხელს
გკრავს და გადმოვარდები!“ – ხმა სოფ-
ლისგან მოძულებული მკითხავისა იყო,
რომელიც ძველ სასაფლაოებზე სამ-
კურნალო ბალახებს აგროვებდა. ის არ
უყვარდათ იმ სოფელში, თუმცა სჭირ-
დებოდათ. მშიშარა და ზიზლიანი არ
იყო, დამარხვის წინ მკვდრების გაწმენ-
და შეეძლო სველი ნაჭრით და კიდევ
ყბის აკვრა, ღმერთთან სუფთები რომ
მისულიყვნენ.

ევას გაუკვირდა, თუ რა უნდოდა
საყდარში ეშმაკს, მაგრამ ვერ ჰკითხა.
ისევ იმ ქალის ხმა მოესმა.

„ლოდი აწიე! ლოდი!“

როცა მოხუცი მკითხავი თვალს მიე-
ფარა, ევა უშველებელ ლოდს დაეჯაჯ-
გურა და, ჭინთვით, სუსტ მკერდამდე
აითრია. როცა ქვა დაუვარდა, მოლო-

დინით დააცქერდა თავის უბესა და მუ-
ცელს. ბავშვი აღარ მოძრაობდა.

ბავშვი მეთოთხმეტე კვირას, ყინვი-
ან იანვარს გაჩნდა, იმ მდინარის სათა-
ვესთან, სადაც წყალს აკურთხებდნენ
ხოლმე.

მკვდარ ტიტველ ბელურას ჰგავდა,
ნიგვზისოდენა თავით, კანქვეშ მოლურ-
ჯოდ მოუჩანდა პანანინა ორგანოები
და გამჭვირვალე თხელი თითები სახე-
ზე ჰქონდა აფარებული, დარტყმისგან
თავს რომ იცავენ ხოლმე, ისე.

უბეზე სისხლმიყინული თეთრი ევა
გულალმა იწვა თოვლზე. ისეთი შეგ-
რძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ნა-
ჯახი ჩაერტყა მისთვის გულ-მუცელში.
ძალის მოკრეფას ცდილობდა, რომ ამ-
დგარიყო და შვილი დაემარხა. აქ მი-
სი სოფლელები ნაგავს ყრიდნენ და აქ
ობოლი იასამანი იდგა.

„იანვარა... იანვარა...“ – ჩემს სა-
ხელს დასჩურჩულებდა ევა ბავშვს.

ზმულით გადაბრუნდა პირქვე,
მწოლიარემ თეთრი იასამნის ქვეშ გაქ-
ვავებული თოვლ-მინა ფრჩხილებით
ამოჩიჩენა და გაყინული იანვარა ჩაა-
ასვენა. როცა საფლავის ბორცვი სე-
ლისგულებით მოტკეპნა და ზედ ლოდი
მიაჩირჩა, მანანნალა ძალლებს რომ არ
ამოეთხარათ, ზარის რეკვა ჩაესმა. სან-
გრძლივად რეკვადა, ეს რეკვა ზეიმის
მაუნყებელი იყო სოფლები და ხალხს
ამცნობდა, რომ წყალი დაწმინდავდა.

ევას კი ზარის რეკვისას სულ სხვა
ხმა ესმოდა:

„მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის
ნაჭერი!!!“

„მკვლელი ხარ, ამ ხალხის სულის
ნაჭერი!!!“

ადგა, არ გაუფშვნეტია ხელები, მო-
ზემე ხალხისკენ წავიდა, მდინარეს
ჩაუყვა, სისხლის გემო ჰქონდა პირ-
ში, აღარაფერი უნდოდა, შურისძიების
გარდა.

ევას ევლია არ დაუნახავს, რომე-
ლიც ამ ყველაფერს დიდ წნორს ამო-
ფარებული უყურებდა.

მე ამ დროს ნისლიან მდინარესთან
ვიდები. მეც ვიპკურე ნაკურთხი წყალი
და დავინახე, როგორ ჩადგა ევა, ხატ-
ზე სამთხვევად, რიგში, სხვა ქალებთან
ერთად. ქალები აიმრიზნენ, კაცებმა
შეათვალერეს.

გამიკვირდა, ის იქ არასოდეს მინა-
ხავს, მღვდელს კი გაუაღდგომდა სა-
ხე, როცა უძღები შვილი დაინახა. ხატი
მოუმზადა, რომ მთხვეოდა, თუმცა სა-
ერთოდ არ ჰქონდა ევას მომნანიებლის
მორჩილი სახე.

სულ რამდენიმე წამით ჯერ სახეში
დააშტერდა წმინდანს, შემდეგ კი ამო-
იძახა: „შენ მაინც ვერაფერს ხედავ!“
– და ხატს მინიანი ფრჩხილები უტყვ
თვალებში ჩაარჭო.

სამარისებურ სიჩუმეში ჭახანის ხმა
გაისმა. სოფლისთავი პირქვე ჩამხობი-
ლიყო წმინდა მდინარეში. იქვე ეგდო
სისხლიანი ქვა და იქვე, ნისლში იდგა
ევლიაც.



ბესო ბვედელიძე

ინფიცირება
(ფრაგმენტი მომავალი რომანიდან)

„რაც მნიშვნელოვანია, ყოველთვის სადმე სხვაგანაა“.
(ანტუან დე სენტ-ეგნუპერი. „პატარა პრინცი“)

„გივი! გივი, წავიდნენ!“
(რეზო ჭერიშვილი. „ცისფერი მოები“)

ასეთი დამცირებული, შეშინებული და დამარცხებული საკუთარი თავი მე არ მახსოვს – ასე უსაშველოდ გამოცარიელებული და პირნმინდად გაძარცული არასოდეს ვყოფილვარ. მთელი კვირა ციებიანივით მაკანკალებდა და ფიქრებშიც აცაბაცად ვიყავი აჭრილი. ყველაფრის ხალისდაკარგული ძირითადად ჩემს ოთახში, საწოლზე ვეგდე და ჭერის ღვლარჭნილ ბზარებს ნაღმა-უკულმა ვითვლიდი, თუმცა ამ გადათვლის ღრიჭოებშიც მოძვრებოდნენ ჩემკენ ქეთოთი დაინფიცირებული ფიქრები, ანუ იმდენად ვიყავი ამ გოგოთი ერთდროულად აღფრთოვანებული, თან მონუსხული, დაბნეული და დაძაბულიც, რომ შინაგან ემოციათა ამ უთავბოლო დარღუბალამ რამდენჯერმე სუნთქვაც კი დამავიწყა და ბოლოს ძლივს, ხრჩობას ბეწვზე გადარჩენილივით, საზარელი ხველებით ამოვისუნ-

თქე. საშველი არ ჩანდა – ეს უცნაურზე უცნაური და ჩემზე აშკარად ბევრით მეტი გოგო ასე შორიდან, დისტანციაზეც მოქმედებდა: ჩემი წარმოსახვის ყველაზე ნათელ კუთხეში გემრიელად მოკალათებული, შურისმაძიებელი ამპარტავნებით აღსავსე სახით ზემოდან დამცეკროდა და თითქოს სამართავი პულტით მმართავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჩემში ბოლომდე შემოსახლების მოსურნე, რაღაც გრანდიოზულ გადატრიალებასაც აპირებდა თავის გემოზე და თან ისე, რომ მე არაფერს მეკითხებოდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს ჯერ კიდევ დასაწყისის დასაწყისი იყო – შემოსვლას ხმაურიანი ნგრევა და აქამდე მოტანილის კაპიტალური გაპარტახება უნდა მოჰყოლოდა. ეჭვის ნაცრისფერი ვირთხა შიგნიდან ხმაურით მღრღნიდა და მკარნახობდა, რომ დრო იყო, ძალები მომეკრი-

ფა და მეც საკადრისი პასუხი გამეცა ქეთოსთვის, მაგრამ სადღა მქონდა ეგ ძალები და ენერგია?.. ბოლო შესვედრისას ქეთოს ყველაფერი თან წაეღო და მეც, ბოლომდე გამონველილი განტევების ვაცივით ვგრძნობდი თავს, თუმცა, ვაცს რა აქვს რო გამოსაწველი?!.. თან კი, პარალელურად, ისეთი ხორციელ-ოლრაშული ვნება მკლავდა ქეთოს მისამართით, როგორც არავის მიმართ! ისედაც, ხომ ბევრ გოგოსთან ურთიერთობაში მახსოვდა ჩემი თავი?.. აქ კიდევ, მთელი სხეულით აყენებულ-ამდგარი, ბოლომდე მიდრეკილი ვიყავი ქეთოს ხორცის, სხეულის, ტანის, თავის, ფეხების, მკერდის, ხელისგულების ნაბისმიერ ფასად და რაც შეიძლება მალე დაუფლებისკენ. ამის გამო იყო, ბევრ ისეთ რამეს ვთმობდი, რაც არ იყო დასათმობი, მაგრამ ასეთი ჩამონერილი ვერაფრით ვენინალმდეგებოდი თავს! და ამ დროს, ლამის ჩემზე მეტად იყო რადიოგადაცემა „ლუფერათი“ ინფიცირებული ბებიაჩემი, კატლეტისთვის ხორცს და დამბალ პურს რომ მატარებინებდა ხორცის გასატარებელ მანქანაში და იქვე საქმიანად მოქმოთქოთე ენას არ აჩერებდა:

— ის უცხოპლანეტელი კაცი კიდევ არ დაკარგო, ბებოს ჩიტო!.. ნელა ატ-რიალე! ხახვიც მიაყოლე! ნიორი კაია გულისთვის! ძილისთვისაც! ტელეფონი გამოართვი! შენ თუ არ გცალია, მე ვნახავ! გაიგე, სად ცხოვრობს და რა უბნელია... თუმცა, მაგას რაღა აზრი აქ, თუ მართლა ციდანაა ჩამოფრენილი! მნვანილიც გაატარე, ვასიკო!

ქეთო კი, ამ დროს, თითქოს კულინარიულად იყო შეერული ბებიაჩემთან, ეთერში ეგეთ სიგიჟეებს სხლავდა:

— ვიწყებთ ჯინჭრის ფხლის მომზადებას პირდაპირ ეთერში. ჯინჭარი ხომ იცით რაცაა და სადაცაა? ანუ, როგორ არ მოვკვდეთ შიმშილისგან ამ დამშეულ ქვეყანაში! ესე იგი, ინგრედიენტები ჩაიწერეთ: ბლომად ჯინჭარი, ორი თავი ხახვი, ორი ცალი კარტოფილი, ერთი

ცალი კვერცხი! ღარიბებისა და მომარხულებისთვის უკვერცხოდაც შეიძლება! მარილი. წყალი. ცეცხლი. მთავარია ვიყოთ თანმიმდევრულები. მოგეხსენებათ, ეროვნული ჯინჭარი სუსხავს (ტ) კივილამდე, ამიტომ ჯერ ხელებზე უნდა წამოვიცვათ რამე (რეზინის თათმანი, ნასკი, ცელოფინის პარკი), გავიდეთ გარეთ ტაშტით და დაკუაროთ უბნის გზისპირებს. თბილისში არ მოიძევება უბანი (დიდი თუ პატარა დილომი, პლატო ნუცუბიძისა, დიდუბე, ლისი, ვეძისი, კუსტბის ასასვლელი გზა, ბაგები, სოლოლაკი, მთაწმინდა, ავლაბარი, ისანი, ორხევი, ალექსეევკა, ფონიჭალა, ავჭალა, დამპალო, აფრიკა, მერვე პოლკი, ოქროსუბანი, ლოტკინი და კუკია), რომლის გზისპირებსაც ლამის ბაკენბარდებად არ ამშვენებდეს ეროვნული ჯინჭარი, როგორც ასეთი! ვაწყვეტით ყოველ ძირს თავთავიდან ორსამ რიგს (ციდრემდე ღერო ნედლია) და ვაგროვებთ ტაშტში. შემდევ სავსე ტაშტით და სახეზე ამპარტავანი ღიმილით ვბრუნდებით შინ და უკვე ჩუმი ღილინით (მელოდია პირადი გემოვნებით) ვრეცხავთ მონაკრეფს აუცილებლად ცივ წყალში. თუ ნახვრეტებიანი, მოდრუშლაკო ჯამი გაქვთ, საქმე წინ წაგიგდიათ! პარალელურად, წყლიან ქვაბს ვადუღებთ ცეცხლზე, გარეცხილ ჯინჭარს დანით ვკეპავთ ხის დაფაზე და ვყრით ანადუღარში. ზედ ფერშემად ვაყოლებთ მუჭ მარილს და ვიდრე ეს ქვაბი კარგად ადუღდება, ვჭრით ხახვს იმავე ხის დაფაზე. იქვე კარტოფილსაც ვაჭრით ზედ კუბიკებად და ორივეს ერთად ვთუშავთ ზეთიან ტაფაზე. სანამ ეს ხახვი მოითუშება (კარტოფილი და-იკიდეთ), ჯინჭრიანი ქვაბიც ადუღდება აუცილებლად!.. ამის მერე, ვაპირქვავებთ ამ ტაფას ყველაფრიანად ქვაბში და ვურევთ (თუ რამე მნვანილი გაქვთ: კამა-ნიახური-ქინძისმაგვარი, ეგეც მიეცით ქვაბს დაუნანებლად), თან გატეხეთ კვერცხი, ათქვიფეთ და ჩაასხით ეგეც გულალალად იმავე ქვაბში,

მოურიეთ და ადულეთ კაი 10-15 წუთი „მზეო, ამოდი-ამოდის“ თანმხლები ღილინით!.. მარილი კიდევ შეიძლება, გე-მოვნებით!.. და აქ მორჩა ჯინჭარ-კინო! გადაიღეთ ღრმა საინზე და თვალდახუ-ჭულმა მოსვლიაპეთ! პირველ კოვზს აუ-ცილებლად მოჰყვება მეორე-მეექვსე-ათმეთორმეტე... და ჩათვალეთ, რომ გადარჩით!.. ჯინჭარი კიდევ ჭ-თი იწე-რება მგონი! რომელი უფრო სწორია, ბოტანიკ-ფილოლოგებმა გვითხრან! და გამოთ! ვივა გადარჩინილ სიცოც-ხლებს! და კიდევ, პოსტ-სკრიპტუმად – ჯინჭარი სასწაულად წმენდა ირგა-ნიზმს ტრქესინებისგან, ამაღლებს ჰე-მოგლობინს, ეხმარება ანემის, ავიტა-მინოზის, შაკიკის, კანზე გამონაყარის დროს. სასარგებლოა ძვლების გასამაგ-რებლად, ღვიძლის, შარდის ბუშტის, სასუნთქი გზების გასაწმენდად. აუმ-ჯობესებს, უკაცრავად და, ბუჟასილის მდგომარეობას. ეხმარება შემდეგი ავა-დობების განკურნვას: ათეროსკლერო-ზი, რევმატიზმი, პოდაგრა, დიაბეტი, პროსტატა, გასტრიტი, გულსისხლძარ-ლვთა დაავადებები. აქვს ანტიკარცე-ნოგენური თვისებები. ანუ ჯინჭარი ყოფილა თვით პიროვნება! შესაბამი-სად – გაუმარჯოს ყველა ჯინჭარაიას, ჯინჭარაშვილს, ჯინჭარაულს, ჯინჭა-რაუსკასას, ჯინჭარსონს, ჯინჭარე-კუს, ჯინჭარაევს და ჯინჭაროლლის! გამოვიძახოთ ეთერში მუსიკის ჯინი – პაკისტანელი დიდრონი ნუსრატ ფა-ტეჲ ალი ხანი, უბუთხუზესი პიროვნე-ბა, რომელიც ფანებს საკაცით აჰყავთ ხოლმე სცენაზე, იმსიმძიმეა ოხერი!..

– რა უნდა შენგან ამ გოგოს, ბებოს ჩიტო? – შემეკითხა ბებიაჩემი ქეთოს მონოლოგის დასასრულს და მზერა გა-მომცდელად გამიყარა.

ასე გამოჭერილი ჩქამში ავიბენი.

– რატომ ჩემგან?

– სუ ტყუილა ატრიალებ მაგ სახე-ლურს!.. გატარდა! ახლა კი, კატლეტი! წადი, ჩულანიდან ერთი ბოთლი ტყემა-ლი გამოიტანე.

– მწვანე? – მწვანეა მანდ ყველა ჯინჭარივით, ჯინჭარაძე!

არც შემდეგ პარასკევს მოსულა ედ-გარი რადიოში. საღამოს ათიდან დი-ლის რვამდე ისევ მარტომ გადავაგორე მთელი სმენა.

– ამ მტრედებმა ხომ შეჭამეს ტვი-ნი, რადიომსმენელო!.. იქნებ დარეკოს და მითხრას ვინმემ, რატომ სხდებიან ზუსტად რადიო-სტუდიის ფანჯრის გა-რე რაფაზე?.. ისე, მტრედი კაის ნიშა-ნია მგონი! ადრე, მტრედი ვისაც თავ-ზე აჯდებოდა, მეფედ ირჩევდნენო!.. ეგ ადრე იყო, ძალიან ადრე... ვის რა ჯანდაბად უნდა მეოცე საუკუნის და-სასრულს მეფე?.. ეგლა მაკლია მტრე-დი დავიჯინო თავზე!.. აი, აგერ ზის და მიყურებს! აბა, ავდეგ-მივიდე, თუ გაფ-რინდება? ვაჟუაცი მტრედები მიყვარს მე! აი, თქვენ ვერ ხედავთ დ მე ფრთხი-ლად გავიწოდე ხელი მტრედისკენ... გე-უბნებით რა – არ ეშინია! უკვე სრიალა ზურგზეც გადავუსვი ხელისგული... ო, რა სრიალა! ფრთებზეც ჩამოვაყოლე... მერე ფეხებთან ჩამოვუცურე... ვაიპ! თითებით რალაც მკვრივს ვგრძნობ!!! ეს მტრედი კი წამით არ ფრთხება – შავი კნოპკა თვალებით ისე მათვალი-ერებს, თითქოს ჩემი სამუდამოდ და-მახსოვრება უნდა! მოიცათ, ვნახო აბა, რა გაქვს, მტრედი! ჰალილუია, რადი-ომსმენელო! მტრედის მარცხენა ფეხზე მინასკვულ პატარა ქისას! აბა, გავიხ-სენოთ ბავშვობაში წაკითხი წიგნები, საფოსტო მტრედები, ავტორები, სახე-ლები, პერსონაჟები!.. აპათ! თითებით ვგრძნობ, რომ ქისაში რაღაც დევს! ოოოოოოო! ვინც გამოიცნობს, რა მო-მიტანა ამ სრულიად უცხო მტრედმა საჩუქრად, მას გადაეცემა პრიზი ჩვენ-გან! აბა ვეცით ტელეფონებს, ხოლო მე კი, მტრედითურთ, ველი სწორ პასუხს! იქამდე კი ლეგენდარული ლივერპულე-ლები – ჯგუფი „ბიტლზი“ სიმღერით “Free as a bird”.

დილით არც ქეთო შემენაცვლა. მის მაგივრად ბესა მოვარდა კვლავაც აფოფრილი თმითა და გამოუძინებელი მზერით.

— ქეთო სადაა?.. ლიფტში გაიჭედა, თუ ბებია მოუკვდა?

— ვერ მოვალო, ვასა!..

— უხ!

— შაბათობით საერთოდ ვეღარ ვივლიო!.. სხვა დღეზე გადამატანინა მორიგეობა... შენი ნახვა არ უნდა, მგონი და მაგიტომ... მიზეზები თქვენ ორმა უფრო უნდა იცოდეთ! მე გაფრთხილებდი, თუ გახსოვს!

— თავიდანვე რატომ არ მითხარი, რომ ვერ იყო და აფრენდა?

— კარგი რა, ვასა!.. ეგრე, მეტნაკლებად ყველა ვერ ვართ და ვაფრენთ! უბრალოდ, ქეთო არ მალავს მაგას და მაგ სიმართლის გამოა ქარაშოტ-ურაგანივით!.. შენ რა, შენი თავი ნაკლები გგონია?.. ჩაიხედე სარკეში, გეუნევი!.. დამაჯინე პულტონ, მე შეგცვლი!

ახლა ეს მიწყებდა ისევ თავისას, თუმცა ლიფტით რომ დავეძვი და სახლისკენ გავეშურე, გზად ვიღაცები გადავთვალე გონებაში და ყველას მართლაც ერთნაირი დიაგნოზი დავუსვი: ქეთო ვერ იყო, ბესაც ვერ იყო, ბებიაჩემი ხომ ვერ იყო და ვერ იყო... ედგარზე ჯერ ვდუმდი, მაგრამ გული მასზე კიდევ უფრო უარესს მკარნახობდა.

სახლში მისულს, თავი მისკუდებოდა ტკივილისგან, გაუხდელად მიგდებული მითიშვას ვაპირებდი, ისევ ბებიაჩემი რომ დამადგა თავზე და საჩვენებელი თითის აწევით რაღაც გაზეთიდან ხაზგასმული ფრაზების ხმამალალი შტუდირება დაიწყო:

— მომისმინე, ბებოს ჩიტო!.. ესე იგი, უყურე რა უნერია ოთხი წლის წინანდელ „შანსს“! „ნეგატიური ენერგია ანგრევს არა მარტო ადამიანს, არამედ მთელ კოსმოსს!..“ ჰო... მერე... აგერ

— „უცხოპლანეტელები თავად ირჩევენ დედამიწაზე საკონტაქტო პიროვნებას!..“ შენზეა ეს!.. „ციმბირში არსე-

ბობს უცხოპლანეტელთა სასაფლაო!“ აპა!.. „გასაიდუმლებული ადგილია და იქ ყველა ვერ ხვდება!..“ ციმბირიდან ხომ არაა ის კაცი, ბებოს ჩიტო?.. კითხე მაინც! აგერ მერე — „უცხოპლანეტელებს ხოცავდნენ სატჭოთა კავშირის დროს, ხალხს რომ არ შეეტყო მათი არსებობა და იქ მარხავდნენ. რატომ? ალბათ, არ უნდოდათ, ელიარებინათ, რომ სხვა პლანეტაზეც არის სიცოცხლე!..“ ხალხია ახლა ეგენი? იმ სიშორიდან მოსულ სტუმარს ეგრე უნდა მოექცე? იმის მაგივრად, კაი მხრიდან დაენახვო, გაასინჯო, რაც კაი გაქვს, ხოცავდნენ! ეს წითელი მაიმუნები, ესენი!

მალევე მივითიშე. შუადღისას უკვე ბესას ზარმა გამალვიძა.

— რადიოს თანამშრომლების კრებაზე არ მოდიხარ, ვასა?

— უჩემოდ! მე ანდერძს ვწერ და ვკვდები!

— უჲ! შენ გენაცვალე რა, გეუნევი, ვასა! რა ხანია, კაი შილა არ მიჭამია შავი პილპილით!.. — ჩაიქირქილა ბესამ და გამითიშა.

საღამოსკენ ისევ მისმა ზარმა მომაფხიზლა.

— ყველა არანორმალურს მე რატომ უნდა გადავეყარო, ვასა?!

— რა არი? ცოლი მოიყვანე?

— ცოლი კი არა... ვერაა ეგ შენი ედგარ მელია, გეუნევი!

— ჩემი რატოა?

— ჯერ ხომ კრებაზე დააგვიანა!.. მერე მოვარდა სასწრაფოს წითელი ჯვარივით განითლებული!.. შენ გიკითხა!.. მე ვუთხარი, არაა, არ ცალია-მეთქი, ვასა!.. კრება შეგვაწყვეტინა — ძალიან მეჩერებაო!.. და უძერსკესი სფიჩი დადო: ჩემი რადიო-გადაცემა აღარასდროს აღარ გაგა „რადიო-ჯას“ ეთერშიო!..

— აბა სად გავაო? — ჩამწყდასავით გული.

— ტრაპიზონში ან იმის იქით! სადაც უნდა იქ გაუშვას, ვასა!.. ჰო, კიდე ისაო, გეუნევი რა...

აქ ბესამ პაუზა გააკეთა და მივხვდი, რომ რაღაც ძალიან სხვანაირი უნდა ეთქვა.

— თან მალე კონტაქტი მაქვს გარდაბნის ველზე, ვასა და სამუდამოდ მივდივარ დედამიწიდანო...

— რაო-რაო?!

— რავი მე?! უბერავს მასტი ბოლომ-დე, გეუნევი ვასა!.. მეტი რა უნდა მეფიქრა?.. მერე შენ ტელეფონს ითხოვ-და დაჟინებით!

— მერე?

— ეგეთებილა გაკლია, აი!! არ მივე-ცი, ვასა!

— აუ, ბესა... შენ რა მართლა ბანძი ხარ, რა!

კიდევ ერთ კვირაში „რადიო-ჯას“ ოფისში ქეთოს სანახავად შევიარე. რას ვეტყოდი, არ ვიცოდი, რას მიპასუხებ-და — მით უმეტეს... ჩემდა გასაკვირად, ყურადღება საერთოდ არ მოუქცევია, არც მომსალმებია, ვითომც სულ არ მიცნობდა. ერთი, რაც შევატყვე, მთე-ლი ჩემი იქცოვნის მანძილზე, რაღაც-ნაირად, მზაკვრულ-ემმაკურად იღიმე-ბოდა და მზერააბრნყინებული ეთერში ასეთებს გაჰქიოდა:

— როგორც ძვირფასმა კარლ-გუსტავ იუნგმა ბრძანა: „მამაკაცის არაცნობი-ერს აქვს ფემინური ხასიათი და ის იმა-ლება მის ქალურ მხარეში! იმ მხარეში, რომელსაც ის ბუნებრივად ხედავს არა საკუთარ თავში, არამედ ქალში, რომე-ლიც ხიბლავს მას!.. ვიფიქროთ ამაზე ერთად „რადიო-ჯას“ მსმენელი!..

რაღაც აშკარად მომწონდა ქეთო-ში, ანდა „მომწონდა“ სულ სხვა ზმნა იყო — ეს შეგრძნება მომწონებაზე მეტს მოიცავდა და გულისხმობდა, ოლონდ კარლ-გუსტავ იუნგისგან განსხვავე-ბით, მე აშკარად იმაზე ვირეოდი ქე-თოში, რაც ძალიან თან ჩემი იყო და ამ დროს მთელი ცხოვრების მანძილ-ზე მაკლდა, ქეთო კი ისევ მოუღლე-ლად ბზრიალებდა „რადიო-ჯას“ ეთერ-ში და თითქოს სწორედ ჩემ გასაგონად

ფქვავდა ასეთ აზრებს:

— ჩემი დაკვირვებით, რაც უფრო ემ-პათიურია მამაკაცი ქალის მიმართ, მით უფრო განვითარებული აქვს საკუთარი ფემინური ნაწილი და ამიტომ იოლად შეუძლია ქალს გაუგოს, რადგან მასში ცნობს საკუთარს! როცა კაცი მოძა-ლადეა ქალის მიმართ, ეს მეტყველებს მის სულიერ განუვითარებლობაზე! ასევეა ქალებშიც! თუ ქალი არ თამა-შობს კაცთან არც მოძალადეს და არც მსხვერპლს, არ მანიულატორობს და თანასწორად აღიქვამს მას, ეს ნიშნავს, რომ მან საკუთარ თავში ამოსწია მამა-კაცური არსი და ამ შინაარსს ხედავს სხვა კაცშიც. საბოლოოდ, ყველაფერი მიდის ამ ორი სამყაროს გამთლიანე-ბისკენ, რომელიც ადამიანში უნდა გან-ხორციელდეს, როგორც მთელში. ჩვენ ერთმანეთში ის გვიყვარს, რასაც ვც-ნობთ, და გვძულს ის — რასაც ვერ ვც-ნობთ. რაც მეტს ვცნობთ, მით უფრო იზრდება სიყვარული და თვალიც სულ უფრო გვეხილება. მანამდე კი, სიბნე-ლები დავდივართ ხელისცეცებით და ვებრძვით ყველაფერს, რადგან ბარიე-რი გვგონია!.. და აქვე სიმღერაც „რა-დიო-ჯას“ ეთერში — „Love me tender“ კაცი-ლეგენდა ელვის პრესლის შესრუ-ლებით!

მზეზე დიდხანს ნაკიდი სარეცხივით გამშრალი და ტურასავით კუდამოძუ-ებული გამოვბრუნდი რადიოდან. ჩემ-თვის შეიძლება სპეციალურადაც აღარ ეცხელა, მაგრამ მოსატანი კი მაინც ძლიერად მოეტანა — საკუთარ თავს რომ ვაკვირდებოდი, ერთი უახლესი შინაგანი ცვლილება ყველაფერზე უფ-რო მიხარებდა გულს: იმ დღეებში რამ-დენჯერმე ვცადე ჩემი „ყოფილების“ და განსაკუთრებით ბოლო სალათის-ფერთვალება გულისმომსპობის გახსე-ნება და სახტად დავრჩი — მეხსიერების ჭრელი კედლიდან ყველა ეგეთი პიროვ-ნება პირწმინდად იყო წაშლილი. სამა-გიეროდ, იმავ კედელზე, დიდზე დიდი ასოებით, თითქოს პულვერიზატორით

მიეწერათ ხასხასა სისხლისფრად: ქ ე
თ ო

იმავე შუადღით მივადექი იმ ყვითელი უურნალის რედაქციას, სადაც ედგარ მელია პლანეტა ლუფერას შესახებ თავის სტატიებს ბეჭდავდა.

რედაქტორი უშაქრო ჩაით და ვადაგასული ვაფლით გამიმასპინძლდა.

— აფრენს ეგ კაცი, ჩემო დიშვილის ძმიშვილო! — მითხრა ჩაის ერთობლივი ხერებისას. — მოგვივარდა ამასწინათ, აღარ ვბეჭდავ თქვენთან აღარაფერსო! არ გავულანძლივართ, მაგრამ ბევრიც არ დაუკლია! ვითომ, ჩემი ბრალია, მაგის ნაჯღაბნს არავინ რომ არ კითხულობდა!

— ტელეფონი ხომ არ იცით?

— ტელეფონი კი არა, საერთოდ არაფერი არ ვიცით, ჩემო ძმიშვილის დიშვილო! მასალა კვირაში ერთხელ „ვორდში“ აკრეფილი მოჰქონდა, დისკეტით! ეგრე მოვიდა სულ თავიდანაც... დისკეტით ხელში და სუ თეთრებში! სანეპიდსადგურიდან მეგონა მოგზავნილი!

— ხომ კითხულობდით მასალას?

— ალაგ-ალაგ... ხომ იცი, მაინც რა დროა, ჩემო დიშვილის ძმიშვილო? ჭირს მასალა. ეს კიდევ ადგილს მაინც გვივსებდა და ჰონორარსაც არ ითხოვდა ბერნებს!

— ...უკვე ყველაფერი გასაგება!

— ჰონიციპში, მოცულობით, შინაარსითა და შესრულების დონით იმ მინიმალურ ზღვარს კი აკმაყოფილებდა, რის ქვემოთაც ჩვენი უურნალი არასოდეს ეშვება! ეს ჩვენი გაუხუნარი ტრადიციაა!

წამოსვლისას ჩავეკითხე — ფაილები ხომ არ გაქვთ შენახული-მეთქი და:

— მეხსიერება დავირუსებული აქვს ვინჩესტერს, ჩემო ძმიშვილის დიშვილო! ამიტომ ძველ მასალებს ვშლით ხოლმე. მერე, მგონი, თქვენკენ მოჰქონდა!.. თუ პირიქით იყო...

— პარასკევ ღამით...

— კი-კი! რადიო-გადაცემა... რა

ჰქვია?

— „ლუფერა“!.. უსმენდით?

— სარეკლამო რგოლი მაქვს მოსმენილი რამდენჯერმე მანქანაში! იგივე სათაურით იბეჭდებოდა ჩვენთან! ოლონდ — სხვადასხვა ქვესათაურებით!

— კი მაგრამ, კორექტორი მაინც არ კითხულობდა ან კომპიუტერშიკი?

— შტატებიც ჭირს, ჩემო დიშვილის ძმიშვილი! კორექტორს ვერ შევინახავთ! კომპიუტერშიკიც გამზადებულ ფაილს აგდებდა მაკეტში. მეც ერთხელ წავიკითხე... სულ თავიდან! ანუ, პირველმა! ისიც ალაგ-ალაგ-მეთქი!.. ბოლომდე ვენდობოდი... არა! ისე, რა დასამალია და საკმაოდ გამართულად წერდა! მე ვიტყოდი, თავისებური სტილიც კი ჰქონდა! განსხვავებული და ორიგინალური ხელნერა! თქვენ რას იტყვით, ჩემო ძმიშვილის დიშვილო?

ესეც უმუავეს ტყემალზე იჯდა.

— ძველ ნომრებსაც არ ინახავთ?

— მოიცა! თქვენ გგონიათ, რაიმე აუტეხა თავს?!

— ატეხვით არა მგონი, მაგრამ...

— არა, ისე, კი თქვა, მალე გარდაბნის ველზე კონტაქტი მექნება და სამუდამოდ მივდივარ აქედანო!

— აპა!

— ჟურნალის ძველი ნომრები?.. რა თქმა უნდა, ჩემო დისშვილის ძმიშვილო!.. რამდენიც გნებავთ!.. საჩუქრად გაგატანთ! რა სალაპარაკოა!

რედაქტორმა საწყობში შემიყვანა და ჭერამდე აწვდილ მტვრიან მაკულატურაში კაი ხანი იქექა. ჩაწეული ჩარვლიდან სანახევროდ უჩანდა ბანჯგვლიანი ტრაკი. მერე მთლად გაოფლიანებული მომიტრიალდა.

— ეტყობა, სულ გავუშვით გაყიდვაში! — დაინყო იქვე თავის მართლება. — დიდი ტირაჟითაც აღარ ვბეჭდავთ! ვიღას უნდა ქაღალდის უურნალი და გაზითი ჩვენს დროში წასაკითხად, ჩემო ძმიშვილის დიშვილო!.. ძალიან ცოტა იყიდება! რაც გვრჩება, ვაგზლის ბაზრობასთან ვუშვებთ მეოთხედ ფასში!

პროდუქტის შესახვევად იყენებენ გამყიდვები! ბითუმად იღებენ მეხორცები! „დინამო“ სტადიონის ქალებსაც მიაქვთ – ფეხბურთის დროს ყიდიან სკამზე დასაფენად! მზესუმზირის კულიოკებსაც აკეთებენ მესემიჩკები! აგერახალი წომერი წაიღეთ – საინტერესო სტატიაა თურქ მესხებზე! ინტერვიუებიცაა დევიდ კოპერფილდთან, ჯუნა დავითაშვილთან და საბრინასთან! არა, უნდა დავხერო უურნალი, ჩემო დიშვილის ძმიშვილი! ტყუუილი წვალებაა!.. არადა, ხომ ხედავთ, რა კაი ფართია! რაღაც ვარიანტები კი მაქს!.. საშაურმე ხომ არ გამეხსნა?.. წესით, მაგრად უნდა იმუშავოს ამდენ დამშეულ ხალხში!.. ან საზოგადოებრივი ტუალეტი! თქვენ ხომ არ გვირჩევდით რამეს, ჩემო ძმიშვილის დისმვილო?..

– ბარემ ორივე გახსენით... გვერდიგვერდ!

– ეგეც იდეა!.. კრეატიული აზრია! თუ მივაგენი ძველ წომერებს, აუცილებლად დაგირჩევათ!

შემდეგ თვეში ლამის ყველა პროზექტურა და საავადმყოფო მოვირბინე თბილისში. ეგეთი სახელ-გვარის მქონე მაინც არავინ არსად აღირიცხებოდა.

პროზექტურაში ვიღაც გადამთვრალი, გომბეშოსავით მძორი დამიხვდა.

– რა მელია და მგელია, ჩემო ბრატიშვა? ჩვენ მხოლოდ ზდაროვი ადამიანთა ორგანოებს ვასხვისებთ და ისიც მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ! დონორობა არის ფრი, ანუ ნებაყოფლობითი ამბავი. ორგანოს გაცემაზე თანხის მიღება ითვლება კრიმინალად! ისე, თირკმელებზეა ახლა მაგარი სპროსი, მაგრამ ჯერ უნდა დაჩინდე, ანუ შეემონმო, რომ რაიმე ბრავი არ ჰქონდეს გასასხვისებელ ორგანოს... სისხლის ჯგუფი, რამე, ტრალივალი!.. ყველაფერი გასათვალისწინებელია!.. ჩვენ საუკეთესო კლიენტურა გვყავს!.. დონორებიც! ხოლო, თუ გსურთ, თქვენი გარდაცვალების შემდეგ, აჩუქოთ სიცოცხლე სხვა მომაკვდავ ადამიანს ან

დაუბრუნოთ მხედველობა უსინათლოს, შეგიძლიათ განევრიანდეთ „ორგანოს ან ქსოვილის დონორთა ეროვნულ გილდიაში!“

მერე პოლიციაშიც ვიპოვე ნაცნობები.

– თანამშრომლობა და ვინმეს ჩაშვება ხომ არ გინდათ? დასმენა ანუ... ოპერატორულ ინფორმაციას თუ მოგვაწვდით, დანარჩენს უსწრაფესად მივხედავთ! რამე ფოტო-ვიდეო-მასალა თუ გაქვთ, დანაშულის მტკაცებულებას რომ მოიცავდეს, ხომ საერთოდ ავშენდებით!

ციხეებიც გადავქექე. არც პატიმრობაში იმყოფებოდა ვინმე ასეთი. ციხეთა საერთო ადმინისტრაციამ ქვა ისროლა და თავი შეუშვირა: ბოლო წლებში ეგეთი არავინ შემოსულა ქართულ ციხეშიონ!

მერე კიდევ უფრო გავაფართოვე ძებნის არეალი და ლამის ქვეყნის მასშტაბითაც ვჩერიკე. ასათიანზე, ფსიქიატრიულშიც ვიყავი და იქაც მოვიკითხე. არც იქ ჰყავდათ ვინმე ეგეთი – არც აღრიცხვაზე და არც პაციენტებში.

ვითომც სულ არ ყოფილა.

– ასე 60 წლამდე. მაღალი. ხმელი!.. მთლიანად ჭალარა. ედგარ მელია! თუმცა, შეიძლება არც ერქვა ეგრე... – ედგარ მელია? – ჩახედა დავთარს ფსიქიატრიულის განყოფილების უფროსმა. – არა. ეგეთი აქ არავინ წოლილა!..

– უცხოპლანეტელად ხომ არავინ ასაღებს თავს?

– რამდენიმე გვყავს ეგეთი!.. ყველა მეორე ბლოკშია!.. მაგრამ ეგეთი სახელი და გვარის არავინაა! არც აღწერილობა ემთხვევა!.. თან ჩვენ ჩვენებს გარეთ არ ვუშვებთ! მით უმეტეს, რადიოში სამუშაოდ!.. მკაცრ კონტროლზე გვყავს ყველა!

– კი მაგრამ, ქეთო?.. „რადიო-ჯაში“ რომ დიჯეობს?

– ეგ ქალბატონი უკვე ნახევარი წელია, სახლში გადის მკურნალობის

კურსს, ბატონო ჩემო! კი! იწვა ჩვენთან წლები, მაგრამ რადიო-წამყვანობამ და მასასთან ურთიერთობამ, ასევე წარმატებულმა მედიკამენტოზურმა კურსმა, პლუს ფილიპინური ჰიპნოზის საუკეთესო სენსებმა, მეტნაკლებად აღუდგინეს დაზიანებული ჯანმრთელობა! ნუ, ყოველ შემთხვევაში, აშკარად დიდი დოზით გამოიდევნა მისი აშლილი ფსიქიკიდან ბიპოლარული და მისი მოსაზღვრე ისტერიული, მანიაკალურ-დეპრესიული, ფსიქოპატური, პარანიიდული თუ შიზოფრენიული განზეგასვლები! ეგ ერთადერთი პიროვნებაა, ვინც ჩვენგან ლამის სრულიად განკურნებული გავიდა! მან, უბრალო ენაზე რომ ვთქვათ, მოიძია საკუთარ თავში ნებისყოფა და კუდით ქვა ასროლინა საკუთარი მე-ში შემოსახლებულ უამრავ ბინძურ ეშმაკეულობას...

ქეთოს ამბავმა სადღაც ძალიან კი გამახარა, მაგრამ მაინც ჯიუტად ვიდექი ჩემსაზე.

— იქნებ სხვები მანახოთ მაინც!.. ზოგი იცვლება დროთა განმავლობაში ფიზიკურად!.. და თან, შეიძლება სახელ-გვარიც გამოგონილი ჰქონდა...

— აგერ, ბატონო! — განყოფილების უფროსმა საქალალდეები გადმოიღო და ყველა მათგანი რიგრიგობით გადახსნა.

ფოტოებიდან აშკარად სხვები მიყურებდნენ.

— და არის იმის შანსი, რომ ადრე წოლილიყო თქვენთან ბატონი ედგარ მელია?

— აქ ვმუშაობ, გენაცვალე, თხუთმეტი წელია! ჩემს ხელში გადის ყველა უცხოპლანეტელი, მესია და პრეზიდენტი!

ბოლოს, ვიღაც ცნობილი ექსტრასენს-მკითხავი დედაბერიც მოვჩხრიკე და სახლში მივადექი. იმან ხან ყავა მასვა და ჭიქაში ლუპით იყურა, ხან თევზი ატრიალა ბუტბუტით, ხანაც სპეციალურ მაგიდას აკაკუნებინა ფეხები.

— არ ჩანს, ეგ თქვენი მელა, არსად!

— მელია, ქალბატონო აზა!

— ჰო... ცოცხლებში სულ არ წერია!

მაგრამ არც მკვდრებში რომ არ მანახებს ეგეთს არავის? ძალიან უცნაურია! ხომ ადამიანია?

კიდევ ორ კვირაში გარდაბანშიც ჩავქანდი და პირდაპირ გამგეობას მივადექი.

— გარდაბნის ველი?.. ეგეთი არ არი, ვა!.. მაგრამ იქნებ კარაის ველი გინდათ?.. — მონიწებით მექცეოდა გამგებელი რადიოს საბუთითა და ახალი ფოტოაპარატით აღჭურვილს. — ყველაზე პოპულარნი ჩვენენ ეგ ველია! ეგ დაბლა ქართლის ვაკის ვასტოჩნი ნაწილია! მდინარე ტკვარის ნალევა რა!.. ანუ, მეუდუ ივრის ზეგანი, ტკვარი, საქართველო და აზერბეიჯან შორის!.. აქეთ ჯანდარის ტბა არი!.. ეგ ველი პაჩტი მოხნული გვაქ!.. სადაც არა, იქ პასტბიშები ი ტაკ დალეე არი!.. — ბოლომდე დაიხარჯა გამგებელი და მერე ვიღაცას გადაურევა:

— ალბერტ-ჯან, მოდი რა შუსტრად! კაცია თბილისიდან! უნდა მიმიხედო! რადიოქსელებიდანაა! კარაის ველი უნდა! მე რავი მე... უნდა, ვა! — და ისიც მალე მოვიდა.

გზად ალბერტს ერთი არ დაუკვნესია: ლოკალური ანეკდოტებით მართობდა და ჩემზე ხმამაღლა ხითხითებდა.

იქ მისულებმა ვიღაც გაბურძგნული მეველე ვიპოვეთ თმაში ბირკებით.

— ველია რა, უფროსო!.. აქეთ ზროხები ბალახობენ, მაგრამ არ ყოფნით! ბალახია ცოტა!

— ვინმე ხომ არ ყოფილა აქეთ? ამ ბოლო დროს...

— ვინა? მარტო წყემსები! ზროხა გინდა, უფროსო? მე მყავს კაი გასაყიდი ზროხა! ოცდაორ ლიტრს იწველის!

— არა, რა ძროხა!.. რადიოდან ვარ!.. გადაცემისთვის მინდა!.. უცნაური ამბები, ესე იგი, არაფერი მომხდარა?

— არა, ახპერ-ჯან! უცნაური ამბავი არაფერი!.. არა! ნუ, ერთი კვირის იქეთ მეხი ჩამოვარდა ი ვსო! ველზე მუხას

დაეცა და სუ დაწვა! ეგეთები ყველგან
არი და მოსულა!

— ვერ მანახებთ მაგ ადგილს?
— მანქანა არ მივა, ტო! ფეხით შო-
რია!

— იყოს! მითხარით საითაა?. მე თვი-
თონ მივაგნებ! ფოტოს გადავუდებდი!

მაინც ორივენი გამომყვნენ. მარტის
თოშიან მზეში კაი ნახევარი საათი ვი-
არეთ. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღ-
ნიეთ.

— აბა ხე, ტო? — იყითხა ალბერტმა.
— მეხი იყო, დარაგო! სუ დაწვა და
დაანახშირა! ეგერ იდგა, ე! — მიგვითი-
თა ხელით მეველემ.

ახლოს მივედი, ფოტოაპარატი მო-
ვიმარჯვე და დაფერფლილ ადგილს
ფოტო გადავუდე. მერე ხელითაც მოვ-
სინჯე. ჯერ კიდევ თბილი იყო. მომეჩ-
ვენასავით, რომ ფერფლს ოდნავი მელ-
ნისფერი მაინც გადაჰკრავდა.

მერე გამგებელმა მოგვაკითხა ტრო-
ლეიბუსისხელა შავი ჯიპით და ადგი-
ლობრივ რესტორანში წაგვასხა მე და
ალბერტა. უკანა ფანჯრიდან ვხედავდი
გაბურძგნულ მეველეს, რომელიც ვე-
ლისპირზე ჯოხით ხელში იდგა და მონ-
ყენილი მზერით გვაცილებდა. მისი და-
პატიჟება არც უფიქრიათ ზემდგომებს.

რესტორანში სუფრა დაგვხვდა
უბადლო: ხოროვაცი გინდა, კიუფტა
თუ კოლოლაკი, ამიჩი, ცხვრის ჩაშუშუ-
ლი ბოსტნეულით, თევზის კერძი კუ-
ტაპი, ჰარისა და განსაკუთრებულად
შემწვარი ქათამი ბადრიჯან-მანვნით
და, რა თქმა უნდა, ვაზის ფოთოლში
გახვეული ტოლმა. ხაშიც შემომთა-
ვაზეს, მაგრამ თავაზიანად ვიუარე —
სუფრა ისეც გადახუნდლული იყო თა-
ვისი თაფლის ბაქლავასა და ლავაშის
ჩათვლით. ვსვამდით სომხურ კონიაკს
და ვაყოლებდით ყველაფერ ზემოთ-
ჩამოთვლილთან ერთად შოკოლადში
ამოვლებულ ჩირს სახელად „გრანდ
ქენდი“. ბოლოსკენ, ანეკდოტებამდე
მისვლა ალბერტამ არ გვაცალა, რო-
მელმაც უსევდიანესი მკრტჩიანული

სახით ჰყითხა გამგებელს:

— ნაჩალნიკ-ჯან, გაიგე ახალი ამბა-
ვი?

— შერი გათხოვდა?
— არა ტო! ჩელენტანო უმერ!
— ვა... ზნაჩიტ ვსიო!

ედგარს ვერსად მივაგენი. ცამ ჩაყ-
ლაპა თუ მინამ, ვერაფრით მივხვდი.
ალბათ, უფრო ცამ. ის დაფერფლილი
მუხის ფოტო, ყოველი შემთხვევის-
თვის, მაინც გავადიდე და ჩემს ოთახში,
საწოლთან, კედელზე გავიკარი.

ვისაც კი ვუყვებოდი ედგარზე, არა-
ვინ სჯეროდა. გადაცემის აუდიო-ჩა-
ნანერები ფიზიკურად არ არსებობდა,
რადგანაც პირდაპირ ეთერში გასულს
არავინ იწერდა. ნუგეშად მხოლოდ ბე-
ბიაჩემი მყავდა, რომელიც ლამის ერ-
თადერთი იყო ჩემ გარშემო, ვისაც ეს
გადაცემა თავიდან ბოლომდე მოესმი-
ნა. ურნალიდან არავის დაურეკავს.
ვერავის ვერაფერს ვუმტკიცებდი და ეს
ყველაფერი ჩემს გამოგონილ ნაბოდვა-
რად მიიჩნეოდა. ახლობლები აბუჩად
მიგდებდნენ, უფრო შორებლები იჭვნე-
ულად და დანანებით მიღიმოდნენ.

— რა მოწიე ეგეთი?.. იქნებ მოგე-
ლანდა?.. ექიმს გაესინჯე!.. რაზე იჯე-
ქი, შე ჩემა? გვეკაიფება ეს, ჩემი კაი!

— არადა, ვისთან რა მქონდა საკაიფო.

ქეთო ძალადაც არ მადგებდა. ბესა
ახალი რადიო-პროექტების მოქოქვაში
იყო.

ღამდამბით უცნაურმა სიზმრებმა
იმატა: სიზმრებში ძირითადად მთვა-
რეული ვიყავი, ცარიელ ოთახებში გაბ-
მულ სარეცხის თოკებზე დავდიოდი და
იქაც ედგარს ვეძებდი.

— ბატონო ედგაააააააარ!!! — ავხაოდი
ვარსკვლავებით მოჭედილ ლამის ცას
და განზე გაშლილი ხელებით წონასწო-
რობას ვინარჩუნებდი.

ასეთ დღეში ჩავარდნილი „რადიო-
ჯას“ მალევე შევეშვი, სამაგიეროდ, ბე-
სა არ მეშვებოდა და ისევ ძველებურად
მჭამდა იმ დაყენებული დასავლურ-

კოლხური აქცენტებით:

„გარეკავ ეგრე, სუ სახლში ჯდომით,
ვასა!.. დაგერხევა!.. მურტალ დეპრესი-
ას აიკიდებ!.. მანიაკალურს! გამოკეტვა
ნაგებაა! უნდა გაიხსნა და გახსნა ყვე-
ლა კარ-აკოშკა!.. და დავინტენის თამამ
სიოს მისცე ბიოგრაფიის გარდასული,
უმძალესი წლები! რა უმგელესი ეთე-
რები გქონდა, გახსოვს, ვასა?.. ირეოდა
და აფანატებდა შენზე მტკვრისგაღმით
და გამოლმით მთელი თბილისი!.. გეუ-
ნევი რა, ვასა!“

— ქეთოს ხომ არ ვუკითხივარ?

— ნნ, ვასა!.. ისე კი... — დაიწყო უცებ
ბესამ და შეყოვნდა.

— რა ისე კი?

— ისე კი, უმაგ გოგო, შენ შეიძლება
ვერ ატყობ და...

— რას ვერ ვატყობ?

— ძალიან კარგად დაგეტყო, ვასა!..

— კარგად დამეტყო, რას ნიშნავს?

— რო ჩამოგტიროდა, ვასა, ომის მე-
რე სახე მოსაჭრელი ტირიფივით! სუ
რაღაც დებილობების მოგონება-გახსე-
ნებაში იყავი — „ასე რომ მექნა, ისე ხომ
არ იქნებოდა... ისე რომ არ მექნა, ასე
ხომ არ იქნებოდა...“ გეგონება, რამეს
შეცვლიდი... ძან გქონდა გაჭედილი,
ვასა. ახლა კიდევ, შეცვლილი ხარ, გე-
უნევი რა... გაზრდილი!

— სიმაღლეშიც?..

— ჰოდა, დაბრუნდი-მეთქი რადიოში!

— აღარ მცალია წვრილმანებისთვის!

— რაა წვრილმანი?! რადიოა წვრილ-
მანი?! თუ ქეთოა წვრილმანი?

მაგრად მეკიდა ერთ ადგილას ბე-
საც და რადიოც თავის მსმენელიანად.
თითქოს გული მქონდა უზომოდ გადა-
სიებული და ხშირად ყელში, საყლაპავ-
თან მებჯინებოდა. ხანდახან უმიზეზოდ
ვიცრემლებოდი და თვალიც გათვალუ-
ლივით მიშტერდებოდა. ქეთო ხომ ქე-
თოდ ბრდლიალებდა გონებაში ყელში-
მოჭერამდე, ედგართან დაკავშირებით
კი, უკიდეგანო მასშტაბის სინანულით
ვგრძნობდი — ისედაც უვარგის ნერვებს
მაწყვეტდა და უფინოთეს განწყობაზე

მაყენებდა იმის გახსენება, რომ რაღაც
ძალიან-ძალიან მნიშვნელოვანი გავუშ-
ვი ხელიდან ამ ცხოვრებაში.

მთვარეული გასვლების მერე ღამ-
ღამბით საკუთარ თავთან ხმამაღალ
ლაპარაკსაც დავეჩივი და უკვე შიში-
თაც კი მიყურებდა ბებიაჩემი. მასთან
ურთიერთობაც სულ უფრო ჭირდა. ჩე-
მი ოთახიდან გამოსვლა ბებოს ერთია-
ნად და გვარიანად ძაბავდა.

— არ ვიცი მე არაფერი!! რას იტყვის
ხალხი?! რატომ გაქ კარი სულ ჩაკეტი-
ლი?! რატომ ხარ ამ ცხოვრებას მოწ-
ყვეტილი?! რატომ უნდა გჯობდნენ
ვიღაც უჯიშო იდიოტები!.. ისეთი თა-
ნაგრძნობით მირეკავენ ნათესავები,
თითქოს ვიღაც უცხოპლანეტელი გა-
ეჩინე ცხონებულს მამაშენს და დედა-
შენს! გადასარევი ფსიქიატრი ყოფილა
პარლამენტარ გოცირიძის ცოლი! და-
ვურეკავ!!! — პირმეხი სახით მიმოქონ-
და ბებოს სამზარეულოდან სასადილო
ოთახში ჯამ-ჭურჭელი.

— ვასიკო, ცხონებულმა ბაბუაშენმა
იცოდა ძილში ლაპარაკი, ბებოს ჩიტო,
მაგრამ ეგრე არასდროს გამოკეტილა!
ისეთი გულლია ადამიანი იყო, ისეთი!
სახლის კარიც სუ ღია გვქონდა! სუფ-
რაც სუ გაშლილი! სტუმარი ღვთისააო,
ხომ გახსოვს, ვასიკო, ბებოს ჩიტო? —
ჩემ დანახვაზე წინსაფრის კალთით იმ-
შრალებდა ცრემლიან უპეს ბებია.

— ვასიკო, ბებოს ჩიტო, ახალი მთავ-
რობა მოდის ლეგიტიმურად! დაკარ-
გული ტერიტორიების დაბრუნება იქ-
ნებაო! ესე იგი, სოჩა და საინგილოც
დადგება დღის წესრიგში!.. რა ჯანდა-
ბად გვინდა ისე ამდენი მინა? მართლა
მინას და ასფალტს ხომ არ დავლეჭავთ
და შევჭამთ მოსახლეობა?! მაგრამ, იქ-
ნებ, ცოტათი მაინც გვეშველოს რამე!
ევრო-ამერიკული შუშაბანდის გაღება
მერე ნახე შენ და დიდი ინვესტიციები!
— ბებო ხვეწით მირჩევდა საინფორ-
მაციო გამოშვებებისთვის მედევნებინა
თვალი, რათა მსოფლიო პოლიტიკური
წესრიგის საქმის კურსში ვყოფილიყავი.

ქეთო ცალკე მშლიდა რადიოეთერი-დან და თან არანაირად მარტივ, არა-მედ ურთულეს კვაზი-მამრავლებად. ბესას მისთვის ჩემი პარასკევი ღამე დაეთმო და ისიც ჩვეული ცუნამივით წაყვანილი რადიო-პროგრამით ყოველ ჯერზე იპონზე მდებდა.

— ამ კუნაპეტ ქალაქში, ვინც კი ახლა „რადიო-ჯას“ უსმენთ, გამოალეთ ფანჯრები და გამოდგით ფანჯრის რაფაზე სანთელი, ლამპა, პატრუქი, კვარი, სიყვარულით მანათობელი თვალები, ცეცხლმოკიდებული გაზეთი ან უბრალოდ სანთებელა აანთეთ! მე ყველას დაგინახავთ და დაგთვლით ბოლო სართულზე მდებარე რადიოსტუდიდან! აბა დავინყეთ: ერთი-ოთხი-ცხრა-ცამეტი-ოცდაორი-ოცდაშვიდი-ოცდათექვსმეტი-ორმოცი-ორმოცდახუთი-ორმოცდაცხრა!!! ტიტუუუ, რამდენი ვყოფილვართ! ციმციმებს ქალაქი ბედნიერად ჩემი თვალებივით!.. ლიკუეტ სტალიცა გრუზიი! ყოჩალ, ლამის თბილისო — ვინც ლამაზად გივლისო! პოეზიაში მოვიკოჭლებ, ისე კი სანთებელზე გამახსენდა: ერთმა ყოვლად სლავმა პიროვნებამ მითხრა ამასწინათ, ქართველებს რა უცნაური ენა გაქვთო... მე ენა გამოვუყავი, რომელიც ჭემმარიტად გეოგრაფიული მაქვს, ის კიდევ თურმე ენავ ქართულოს გულისხმობდა... ეგ არაო! აბა, ანბან-გან-დონ-მეთქი? — და კიო! იგორ კიო! ეგ რატომ-მეთქი და იმ პირკეთილმა, აგერ მომისმინეთ, რა ვერსია დადო, ერთი არ დაუკვნესია: თქვენო — ლოვსო, ანუ ლიუბოვსო — მოჭმუხნულ სიტყვა „სიკვარულს“ ეძახითო, ხოლო ზაჟიგალკას კიდევ, ღვთაებრივად — „სანტებელასო!“ პა-პა-პა! სტატისტიკის დეპარტამენტო, აგერ ფაქტი სახეზე — სრულიად ლამის და ფანჯარაა-ფეთქებული ქალაქ-თბილისი უსმენს „რადიო-ჯას“!

სანოლიდან ფიცხლად წამომხტარმა მეც ჩემი „ზიპო“ მოვიმარჯვე, ფანჯარა გამოვალე და ერთი სხარტი ჩხაკით მეც შევუერთდი ამ შუალამის გიუ-ქე-

თოობას.

ახლა კი ზუსტად ვიცოდი, ვისი და რა ძალის გრძნობით ანათებდნენ ჩემი თვალები!

გამოკეტვამ და საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენამ ახალი შინაგანი ჰორიზონტები გახსნა. ვითომც ცხოვრებისადმი ასეთი აუტისტური დამოკიდებულების სამაგიეროდ თუ სამადლოდ, რაღაც უცნაურმა მანათობელმა ნაპერკულებმა დაიწყეს ყოველდღე ჩემ თვალწინ აღმოცენება. მათ მზერითვე ვიჭერდი პაერში და წარმოსახვის ძალით სათითაოდ ვადიდებდი. სივრცეში გაზრდილები ისინი ხელოვნურ მზეებად იქცეოდნენ და ჩემივე მზერაში მონაცვლეობით შემოდიოდნენ. ამ დროს ძალიან ვცხელდებოდი და ვგრძნობდი, რომ ლამის ერთი-ოთხად ვძლიერდებოდი. თვალებს ვხუჭავდი და შიდა მზერით ვხედავდი, როგორ შემოდიოდა თავის ქალაში ცხვირის ნესტოებიდან პაერი, მინაწილდებოდა სხეულში, ჩადიოდა და ბერავდა ფილტვებს, პაერის ერთი პატარა განშტოება კი კეფისკენ ადიოდა, იქ კეფას თითქოს ქვემოდან ელექტროხერხივით ხერხავდა და ამ სარქველს ხდიდა ზემოთკენ. პაერის ეს წვრილი ნაკადიც იქიდან გადიოდა. შესუნთქული პაერის ძირითადი მასა კი, ქვემოთკენ, მუცელში ჩაედინებოდა. ჩაბრუნებული მზერით ვხედავდი ჩემივე ნაწლავებს, თირკმელებს, კუჭს, ელენთას, ღვიძლს! ყველაფერს! მთელ შინაგან სამყაროს და კოსმოსს! ასეთ მომენტებში, ის დედანაღრძობი დეპრესია და ხელჩაქნეულობა ერთბაშად ილაგმებოდა ტვინიდან. ზუსტად ამ დროს, რაღაც უცნაური ხმებიც მესმოდა, არადა, სულ მარტო ვიყავი ოთახში და ფანჯარებიც ჯიუტად დაკეტილი მქონდა. ეს ხმები წამდაუნუმუკან მახედებდა — თითქოს ჩემი ოთახის ნივთები სულიერდებოდნენ და ერთმანეთში ტუტუცური სხარტულებით მიახლოებით ეგეთ გადალაპარაკებას

იწყებდნენ:

- სენა ბინი ხალ თუ გოგო?
- სემესვი ლა!
- ალა, მითალი – სენა ბინი ხალ თუ გოგო?
- თავი დამანებე, ლა!
- ალა, მითალი მაინც, სენა ბინი ხალ თუ გოგო?
- კა! ბინი ვალ! მელე?
- იჲ, თუ ბინი ხალ, კუტუ სადა გაქ?
- კუტუ ეგელ კომპიტელთან ზის!

ვატყობლი, რომ ამ გზას შიზოიდური ფსიქოზისკენ მივყავდი. მით უმეტეს, რომ ერთ აშკარად არამშვენიერ შუადლით, ამ ხმებით დაღლილი საკუთარი ანარეკლის შესათვალიერებლად კედლის სარკეს მივუახლოვდი – ყველაზე დიდი შოკი უკვე ის იყო, რომ იქიდანაც გალიმებული ქეთო მიყურებდა და ხელების არტისტული ჟესტიკულაციით, თითქოს წამლერებით მმოძღვრავდა:

– მე შენს მიერ კაი ხნის წინ გამოგონილი გოგო-ვარიანტი ვარ, ვასკა! ეს შენ მაცხოვრე შენივე ფიქრებით. თან ისეთი თვისებები მომეცი, თავად რომ გქონდა. ეს შენ მაჩუქე გარეგნობა, კანის ფერი თუ სისხლის რეზუსი, ვასკა! შენვე მასწავლე შენნაირად ფიქრი, განსჯა, სიცილი, ტირილი, სიყვარული, მეგობრობა, და არაერთ შარში გამხვიუ. თუ შენი ძველი წარმოსახვები გახსოვს, ისიც უნდა ახსოვდეს – მე შენს ფიქრებში ხან იარაღი ვიყავი, ხანაც სამიზნე, მაგრამ ბოლომდე მაინც არსად გაგინირივარ. მადლობა გითხრა? ამხელა დავიდარაბის შემდეგ, ცოცხლად კი დამტოვე, მაგრამ რატომდაც მაინც დამივიწყე, ვასკა... რა უნდა მექნა მეც, ასეთს – უგზო-უკვლოდ მიტოვებულ შენს გოგო-ვარიანტს? კაი ხანს კი გელოდე. ეგ რამდენია ზუსტად არც კი ვიცი, მაგრამ მერე და მერე, შენ არცერთ ფიქრსა და წარმოსახვაში რომ აღარაფრით გამოვჩნდი, გადავწყვიტე უბრალოდ მიმეფურთხებინა ყველაფერი წარმოსახვითისთვის და მე თვითონ, დამოუკიდებლად გამომეკვლია

გზა შენს მიერ ნაგებ ამბების ლაბირინთებში. რატომ კიდევ არ დაგელოდე, ვასკა? პირდაპირ გეტყვი: მეც ხომ ზუსტად შენნაირი ვარ – მოთმინების ფიალა, როგორც შენ, უძირო ჭასავით სულაც არ მაქვს. ჰოდა, ვქენი ის, რაც თავად შენ არაერთხელ ჩაგიდენია. ანუ, უბრალოდ ავდექი და კისრისტეხით გამოვიქცეი. საით? რა თქმა უნდა, შენს მოსაძებნად. ცოცხალი რომ ხარ, და თან აქვე, ცხვირდაპირ მიდგახარ, ეგ ვიცი და უკვე აქმყოფი გამუდმებით ვიგრძნობ, ვასკა! უძველესი წესი გახსოვს? კვდება ავტორი – ალარ არიან პერსონაუები! როგორ გვონია – რატომ გეძებდი? ნუ გეგონება, რომ უნდა მოგასვენო, რომ მეც მოვისვენო სამუდამოდ. გეგმები უფრო მზაკვრული და ჩვენებური მაქვს. რაც მთავარია, ჩემი არ გემინოდეს. მე – ეს შენ ვარ, ვასკა! არც ჩანაცვლებას გიპირებ. უბრალოდ ვიცი, რომ შენც იცი ეს კარგად, ანუ ოთხი ხელით უფრო ადვილად მივაწვებით მისაწოლს!

ემოციებისგან აცახცახებულმა სარკეს დიდი თეთრი ზენარი ჩამოვაფარე და ცოტა კი ამოვისუნთქე, სამაგიეროდ, ამის შემდეგ, უკვე კედელზე გაკრული როკ-ჯგუფების პლაკატები რომ გაცოცხლდნენ და სიმღერების შესრულება დაიწყეს – მივხვდი – ეს უკვე ყოველმხრივ გარეკილი შინაგანი მეტა-ფესტივალის დაწყების წინაპირობა იყო.

შევხედავდი, სიტყვაზე, „ლედ ზეპ-პელინის“ პლაკატს და ის ისეთს „უდეი-იზდენკონფიუზებდა“, რომ ოთახში მდგარი ყველა სკამი, სავარძელი, მაგიდა, პიანინო, წიგნების თაროები, ტან-საცმლის კარადა, კიდევ სხვა წვრილ-მანი ნივთები ამავე მუსიკის რიტმში იწყებდნენ დემონურ ჭრიალს – პლაკატზე პეიჯი ხემით ფცქვნიდა პლაკატში გიტარას, პლანტი ელასტიურად იზნიებოდა, ჯონსი სახიფათოდ მშვიდად ირწეოდა, ბონემი ბარაბანს ბერტყავდა ჯოხებით...

პლაკატი ჩამოვხიე თუ არა, ყველა-

ფერი დადუმდა და გაყუჩდა. მაგრამ თურმე უკვე შემდეგის ჯერი მოსულიყო. იქიდან „ბლექ საბატი“ იწყებდა სახიფათო და ავ უღრიალს და ოთხში უკვე მათი „აირონ მენი“ ცოცხლდებოდა: პლაკატზე აიომი სერხავდა, ბატლერი არ აკლებდა, ოზი ბზუოდა, ბილ უორდი ურახუნებდა და ოთახის საგანივთებიც ისევ ცოცხალ ზნექვას იწყებდნენ... ისიც ჩამოიხა, და მიჰყვა და მიჰყვა... სანამ კედლებს ყველა პლაკატი სკალპივით არ აგახიერ, ეს მუსიკალური ვაკანალია არაფრით გაჩერდა... ასე იქცნენ უწვრილეს ნახევებად „ფროდიჯი“ და ნიკ ქეივი, ბობ მარლი და „სექს პისტოლზი“, „ველვეტ ანდერ-გრაუნდი“ და „ნაუტილუს პომპილიუსი“, ჯიმი ჰენდრიქსი და „ნირვანა“, კარლოს სანტანა და „პინკ ფლოიდი“, „ბიტლზები“ და „როლინგები“...

თვალდახუჭული და ყურებში ბამბით ვერაფრით ვიცხოვრებდი. საკუთარი თვალების დამთხრელი, ან კიდევ, ბეთჰოვენი მე ვერ ვიყავი ჯერ, რომ ასე ერთბაშად ნამეყრუა. ჩამოფცქვნილი კედლები აღარაფერს ყვებოდნენ და უბრალოდ დუმდნენ. სამაგიეროდ, და თითქოს ამის საპირწონედო, ახლა სხვა ნივთები გადმოვიდნენ შტურმსა და შეტევაზე: ჯერ ძველმა, აშლილმა გერმანულმა პიანინომ დაიწყო თავისით ჩერნის ეტიუდების საზარელი უღრიალით დაკვრა და გაშვერილი სასანთლეებით

დირიჟორობა. თაროებიდან წიგნები ცვიოდა რიგრიგობით და იქიდან ასოები ჭიანჭველების ურდოებივით გარბოდნენ. საწოლი ისეთი ვნებით ჭრიალებდა, თითქოს ზედ უგენგბენგესი პორნო-სეანსი ტარდებოდა.

უკვე დრო იყო, ნაჯახი ამელო და ბოლო მომელო ამ უშნოდ ახმაურებული თუ გაცოცხლებული პარა-სამყაროსთვის ჩემს ოთახში.

თვალი მაშინვე საწოლთან კედელზე გაკრული ძველი ფოტოსკენ გამექცა. ფოტოდან თითქოს მელნისფრად მანათობელი ბოლი გადმოდიოდა და ოთახში ზანტად მქრქალდებოდა. ნაჯახით ხელში კედელს მივუახლოვდი, მარცხენა ხელისგული ფოტოსკენ გავინდე და აშკარად ვიგრძენი, რომ ამ მელნისფერმა ძალამ, ჩემივე ხელისგულის ცენტრის გავლით დაიწყო ჩემში შემოდინება. ეს არც სითბო იყო, და არც სიცივე... მივხვდი, რომ უბრალოდ თვალი უნდა დამეხუჭა, და უცებ, საკუთარ თავში ჩაბრუნებული მზერით აშკარად დავინახე, თუ როგორ ვიულინთებოდი ლუფერასფრად, ანუ იგივ მელნისფრად...

მერე ნაჯახი მთელი ძალით მოვუქნიე ფოტოს შუაცენტრს და ისიც უმალფანჯარასავით გაილო – და იქაურ მენამულ ბინდში ნაჯახიანად შემხტარი, უცებ მივხვდი, რომ პლანეტა ლუფერაზე ვიყავი.



თამარ გელიტაშვილი

ცუდი ბიჭაბის ომობანა
(ნინო ხარატიშვილის „უკმარი სინათლე“)

სად არიან შვილები,
შვილები სად არიან?!
ბესიკ ხარანაული

ხანმა უნდობარმა – გზა რომ შეეღება
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები

გალაკტიონ ტაბიძე

„ბნელი ოცხმოცდაათიანები“ – ეს ავტეფითი სიტყვები სამუდამო ლაქად დააჩნდა ქართულ სინამდვილეს და დღესაც, სამი ათეული წლის შემდეგაც, შიშისმომგვრელ ექოდ გაისმის. ჩვენმა დღევანდელობამ თითქოს ტაბუ დაადო მის ხმამაღლა წარმოთქმას, ისევე ერიდება და გაურბის, როგორც უხსე-ნებლის ნამდვილი სახელის ხსენებას, მაგრამ, თუ მაინც ვერ აარიდა თავი და ახსენა, უმალ ხეზე დაკაკუნების სურვილი უჩნდება, ჯვარი გვერეროს, ისევ არ დაბრუნდეს ერთხელ უკვე ნანახი და განცდილი, ძლივდლივობით გადაგორებული ჩვენი გაძალლებული ყოფაო; გაურბის, რადგან მის დავიწყებას საგულ-დაგულოდ ცდილობს; გაურბის, რათა გულიდან საფუძვლიანად ამოიშანთოს თავს დამტყდარი ამქვეყნიური ჯოჯო-ხეთი – სისხლი და სიკვდილი, სიცივე

და შიმშილი, უსამართლობა და დამცირება, უსაშველო უმწეობა... თითქოს სამუდამოდ გაქრა ჩვენი ლექსიკონიდან სიტყვები – „იმედი“ და „სინათლე“, რომლებიც ხსნასა და მშვიდობას ვეღარ ჰპირდებოდა ჩვენს მოქალაქეებს. თითქოს დაუნდობელი მხეცებით სავსე ჩაბნელებულ გამოქვაბულში გამოგვამნყვდის, მოელვარე თვალებით რომ დაგვეძებდნენ და ჩვენს გადასანსვლას ლამობდნენ, სადაც არ არსებობდა სინათლის ნატამალიც კი მხსნელად რომ მოგვევლინებოდა და იქიდან თავდასაღწევ კარს გაგვინათებდა.

კალაშნიკოვების ძრწოლისმომგვრელ ხმაურში ისერებოდა და ნაცრისფერდებოდა უღრუბლო ცის ამბიონი და თან მიჰქონდა მერთალი სასოებაც კი, რომ ოდესმე დასასრულის ნიშულს მიუახლოვდებოდა ჩვენი ვაება –

ომი და სისხლი, ტყვიების უთავბოლო და უკონტროლო ტრაექტორიები და ცხედრები, მგლური კანონების სისასტიკე და საძმოების ომები, მოულოდნელად საიდანლაც ამომძვრალ-ალმოცენებული შეიარაღებული ბანდიტებისა თუ ოფიციალური ბანდფორმირებების აღვირასნილი თარეში და ბოგინი, ძარცვა და გლეჯა, უზნეობა და უხამსობა, განუკითხაობა და ნარკოტიკით მოწამლული ქართული გენოფონდი, „დაკარგული თაობა“ რომ ეწოდა.

არაერთი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმი ასახავს იმ ავადსახსენებელი პერიოდის კადრებს, ამ მხრივ არც ლიტერატურა მოიკოჭლებს, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი უნდა თქმულიყო და დაწერილიყო იმ თორმეტწლიან ვაივაგლახზე, დიდი ხნით რომ დაგვაპაუზა და, განვითარების ნაცულად, მასობრივი ფსიქიკური აშლილობა გვისახსოვრა. მერე რა, რომ არავის ეპიტნავება დროის უკან გადახვევა და უმძიმესი, უსასტიკესი ქრონიკების გახსენება, განსაკუთრებით მათ, ვინც ეს ყველაფერი საკუთარ ტყავზე გამოსცადა, სხვანაირად როგორ ავუხსნათ მომავალ თაობებს, რა დამანგრეველ კატაკლიზმებს იწვევს ქვეყანაში არსებული შიდა თუ გარე საომარი დაპირისპირება, როგორ კარგავს ადამიანი საკუთარ სახეს და როგორ ემსგავსება გამძინვარებულ ზღაპრულ გველებას, უზარმაზარი ხასა რომ დაულია და კუჭს ვერ იძლობს ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ჩანთქმით.

სწორედ ამ უკმარისობის ამოვსების ნარმატებული ცდაა ნინო ხარატიშვილის შესანიშნავი რომანი „უკმარი სინათლე“ (გამომცემლობა „ინტელექტი“). ამ ნანარმოებში მწერალმა ყველა იმ პრობლემას მოყეარა თავი, ოთხმოცდაათიან წლებში, ეპიდემიასავით, ერთბაშად რომ დაგვატყდა თავს.

„უკმარი სინათლე“ ზუსტად ასახავს იმ ბნელ გამოქვაბულს და მის მკვიდრთა ყოფას, წლების განმავლობაში რომ გვგუდავდა, გვშლიდა და გვანგრევდა.

ნინო ხარატიშვილის ვრცელ პროზაულ ნაწარმოებს, სადაც დიდი ოს-

ტატობით არის შეხამებული დოკუმენტური სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი, თამამად შეგვიძლია ვუნოდოთ უზარმაზარი პანო, სადაც მისხალ-მისხალ არის ასახული ჩვენი უახლესი წარსულის პერიპეტიები. ეს პანო ცხადი და ხელშესახები რეტროსპექტივაა მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისა, სადაც თითოეული დეტალი თუ ეპიზოდი კარგად ნაცნობი და განცდილია, სადაც შეულამაზებლად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად არის გაშიშვლებული ჩვენი მაშინდელი ყოფა, გაუკულ-მართებული ცხოვრების პიკანტური დეტალები და ქუჩურ მენტალიტეტს შენირული ჩვენი ყმაწვილები, რომელთაც ჭაბუკური ასაკის სიტკბოც კი ვერ შეიგრძნეს, ვისაც სანუკვარ მომავალზე ფიქრის დროც კი არ მისცეს, ისე დაუმსხვრიეს ჯერ კიდევ შეუბუმბლავი ფრთხები და მწერლის სიტყვისამებრ: „ვისაც სამყარომ უცოდველობის ნიჭი არ აპატია“. ეს ის თაობაა – დაწყევლილი 90-იანი წლების პირმშოები – ბავშვობა და სიყმაწვილე კალაშნიკოვებსა და ნარკოტიკზე რომ გაცვალეს.

„უკმარი სინათლე“ ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი რომანი არ არის, მეტიც, კომპოზიციური სირთულისა და მეტად ორიგინალური სიუჟეტური სიმძაფრის გამო, ნინ სწრაფად ვერ მიდიხარ. იქიდან გამომდინარე, რომ ნანარმოები ცალკეულ ისტორიებად არის მოთხოვნილი, თითოეული მათგანი მძიმედ იკითხება, ამას თან ერთვის ინტრიგაცი, რომელიც ყველა ამბავს უძლვის ნინ. ეს ინტრიგა ცოტათი გაბნევს, უკან გაბრუნებს და უკვე წაკითხულის ხელმეორედ, გულდასმით წაკითხვას გაიძულებს. ამას გარდა, ღრმად ამოსუნთქვის საშუალებასაც გაძლიერს, რათა გადახარშო ერთი ამბის სისასტიკე, ცრემლებს გზა მისცე, სული მოითქვა და შეემზადო შემდეგი ამბის მოსასმენად, რომელიც სულ უფრო და უფრო მძიმდება და ასე უსასრულოდ... მწერალმა ზუსტად იცის, რასაც აკეთებს, იცის, რომ არა პაუზები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ანელებს მოლოდი-

ნის პორიზონტს, მკითხველს უპრალოდ გაუჭირდებოდა ამდენი სულისშემძვრელი ეპიზოდის წაკითხვა და მიღება, მითუმეტეს წიგნი ასეთი სქელტანიანია და ტრაგიკული ნარატივით დახუნძლული. ამდენად, ნინო ხარატიშვილის მცდელობა ამ მხრივ უდღეული ექსპერიმენტი კი არ არის, ერთბაშად დაახვავოს უმძიმესი კადრები, არამედ პროფესიონალი მწერლის გააზრებული ქმედება – გარდამავალი ფერების გრადაციასავით, პატარ-პატარა ულუფებად მიანიდოს მკითხველს. შედეგიც სახეზეა – არც თხრობის ტემპი ფერხდება და ყელში გაჩერილი ბურთის გადაყლაპვის შესაძლებლობაც გვეძლევა.



„უკმარი სინათლის“ ორიგინალობას მისი რთული არქიტექტონიკა განაპირობებს. ამან ჩემი სათქმელის თავისებურებაც განსაზღვრა – ნინო ხარატიშვილის ნაწარმოების დაფარული შრეების ამოსაცნობად, შინაარსზე მომინევს აქცენტირება. ამისათვის ჯერ სიუჟეტურ ქარგაზე ვისაუბრებ, პერსონაჟთა მხატვრულ სახეებს გამოვკვეთ და გზადაგზა ჩამოვაყალიბებ საკუთარ სათქმელას თუ დამოკიდებულებას ამ მრავალშრიანი რომანის მიმართ.

ნაწარმოები ოთხ ქვესათაურად არის დაყოფილი და პროტაგონისტთა ცხოვრების თანმიმდევრობას გვამცნობს.

სამი ოდესლაც გულითადი მეგობარი ბრიუსელში, თავიანთი მეოთხე, ან გარდაცვლილი დაქალის, ცნობილი ფოტოხელოვანის გამოფენაზე იმყოფება. სწორედ ეს გამოფენაა მთავარი ღერძი ნაწარმოების კომპოზიციისა. არტეფაქტებად ქცეული ფოტოები რომანის ოთხი მთავარი პერსონაჟის განვლილი გზის ქრონოლოგიურ და შინაარსობრივ რექტორსაპეტივას ნარმოადგენს. მწერალი ამ ქრონოლოგიურ სწორხაზოვნებას მიჰყვება და ასე გვიამბობს ოთხი გოგონას – დინას, ქეთოს, ნენეს და ირას უმძიმესი ცხოვრების ეპიზოდებს, რომელთა ტრაგიზმსაც მათი ოჯახური კონფლიქტები განაპირობებს.

ოთხივე ერთმანეთთან ფატალურადაა დაკავშირებული. თითოეული მათგანის ურთიერთდამოკიდებულება უცნაური და ამბივალენტურია. რამდენადაც აერთიანებთ ბავშვობიდან გამოყოლილი უდიდესი სიყვარული, იმდენად თიშავს ის გადაულახავი წინააღმდეგობები, რომელებიც მათი ოჯახის წევრთა შორის ნარმოიქმნება. სწორედ ეს მტერმოყვრული ნონსენსი იქცევა მათი ცხოვრების ემაფოტად.

მთხოვნებლის როლში ქეთო ყიფიანი გვევლინება – ერთი შეხედვით, სუსტი და დაუცველი, სიფრიფანა; მის თვალწინ დატრიალებულ ჯოჯოხეთს მორევში ჩასაძირად განწირული პატარა ნაფოტივით რომ უტრიალებია, მისი ფაქიზი სამშვინველი დღენიადაგ მეგობრებისა და ახლობლების პრობლემებზე ფიქრს რომ შეუჭამია.

ქეთო ობიექტურია. არც საკუთარ ნაკლსა თუ ლირსებას მალავს და არც სხვებისას. ის მეგობრის დაკარგვიდან ოცი წლის თავზე, ბრიუსელში გამართულ ფოტოგამოფენაზე, ვრცელ ექსკურსს გვიტარებს და მოვლენათა არსში გვახედებს. სწორედ ქეთო ყიფიანის პირით აშიმშვლებს მწერალი მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მსხვერპლთა შინაგან სამყაროს, მათი სულის ნათელსა თუ ბენელ ხვეულებს, ეგოცენტრიზმით შეპყრობილ სუბიექტთა მახინჯ მისწრაფებებსა თუ სპეტაკი სულების მეტამორფზას, გაუგონარმა სისასტიკემ რომ გააუხეშა ოდესლაც სიკეთისა და სათნოების მოხარკენი, ჯერ ცინიკურად აყურყუმელავა ჭაობის ზედაპირზე, შემდეგ კი დაუნდობლად წაიღო ფსკერისკენ.

გამოფენაზე მისული ქეთო უსაშველოდ ღელავს, მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად აქვს შესწავლილი თავისი უახლოესი მეგობრის, თავისი სულისა და გულის ნაწილის, დინა პირველის საგამოფენო ექსპონატები, რადგან უმეტესობაზე თავად არის გამოსახული, ამასთან დინა სწორედ მის თვალწინ ამჟღავნებდა ფოტოებს და, ბუნებრი-

ვია, ექსკლუზივი სწორედ ქეთოსი იყო. მას შემდეგ, რაც გალერეაში ფეხი შედგა, სულ გაქცევაზე ფიქრობს, რადგან ზუსტად იცის, როგორი დამანგრეველი ეფექტი ექნება იმის ხელმეორედ ხილვას, რასაც ოცი წლის წინ გაექცა; იცის, რა გაუსაძლის ტკივილს მოუტანს იმ ყველაფრის გახსენება, რის დავიწყებასაც გულდაგულ ცდილობს. ქეთოს აღარ უნდა წარსულში დაბრუნება და იმ ჭრილობების გახსნა, რომლებიც სამუდამო იარებად დამჩნევია სულსა და სხეულზე – ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით.

როგორც ითქვა, დინა პირველის ფოტოგამოფენა 90-იანი წლების რეტროსპექტივა და დეტალური თანმიმდევრობით ასახვს ოთხი განუყრელი მეგობრის ცხოვრების წლებს თორმეტი წლის განმავლობაში. რომანის კომპოზიციური ხაზი ასეთია: ქეთო ყიფიანი მიღის თითოეულ ექსპონატთან და თვითონაც თავით ფეხამდე ეშვება იმ ისტორიებში, რომლებიც ამ სურათებს მიღმა იმალება და ჩვენც თან მიგვათრევს. ფოტოსურათებით მოყოლილი ჩვენი უახლესი წარსულის თორმეტი წლი გვაქცევს ამ მაღალმხატვრული რომანის ბინადრებად და, ტრაგიზმითა და დრამატიზმით დახუნძლულ პერსონაჟებთან ერთად, საშინელებათა ფილმის მსგავს სამყაროში გვამოგზაურებს. მწერლის მიზანიც ხომ ეს არის, ბუნებრივად, ძალაუტანებლად დაიმორჩილოს მკითხველი, რათა ერთად გავუსწოროთ თვალი იმ მინიერ ჯოჯოხეთს, რომელიც ერთ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გვხრავდა, გვფლეთდა და ნაკუნებად გვაქცევდა; როგორმე გავუძლოთ პროტაგონისტთა უმძიმესი ცხოვრების მატიანეს, რათა აღარასოდეს დავბრუნდეთ წარსულში, 9 აპრილიდან მოყოლებული, სისხლის ტბებს რომ აყენებდა ჩვენს ქუჩებში, სადაც ერთნაირად მიმდინარეობდა ორი ძმათამკვლელი ომი – სამოქალაქო და აფხაზეთისა, სამმა იარაღასხმულმა ცინიკოსმა ტაკიმასხარამ რომ დაიწყო და ყველანი იძულებით

გვაქცია მარიონეტებად, სადაც „ჰეროინით გაბრუებული ბიჭები ომობანას თამაშობდნენ“. „ეს იყო პოსტაპოკალიფ-სური სამყარო თავისი დაცხრილული სახლებით, მშიერი ძალებით, არყითა და ჭაჭით გაფუყული, მომლოდინე ჯარისკაცებით, სანახევროდ ზღაში ჩაძირული ეშმაკის ბორბლით, იარაღის საწყობებად და შტაბ-ბინებად გადაკეთებული ძვირფასი სანატორიუმებით“.

რამდენი ფოტოცაა გამოფენილი, იმდენი ამბავია მოთხოვნილი. როგორც 3D ფილმებშია, ფოტოები იხსნება და ისე ცოცხლდება კადრები. ამას საკმაოდ ორიგინალური მანერით ახერხებს მწერალი: ჯერ ფინალური აქტიდან შემოიტანს მწირ ინფორმაციას, ასე ვთქვათ, ინტრიგით „გვეთამაშება“, ჩვენს ნერვიულ დაბოლოებებს გააღიზიანებს, მეტის გაების სურვილს აღგვიძრავს, მერე ისევ უკან ბრუნდება და თავიდან, დეტალური თანმიმდევრობით გვიყვება ამათუ იმ ისტორიას. ეს გარკვეული მწერლური ხერხია, უფრო მეტად რომ დაგვაინტერესოს, უფრო მეტად რომ ჩაგვითრიოს, ხოლო ამბებს შორის ემოციას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პაუზები გვინელებს. როგორც კი ქეთო ყიფიანი ახალ ფოტოსთან გადაინაცვლებს, სიუჟეტის სწორხაზოვნება ირლვევა და თხრობის დინამიკა ნელდება, ზუსტად ისე, აღელვებულ ზღვაში სულ ცოტათი რომ ითქვამ სულს, ვიდრე საკუთარ წიაღში შებრუნებული ტალღა ძალას მოიკრებს და ახალი გაშმაგებით გეკვეთება. ანალოგიური შეგრძნება გეუფლება ნინო ხარატიშვილის რომანის კითხვისას. მწერალი უდიდესი ოსტატობით, საგანგებოდ ანელებს თხრობის რიტმს, რათა ახალი ძალით დაამყაროს მკითხველთან ემოციური კონტაქტი და ახალი საშინელების მოსამენად განგვანყოს. რომ არა ეს პაუზები, ნანარმოებში აღწერილი უმძიმესი ისტორიების წაკითხვა ერთობ გაუძნელდებოდა მკითხველს, მით უფრო მათ, ვინც იმ თაობის შვილია, საკუთარ თავზე რომ ინვნია აქ აღწერილი ტრაგიზმი.

პირველი სურათი ოთხი მოზარდის

უბედნიერეს, სილალით, ტკბილი ოცნებებითა და სიანცით დახუნძლულ წლებზე გვიყვება. დინა, ქეთო, ნენე და ირა ჯიუტად ცდილობენ დაკეტილი ბოტანიკური ბალის გისოსებში გადაძრომას. ისინი საგანგებოდ, საკუთარი სურვილით უვარდებიან სიბნელეს ხახაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხონ ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინიათ. თითქოს სიმბოლურია, რომ ეს უდარდელი ყმაწვილები თავიდანვე სიბნელეს ერკინებიან, დაბრკოლებას არ ეპუებიან და გაასმაგებული ძალით ცდილობენ ბნელი და გრძელი, უპაერო გვირაბიდან გაღწევას. მისი ბოლოსკენ მიიღოტვიან, იქ სადაც საქმარისი სინათლეა იმისათვის, რომ სურვილებით დატკბნენ. მათი მიზანი ბოტანიკური ბალის ჩანჩქრამდე მისვლაა, სადაც ტანს განიბანენ და გვირაბის სიბნელის შიშაა და სიმყრალის სუნს ჩამოირეცხავენ. ასეთი დასაწყისი სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ ოთხ მეგობარს ისეთივე გრძელი ცხოვრებისეული ჯოჯონების გავლა მოუნევს, როგორიც ეს ბნელი გვირაბია – ათასი ჯურის ჯოჯონებით, მღამიობებითა და მისტიკური აჩრდილებით სავსე.

საგულისხმოა, რომ, რომელი ქრონიკითაც გახსნა ქეთომ ფოტოგამოფენა, ანუ რომელი ამბითაც დაიწყო თხრობა, ანალოგიური სიმბოლური მნიშვნელობის ეპიზოდით მთავრდება ნაწარმოებიც და ასე იკვრება წრე, მაგრამ ამაზე ბოლოს, მანამდე წინ უამრავი თავგადასავალი ელით მეგობრებს, მოუღურტულებელურებივით რომ შეჰერიან სამყაროს და ყველაზე კოშმარულ სიზმარშიაც კი ვერ ნარმოიდგენენ, რა დიდი განსაცდლის დაძლევა მოუწევთ, ჯერ არ იციან, რომ სულ სამოიდე წელში სამუდამოდ დასრულდება მათი ბავშვობა.

კისინარები

როგორც ითქვა, რომანს საკმაოდ რთული და ჩახლართული სიუჟეტი აქვს. მოვლენები ძირითადად ექვსი

ოჯახის ირგვლივ ვითარდება. ეს ექვსი ოჯახი ქმნის ნაწარმოების რგოლს, საიდანაც იწყება დრამატული ისტორიები და ქვეყანაში არსებულ ქაოსსა და განუკითხაობას ერწყმის.

და-ძმა – ქეთო და რატი ყიფიანები;
და-ძმანი – ნენე, ცოტნე და გუგა ქორიძეები;

ირა უორდანია;

ძმები – საბა და ლევან იაშვილები;

და-ძმა – ოთო და ანა ტატიშვილები

და... დინა პირველი.

ეს ადამიანები საბედისწეროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და თითოეული მათგანის ტრაგიზმიც განსაზღვრეს. ამ ოჯახების ტრაგედია ჩვენი ქვეყნის გაუკულმართებული ყოფის მიკრომოდელია და 90-იანი წლების იმ დაკარგული თაობის განზოგადებულ სახეს განასახიერებს, ჩანასახშივე რომ ჩაუკლეს ანტიკური ჰარმონიული იდეალი – „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია!“

ლინა ჩილელი – რომანის პირველივე სტრიქონები დინა პირველის სახასიათო შტრიხებით იწყება და უმაღვხვდებით, რომ სწორედ ის იქნება რომანის მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც იტრიალებს მოვლენები. დაუცხომელი და დაუშრეტელი ენერგიის მქონე, მებრძოლი, ლიდერობის ნიჭით დაჯილდოებული, ექსტრავაგანტული და უკიდურესი შინაგანი თავისუფლების მქონე დინას სისავსე ვერ დაიტია ბნელმა, ჯურლულად ქცეულმა პატარა ქვეყანამ, რომელიც სიცოცხლისმოყვარული ადამიანების ასპარეზად ვერ იქცა.


„საღამოს შუქი თმაში გაებნა და წინ ვერაფერი აღუდგებოდა, უმაღლად დაძლევდა და ამ დაბრკოლებასაც მთელი ძალ-ღონით, მთელი ტანით მიაწვებოდა, სანამ გისოსები მის წონას ვეღარ გაუძლებდა, ჩუმად ამოიკვნესებდა და დანებდებოდა. დიახ, ამ დაბრკოლებას მხოლოდ თავისთვის კი არ გაარღვევდა, არამედ ჩვენთვისაც, რომ თავისი სამი განუყრელი მეგობრისთვის ახა-

ლი თავგადასავლების საძიებლად გა-
ეხსნა გზა“ – ამ სტრიქონებით იწყება
ნაწარმოები, რომელიც, გარკვეულწი-
ლად, პირდაპირი მნიშვნელობის მა-
ტარებელიცაა და ირიბისაც. მნერალი
თავიდანვე გვიხსნის დინას ხასიათის
საიდუმლოს და იმისათვის შეგვამზა-
დებს, რომ პატარა გოგო-
ნას მარტივი ცხოვრება არ
ელის, რომ მთელი თავისი
არსებობის მანძილზე და-
უცხომელი ჭიდილი ექ-
ნება გადაულახავ წინააღ-
მდეგობებთან და ამასვე
ასწავლის მეგობრებსაც.

რკინის გისოსებთან მო-
ჭიდავე დინა ორ სამყაროს
– აკრძალულსა და ნება-
დართულს შორის არის
გახიდული. მისი უკიდეგა-
ნოდ თავისუფლებისმოყ-
ვარე უინი და ტემპერამენ-
ტი ვერ გუობს ამქვეყნიურ
დაბრკოლებებს, კლიშე-
ებსა და შტამპებს, რაც
გისოსების სახით არის
ტექსტში წარმოდგენილი.
ამიტომაც ერკინება მას,
რომ დაამსხვრიოს ჩვენს
მენტალობაში მყარად ჩა-
ბუდებული სტერეოტიპები
და ისუნთქოს ძალდაუტა-
ნებლად, ლალად და მშვი-
დად, მაგრამ ამ სამყაროს
დინასი არ ესმის, ვერ გუ-
ობს მის სითამამეს და ისე
გამეტებით ამოარნყევს,
როგორც იძულებით ნაჭამ
საძულველ საკვებს:

„თვალებდაჭყუტილები ვუყურებდით
ორ სამყაროს შორის გაჩირულ მეგო-
ბარს: დინას ცალი ფეხი ენგელსის ქუ-
ჩის ტროტუარზე ედგა, მეორე კი უკვე
ბოტანიკური ბალის ჩაბნელებულ შიდა
ეზოში; ნებადართულსა და აკრძალულს
შორის ირწეოდა, უცნობი თავგადასავ-
ლის უინსა და ნაცნობი ყოფის ერთფე-
როვნებას, შინისაკენ მიმავალ გზასა და
ფათერაკს შორის. ის, ჩვენ ოთხს შო-

რის ყველაზე გამბედავი, იდუმალებით
მოცული სამყაროს კარს გვიღებდა,
მხოლოდ მას შეეძლო შიგ შევეყვანეთ,
რადგან არ ცნობდა გისოსებსა და ჯე-
ბირებს. სწორედ დინა, ვინც ტყვიისფე-
რი, სნეული და სულმლაფავი საუკუნის
უკანასკნელ წელს, ტანვარჯიშის რგო-



ლების ბანრისგან გამონასკვულ ყულ-
ფში გაყოფდა თავს და სიცოცხლეს მო-
ისწრაფავდა“.

ქორ ყიფიანი – ქეთო ყიფიანი
მსუბუქად შოთარფატე პეპელას მა-
გონებს, ფრთები რომ კოკისპირულ-
მა წვიმამ დაუმძიმა და ფრენა უჭირს.
მორცხვი და მორიდებული, სულ თავის
ძნელადალსაზრდელი ძმისა და მეგობ-

რის, დინას ჩრდილში იმყოფება. მუდამ სიმართლის მხარეს დგას, თავდაუზოგავად იპრძევის უსამართლობის წინააღმდეგ და არავის და არაფრის გამო არ ლალატობს ამ პრინციპს. თავად სიყვარულის განსახიერებას, ყველა თავისიანი, ახლობელი თუ შორეული უყვარს. გამუდმებით ცდილობს სხვებისთვის ხიფათისა და ტკივილის არიდებას. ჯიუტია და არ ნებდება, სიძნელებს არ ეპუება და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავს ყველას, ვისაც მისი შველა სჭირდება, მაგრამ სხვებზე ზრუნვა და გაუსაძლის წინააღმდეგობებთან ჭიდილი იმდენად დაუზიანებს ფისქიკას, ჭკუდან რომ არ გადავიდეს, ბარძაყებზე სამართებლის გადასმას იწყებს. ეს მაზოხისტური ქმედება საპოლოდ მანიაკალურ ჩვევაში გადაეზრდება, რადგან ორგანიზმიდან სისხლის გამოშვება ერთადერთი რამ არის, რაც მას შვებას ჰგვრის. ამდენად უამთა ვითარების აღმნუსხველად გადაიქცა ქეთოს ფეხები, სადაც იმდენი ჭრილობა დაუგროვდა, მის ირგვლივ რამდენი უბედურებაც მოხდა, ასეთი კი საკმაოდ ბევრი იყო, იმდენად ბევრი, რომ ქეთოს ბარძაყები ველარ იტევდა, ამიტომ უკვე შეხორცებული იარების ხელმეორედ დესერვა დაიწყო. ასე, საკუთარი სხეულით, ფენა-ფენა დაატარებდა ქეთო ყიფიანი გაძაღლებული ცხოვრების წლების „სახსოვარს“. როგორც ითქვა, ამ ჭრილობებს, თითოეულს, თავისი მძიმე ისტორია ჰქონდა, რაც ლამის კინემატოგრაფიულად აისახა ქეთოს ნატურაზე.

ქეთო და მისი ძმა ძალიან პატარა ასაკში დედით დაობლდნენ. ქეთო, ასე თუ ისე, შეგუებულია, რადგან მას დედა საერთოდ არ ახსოვს (ერთი წლის იყო, რომ დაელუპა), უდედობის განცდას კი ძმა, მამა და ორი ბებია – დედის დედა და მამის დედა (ბაბუდებს რომ ეძახის) უვსებენ. ქეთოს უსაზღვროდ უყვარს თავისი უფროსი ძმა – რატი, დღენიადაგ მასზე ზრუნავს და დარდობს. თავის მხრივ, რატიც გიუდება უმცროს დაიკოზე, მაგრამ ის...

ლაცი ყიფიანი — ძნელად აღ-

საზრდელი, დაუმორჩილებელი, ჯიუტი, ხულიგანი, ყოყლოჩინა, ბობოქარი, ეგოცენტრული და იმპულსური ბიჭია. რთულია, წინასწარ განჭვრიტო, როდის რას მოიმოქმედებს. მოჯანყე სულის რატი ამბიციურია და პირველობის უინით არის შეპყრობილი. ქუჩურ კანონებს აყოლილი, უბნის ყოჩობას ლამობს და ცდილობს „კაი ბიჭობის“ შტამპით იცხოვროს. მას, ქეთოსაგან განსხვავებით, ბუნდოვნად ახსოვს დედა და გამუდმებით თან სდევს მისი აჩრდილი. მისთვის იმდენად ძვირფასია ხსოვნაში ჩარჩენილი მშობლის სახე, საკუთარი ილუზიაში შექმნა იდეალური ხატი დედისა. ისეთი გაუსაძლისია და აუტანელი მისი მონატრება, ისეთ წამლეკავ ბალდამად გუბდება მის გულში უდედობის განცდა, პერიოდულად ამ ბოლმის შეკავებას ველარ ახერხებს და ნიალვარივით გადმოანთხევს ხოლმე ვინმეზე, ეს ვინმე კი მამამისია. სწორედ მას აბრალებს ვაჟი ცოლის სიკვდილს. სულ ჰგონია, რომ ესმა სწორედ ქმარს გაექცა კავკასიონის მთებში, რადგან „საშინელი“ და „აუტანელი“ ქმრის გაძლება აღარ შეეძლო (არადა, სწორედ ესმას სიყვარულს ანაცვალა უფროსმა ყიფიანმა ბედნიერი მომავალი, უარი თქვა საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმატებულ კარიერაზე, სამშობლოში დაბრუნდა, იქორწინა და უფულო ქართველ მეცნიერთა რიგებს შეუერთდა), სინამდვილეში ის ალპინისტ მეგობარ მამაკაცთან ერთად, მეულლის შინარყოფნისას წავიდა ყველაზე მაღალი მწვერვალის დასაპყრობად, სადაც ჩამოწოლილმა ზვავმა იმსხვერპლა.

სწორედ რატი იქცევა საკუთარი და სხვების უბედურების მიზეზად, მისი დაუდგრომელი ეგო და უაზრო პრინციპები ჩაუყრის საფუძველს ზემოთ დასახელებული ოჯახების გაუგონარ ტრაგედიას.

რატის ამქვეყნად სხვა მიზანი არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ უბნის ყოჩობა ჩამოართვას თავისზე უფრო ნაძირალას, „კანონიერი ქურდის“ ძმისწულს, ცოტნე ქორიძეს და თავად გადაიბაროს

რეკეტი იმ კომერციული ობიექტებისა, რომლებსაც ცოტნე თავის „სახელოვან“ პიძასთან ერთად „კრიშავს“. ასე ებმება ის ქორიძესთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში და ასე ნელ-ნელა ანადგურებს ყველას და ყველაფერს, რაც მას უყვარდა. ეს ცოტა მოგვინებით, მანამდე კი რატი ჯერ კიდევ პატარა ბიჭია, მოჯანყე, რომელიც ჯიუტად აცხადებს, რომ სკოლას არ დაამთავრებს, რადგან სძაგს ჩვენი საბჭოური „ნესრიგი“ თავისი უპრინციპო კანონებით. უნდა, პირდაპირ რქებით შეეჯახოს და ხერხემალში გადაამტვრიოს სისტემა, რომელიც მექრთამეობაში, კორუფციაში, ნეპოტიზმში იხრჩობა. ამიტომაც, პროტესტის ნიშნად, გადაწყვეტს, სკოლა არ დაამთავროს და ატესტატი არ აიღოს, რადგანაც უაზრობად მიაჩინა იმ ქვეყნის ატესტაციც და დიპლომიც, რომლებსაც პატრონაჟის გარეშე ვერ გამოიყენებს.

რატის ამ ახირებას ერთადერთი ადამიანი მოუგრებს კისერს – დინა პირველი, მისი მეზობელი და დის, ქეთოს დაქალი. რატის უუმურ, უხეშ ხასიათს გარკვეული პერიოდი სირბილეს უბრუნებს დინას უსაზღვრო და უგონო სიყვარული, რომელიც ქალ-ვაჟს შორის როკენ-როლის ცეკვით დაინტერ და თავდავინყებულ გრძნობაში გადაიზარდა. ეს ორი მოუსვენარი, თავქარიანი, დაუოკებელი ველური ტემპერამენტის მქონე არსება ცხოვრების უინითა და მენტალობით ისე შეთვისებია ერთმანეთს, ისე შესისხლხორცებია, ისე უხარიათ ერთურთი, თითქოს სამყარო საგანგებოდ მხოლოდ მათვის გაჩენილიყოს, მაგრამ უეცრად თავს დამტყდარი გაუსაძლისი ბედნიერება ორი მონათესავე სულისა ფატალურად შეცვალა ერთმა ავადსახსენებელმა შემთხვევამ, რომელიც პირდაპირპროპორციული იყო ჩვენს ქვეყანაში არსებული ქაოსისა და ანარქიისა.

67. ქორიძე – თავქარიანი, ქარაფშუტა, იოლად საცდუნებელი და იმპულსური. „კანონიერი ქურდის“,

„ტაპორასა“ და ბანდიდტი ძმის, ცოტნეს უზურპატორული რეჟიმის ქვეშ დაუნდობლად გაჭყლეტილი, დიქტატურას და სხვების პირად ინტერესებს შენირული, რამდენჯერმე ძველი და უსარგებლო ნივთივით გაყიდული და მაინც უშიშარი; ჩუმ, ხმაამოულებელ პროტესტს მხოლოდ იმით გამოხატავს, რომ გამუდმებით დინების საწინააღმდეგოდ ცურავს, რადგანაც სიყვარულის უფლება არ მისცეს, ბედნიერება წაგლიჯეს, დანიხლეს და გაანადგურეს. ალბათ, სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობა იქცა იმის მიზეზად, რომ ნენეს ჩვევად გადაექცა კაცების ხშირი ცვლა და მათით გართობა. საბოლოოდ კი – ვულგარული და ალვირახსნილი – მხოლოდ ერთადერთი მისით ცხოვრობს – ხელიდან არ გაუშვას არც ერთი მამრი, ვინც კი მოეწონება. მიუხედავად იმისა, რომ მის კისერზეა ორი ახალგაზრდა, უდანაშაულო ბიჭის მკვლელობა, ნენე ის ქალი არ არის (უფრო სწორად, ალარ არის, რადგან მასში ყოველგვარი ადამიანური ჩაკლეს), დიდხანს ჩაიგუბოს გულში დარდი და ბოლმა, ნებისმიერ ტკივილს ადვილად ივიწყებს და მზად არის ახალი თავგადასავლისთვის.

ისა ქორიძია – განსხვავებული ორიენტაციის მქონე, ინტელექტუალი, თავის ასაკთან შეუფერებლად დინჯი და დაბრძნებული. მას თავდავინყებით უყვარს ნენე ქორიძე და უყვარს იმაზე მეტად, ვიდრე მეგობარს – მეგობარი. მერე რა, რომ უკან იმავე გრძნობას ვერ იღებს (ნენეს მხოლოდ საპირისპირო სქესი იზიდავს), მაინც დღენიადაგ ნენეს ბედნიერებისთვის იბრძვის, ცდილობს, დაიცვას დესპოტი ოჯახის წევრებისგან, რაც საბოლოოდ იქცევა კი-დეც მათი განხეთქილების ვაშლად.

ცოტნე ქორიძე – თავისი „კანონიერი ქურდი“ ბიძის „ლირსეული“ მემკვიდრე, მისი ჩრდილი და ბანდიტური საქმეების გამგრძელებელი, სასტიკი და დაუნდობელი. რატი ყიფიანთან მუდმივ ომში ჩართული ცოტნე ქორიძე ნამდვი-

ლი სადისტია. იმდენად არის შეპყრობილი გამდიდრებისა და პირველობის უნით, იმდენად უტკბება სისხლიანი ფულით ნავარდი, საკუთარ დას, ბიძის ბრძანებით, ორჯერ გაყიდის და საბოლოოდ იმის წინააღმდეგაც წავა, ვინც ქურდული ცხოვრებისა და დაუწერელი კანონების „ენციკლოპედიურ“ ცოდნას აზიარა – ის ბიძას, „ტაპორასაც“ კი გასწევს გვერდით, მის ზურგს უკან გააბამს კავშირებს, დაივიწყებს სტერილურ ქურდულ მენტალურ პრინციპებსა და აკრძალვებს, პოლიციასაც შეეკვრება და რუსეთში ნარკოტრანზიტსაც გაჭრის. მართალია, „ტაპორას“ თვალში სამუდამოდ დაეცემა მისი ავტორიტეტი, სამაგიეროდ, თბილისში ყველაზე მსხვილ ნარკობარონად იქცევა.

ეყეა ქორიძე – ქორიძეების სა-დისტური ოჯახის ყველაზე უფრო წე-სიერი, კეთილშობილი წეერი, ბუნჩულა და უბოროტო, მიმნდობი და მიამიტი. ის ერთადერთი ქორიძეა, რომელიც განზე დგას თავისი მტარვალი ძმისა და ბიძის შეხედულებებისგან, აშინებს და აფრთხობს მათი საქმიანობა, თუმც საბოლოოდ მაინც საკუთარი ოჯახის ბინძური მორევი დალუპავს ულამაზეს ბიჭს, რომელსაც მერკანტილურმა ეპო-ქამ ზნეობრივი პრინციპები არ აპატია.

ნანო იაშვილი – ულამაზესი და უნესიერესი, პერსპექტიული ახალ-გაზრდა, სამხატვრო აკადემიის წარმა-ტებული სტუდენტი და დიდი მომავლის იმედების მქონე. ნენე ქორიძის სიყვა-რულს ზვარაკად შეწირული ბიჭი.

ლევან იაშვილი – რატი ყიფიანის ბავშვობის მეგობარი და მისი მარჯვენა ხელი. ის დუდუკზე უკრავს, მაგრამ ამას საგულდაგულოდ მალავს, რადგან მუსიკით გატაცება შეუფერებელია მი-სი სტატუსისათვის. „კაიბიჭობის“ და „ძველბიჭობის“ ეპოქას სულ სხვა მოთხოვნები და პრინციპები აქვს. ამიტო-მაც, მუსიკალური საკრავის ნაცვლად, ხელში იარაღს იღებს და რატისთან ერ-

თად იწყებს იმდროისათვის ყველაზე წარმატებულ „ბიზნესს“ – რეკეტს, სა-ვაჭრო ობიექტების „დაკრიშვას“ სარ-გებელის მიღებით – ფულის გამოძალ-ვით. ლევანს თავისი უფროსი ძმა სან-დრო უყვარს ძალიან და ვერ ინელებს, რომ მისი მკვლელი დაუსჯელი დადის. ლევანი შეპყრობილია სისხლის აღე-ბის სურვილით. ეს სურვილი იმდენად დააკარგვინებს თავს, რომ ყოველგვარ ზნეობრივ და ადამიანურ საზღვრებს გადადის. ვინაიდან ვერსად მიაკვლევს ძმის მკვლელს, ჯავრს მის უდანაშაუ-ლო დაზე იყრის და ამის გამო შეყვა-რებულისა და მეგობრებისგან უარყო-ფილი, საბოლოოდ, მხედრიონის ნიშას მოირგებს და ავტომატი ხდება მისი ცხოვრების განუყრელი ატრიბუტი.

როგორც აღვნიშნე, ამ პროტაგონის-ტთა პერსონალური დახასიათება იმი-სათვის დამჭირდა, რომ რომანის რთული და ჩახლართული ამბები ადვილად გასაგები გამეხადა მკითხველისათვის.

მაშ, ასე! რა აკავშირებთ ამ ადამი-ანებს ერთმანეთთან და რა განაპირობებს მათ ოჯახურ ტრაგედიებს?!

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ თბილი-სელი შეყვარებულების – დინას და რატის ბედნიერება ერთმა მოულოდნელმა და საბედისწერო შემთხვევამ დაანგრია და მაგიდის არასწორ ზედაპირზე, სა-ხელდახელოდ აშენებული ბანქოს სუ-ხულასავით, ძირფესვიანად დაშალა.

რატი ყიფიანს და ცოტნე ქორიძეს გაუთავებელი ცივი ომი აქვთ. ორი ყო-ჩი ერთ უბანში ერთად ვერ მოძოვს. ორი ჯიუტი თხის ასპარეზად სოლო-ლაკი ძალზე პატარაა. ცოტნეს რატი ყელში ჰყავს გაჩერილი, რადგან ეს უკანასკნელი თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ვერ ინელებს, რომ ყიფიანი ქალაქში მასზე დიდი ავ-ტორიტეტით სარგებლობს, რადგან, რატის, მისგან განსხვავებით, ის უპი-რატესობა აქვს, რომ არავინ „კრიშავს“. ქორიძე თუ ბიძის ჩრდილს ეფარება და ზურგსაც მთელი ქურდული სამყარო უმაგრებს, ყიფიანი საკუთარი ბიჭო-

ბით იხვეჭს სახელს. გარდა ამისა, კი-დევ ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი მი-ზეზი აქვს ცოტნე ქორიძეს, რომ რატი სძულდეს. მას თავდავიწყებით უყვარს დინა პირველი და ჯერ კიდევ იქამდე უყვარდა, ვიდრე რატი დინას ქალად ალიქვმდა, ოლონდ ცოტნეს მხრიდან ეს იყო ჩუმი, ყველასაგან დაფარული გრძნობა. მას თავზარი დასცა დინას გადაწყვეტილებამ, რომ მისთვის ქორიძე არაფერს წარმოადგენს, აი, რა-ტი კი... რატი მისთვის ყველაფერია – სიცოცხლის წყურვილიც და საზრისიც, ბედნიერებაც და სიხარულიც, ვნებაც და გატაცებაც... ცოტნეს განსაკუთ-რებით ის აკარგვინებს წონასწორობას, როცა, როკენ-როლის ცეკვისას, რატი დინას ფეხებში გაიძვრენს და ისე ახ-ლოს მიდის მასთან, ლამის საკუთარი სხეულის ნაწილივით შეეზარდოს ხოლ-მე. ცოტნე ამ ყველაფერს გულში იხ-ვევს და მოთმინებით ელოდება სასურ-ველი მომენტის დადგომას. ეს მომენ-ტიც არ დააყოვნებს.

ცოტნე ქორიძე, ბიძამისის ზურგს უკან, პოლიციელებს შეეკვრება. ისინი ყიფიანების სახლში შეიჭრებაინ, ბინას გაჩერეკენ, ნარკოტიკულ საშუალებას „ამოილებენ“ და რატის დააპატიმრებენ – ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისა და სამართალდამცველების მიმართ წინააღმდეგობის ბრალდებით. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, რომ ეს ყველაფერი ცოტნეს „გაჩალიჩებული“ იყო. მეტოქეს დიდი ხნით გაისტუმრებ-და ციხეში და მშვიდად, უპრობლემოდ დაეუფლებოდა მის „მეტკვიდრეობას“ – დინას და რეკეტით მოპოვებულ „ბიზ-ნესს“.

აქედან იღებს სტარტს ყიფიანების, პირველებისა და ქორიძეების ამქვეყნი-ური ჯოჯოხეთი.

დინას ვერც რატის დაპატიმრება ცვ-ლის. ენერგიული და ექსტრავაგანტული ფოტოგრაფი ერთ-ერთი პრესტიული გაზეთის რედაქციაში იწყებს მუშაობას და მოთმინებით ელოდება შეყვარებუ-ლის დაბრუნებას. ვინაიდან რატის და ქეთოს ინტელიგენტ და პატიოსან მა-

მას არ სჯერა თავისი ავარდნილი ვაჟის უდანაშაულობისა, შესაბამისად არც იმ უკანონოდ მოპოვებული ფულის აღება სურს შვილის ციხიდან დასახსნელად, რატის მეგობრებმა და ხელქვეითებმა რომ შეუგროვეს. ამიტომ ადვოკატთან „ობშიაკის“ ფულის გადასაცემად ქე-თო და დინა გაემართებიან. სწორედ ეს ავადსახსნებელი გზა იქცევა მათი უბედურების სათავედ.

აღნიშნულ ქვეთავს „ზოოპარკი“ ჰქვია, ამავე სახელითაა დასურათე-ბული ფოტოც, სადაც ის წამია მარა-დიულად შეჩერებული, როცა ლალ და მხიარულ დინას სამუდამოდ ჩაუტყდა ძველი, უდარდელი ცხოვრების ხიდი და როცა დამარხა საკუთარი ბედნიერე-ბაც, ოცნებებითა და იმედებით სავსე ყმანვილქალობაც, ადამიანური საზრი-სიც და მომავლის რწენაც.

ფოტოგრაფი დინა განუყრელად თან დაატარებს რატის მიერ ნაჩუქარ დე-დისეულ ფოტოაპარატს. ჭეშმარიტი ხელოვანი ყველგან, ყველა სიტუაცია-ში მზადაა, ფირზე აღბეჭდოს, როგორც თავისი, ისე სხვების ცხოვრებისეული კატაკლიზმები, როგორც მათი „დან-გრეული, დასახიჩრებული, ცხოვრების განივთებული მტკიცებულებები“. ასე აღბეჭდა მან ქეთო ყიფიანის პორტრე-ტი, რომელიც ზოოპარკში მომხდარ ტრაგედიაზე გვიყვება.

ეს ის პერიოდია, როცა დამოუკიდე-ბელი საქართველოს პირველი პრეზი-დენტი ზვიად გამსახურდია, ჩვენს ქვე-ყანაში მომხადრი პუტჩისა და სამხედ-რო გადატრიალების გამო, ქვეყნიდან გაიქცა და თბილისში მისი მომხრეების ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართა, რომელიც სამხედრო საბჭოს ბრძანე-ბით დახვრიტეს. სწორედ ამ აქციამ და ქუჩაში მომხდარმა არეულობამ შეუშა-ლა ხელი დინას და ქეთოს, რომ ად-ვოკატთან დაუბრკოლებლად მისულიყ-ვნენ. ცენტრალური გზები მიუწვდომე-ლი და ძალიან საშიში იყო, შესაძლოა, ბრძა ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყ-ვნენ. სხვა გზა არ იყო და ფეხით რო-გორმე ზოოპარკში უნდა მოხვედრი-

ლიყვნენ, იქიდან კი ვერეს ხეობაზე გადებული მილით შეძლებდნენ ადგილზე მისვლას. სწორედ ზოოპარკის ტერიტორიაზე წაანდნენ ისინი ისეთ ფაქტს, რამაც მთელი მათი აწმყო და მომავალი ყირაზე დააყენა. ორმა შეიარაღებულმა ნაძირალამ, გაურკვეველი თანხის მოთხოვნის გამო, ერთი ახალგაზრდა ბიჭი მოკლა, მეორეს კი ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ ფეხში დაჭრა და თან წამზომი ჩაურთო, თუ თხუთმეტ წუთში არ დაუსახელებდა, სად ინახებოდა ფული, ადგილზე დახვრეტდნენ. მეგობრის დაკარგით სასოწარკვეთილმა და თავადაც სასიკვდილოდ განწირულმა ბიჭმა საერთოდ არაფერი იცოდა, რა ფულს სთხოვდნენ ბანდიტები. გამოსავალი არსით იყო – მას აუცილებლად მოკლავდნენ. აი, ამ სცენას შეესწრნენ გოგონები. პირველი შოკი სისხლის გუბემ მოჰვევარათ, სადაც ნაწამები ახალგაზრდის უსულო სხეული ევდო, მეორე კი შიში იყო – ისინი უნებლიერ მოწმეები გახდნენ ორმაგი მკვლელობისა და იარაღიანი ბანდიტები მათაც მოიშორებდნენ, მაგრამ გოგონები გადარჩნენ, რადგან მაშინ სხვა დრო იყო, ძალის დემონსტრაციისა და ცინიზმის დრო. შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრებსა თუ ათასი ჯურის ნაძირალას არავისი და არაფრის არ ეშინოდათ, არც დაბეზღების და არც დაპატიმრების. გაყუჩებული პოლიციაც მათ ჯიბეში იჯდა და სასამართლო-პროკურატურაც, კანონებსაც თავად წერდნენ და სამართლასაც თავადვე ჯდაბნიდნენ თავიანთი სისხლიანი თითებით. ხელში „კალაშნიკოვები“ ეჭირათ და თვითონ იყვნენ კანონის „დამცველებიც“ და აღმასრულებლებიც. ასე საღსალამათი გაუშვეს ქეთო და დინა, ისე, რომ მათთვის არაფერი დაუმავებიათ. მეგობრები გაიქცნენ, მაგრამ რამდენიმე მეტრში შეჩერდნენ. სწორედ ამ მომენტიდან დგება ზნეობრივი არჩევანის წინაშე შოკისმომგვრელი სანახაობით შეძრული ეს ორი ყმანვილი ქალი – ვინ გადაარჩინოს რატი თუ დაჭრილი უცნობი?! ქეთოს ჯიბეში ადვოკატისთვის

მისაცემი, სიმწრით ნაგროვები 5000 ამერიკული დოლარი უდევს. რა ქნან, მისცენ ეს ფული მკვლელებს და გამოისყიდონ მათგან ახალგაზრდა ბიჭის სიცოცხლე თუ რატი დაიხსნან ციხიდან, რომლის იქ ყოფნის გაჭიანურებაც არ შეიძლება, რადგან ზუსტად იციან, რომ ცოტნე ქორიძე უფრო შორს წავა და რატის ციხიდან ცოცხალს არ გამოაშვებინებს. ამას თან ერთვის რატის მეამბოხე, დაუდგრომელი ხასიათი, ის არასოდეს არავის წინაშე არ მოიხრის ქედს და, კაცმა არ იცის, რით დასრულდება პოლიციის თანამშრომლებთან შეხლა-შემოხლა. ეს მათი უკანასკნელი შანსი იყო. ამის მეტ ფულს ისინი ვეღარ იშოვიან, არადა, უცნობ წითურს სიცოცხლის წამზომი ჩართული აქვს და სულ ხუთი წუთილა დარჩა...

და ეს ორი ღირსეული, მაღალზნეობრივი 16 წლის ქალიშვილი სიცოცხლის სასარგებლოდ წყვეტის დილემას. ადვილი არ იყო ისევ იქ დაბრუნება, საიდანაც ორი წუთის წუთის ცოცხლები და უვნებლები გამოუშვეს, რომ შეიძლება ფულიც დაეკარგათ და თავიც, მაგრამ ისინი რისკზე მიდიან, შიშს ამარცხებენ (დინა ხომ ასეთი იყო – უშიშარი, საფრთხეს პირისპირ ეჩებოდა), უცნობ ბიჭს გამოისყიდიან, დინა მძევლად რჩება საშიშ დამნაშავებთან, ქეთო კი საკუთარი მხრებით ათრევს დაჭრილ, გონდაკარგულ წითურ ბიჭს, რომელიც სისხლისგან იცლება, ზოოპარკის ტერიტორიას გააცილებს, გამვლელებს ჩააბარებს საავადმყოფოში წასაყვანად, თვითონ კი უკან ბრუნდება, რათა თანხა მკვლელებს გადასცეს და მძევალი დაქალი გამოიხსნას.

ზოოპარკის ეპიზოდი გასისხლიანებული ქეთოს პორტრეტზეა ასახული. ობიექტივმა ის წამი დააფიქსირა, როდესაც ქეთომ სამუდამოდ დაასრულა ბავშვობა და იქცა იმ ქვეყნის სახიჩარ შვილად, სადაც ცუდი ბიჭები ომობანას თამაშობდნენ. ამიტომაც ყველაზე მეტად სძულს მას თავისი პორტრეტი: „ეს სურათი სულისშემძვრელია, უმოწყალოდ დაუნდობელი და აუტანლად შიშ-

ველი. ის აღნიშნავს ჩემი და მისი (დინას – თ.გ.) ცხოვრების ყველაზე საშინელ დღეს, გზაგასაყარს იმ ყველაფერს შორის, რაც იყო და, განსაკუთრებით, რაც მერე იქნება, წერტილს, როდესაც ჯერ არ ვიცით, რომ იმ დღის დაღამებამდე სულ სხვა ადამიანებად გადავიქეცით... ყველაფერი, რაც უნდა იცოდე, რაც შეიძლება იცოდე, იმ გოგოს სახეზეა აღბეჭდილი, ერთ დროს მე რომ ვიყავი... სისხლში ამოთხვრილი ვარ დაჩიქილი საკუთარი ნარწყევის წინ, ერთადერთი ლამპიონი მინათებს, სახეზე თან შიში მანერია და ბრძოლის უინი, უკან კი – მაიმუნების გალიაა. ხეზე, თითქმის ჩემს სიმაღლეზე, ეულად ზის მაიმუნი... მხოლოდ გისოსები გვყოფს ერთმანეთისგან, გაოგნებული მზერა თანაგრძნობით ავსებია, გეგონება უნდა, რომ მანუგეშოს".

როგორც მკითხველი ხვდება, ამ სურათს გროტესკულობას ანიჭებს მაიმუნების გალია, რომელიც ფონად აქვს სისასტიკის ამსახველ კადრებს და რომელიც ადამიანთა ვერაგობასა და დაუნდობლობაზე მოვითხრობს. ამ კადრით მწერალმა ხაზი გაუსვა იმ პერიოდის ვერაგულ ყოფას, სადაც სახედაკარგული სუბიექტები ცხოველური იმპულსებით მოქმედებდნენ და იმაზე უფრო სასტიკები იყვნენ, ვიდრე გარეული მხეცები. ქვეყანაში ძალადობა მეფობდა, სადაც ადამიანს აღარ აღიქვამდნენ ცოცხალ არსებად, ღვთის სახედ და ხატად გაჩენილს; მან ფუნქცია დაკარგა და მექანიკურად მოექცა ავტომატიზი ავაზაკების ტყვეობაში. ამიტომაც არის, რომ ქეთოს (და, შესაბამისად, ყველა ქართველის) ყოფა დიდად არ განსხვავდება გალიაში გამომწყვდეული ცხოველისგან, მეტიც – ეს უკანასკნელი უფრო დაცულია, ვიდრე ადამიანი. ამიტომაც გროტესკა ამძაფრებს დაშინებული მაიმუნის გაკვირვებული და თანაგრძნობით აღსავსე მზერა. თითქოს ნადირიც კი გაოგნებულია კაცთა ზნედაცემულობით და ებრალება ადამიანები, მასზე მეტად დაუცველები რომ არიან.

ზოოპარკში მომხდარი შემთხვევის

შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქეთომ და დინამ რატის ციხიდან და-სახსნელი ფული ველარ იშვევს. ერთადერთი გამოსავალი, დინას აზრით, ის იყო, რომ ცოტნე ქორიძისთვის საკუთარი სხეულის ფასად გამოეგლივა საქმრო. რომანტიკული ბუნების, გლობალური აზროვნების გოგონას მაშინ ეგონა, რომ ეს საქციელი სწორი იყო, რადგან რატი ნებისმიერი გზით უნდა გამოეყვენა ციხიდან და ეს იქამდე უნდა გაეკეთებინა, ვიდრე მკვდარს მოუსვენებდნენ. იმ დროს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ, რადგან ცოტნე ქორიძეს სიგიურდე უყვარდა, საიდუმლოს შეუნახავდა და რატი ამას ვერასოდეს შეიტყობდა და თუ მაინც შეიტყობდა, გაუგებდა და აპატიებდა. ბოლოს და ბოლოს არც მისთვის იყო ადვილი ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელმაც შინაგანად შეჭამა. დინა მწარედ მოტყუვდა – რატიმ გაიგო და არ აპატია. ცოტნემ დინას საიდუმლო არ შეუნახა და რატის ყველაფერი უამბო, მეტიც, ქორიძემ რაყიფს გარიგება შესთავაზა ერთადერთი მოთხოვნით – ყველა მაღაზიასა და სავაჭრო ობიექტს სიხარულით გადააბარებდა, ოლონდ მისთვის დინა დაეთმო.

და დაინტ ნამდვილი ჯოჯოხეთი – დინასთვის, რატისთვის, ქეთოსთვის... რატიმ ძალზე უხეშად ჰკრა ხელი დინას, რომელსაც არ ესმოდა შეყვარებულის ქუჩური კანონების ანაბანა, არ ელოდა, რომ ასე უგულოდ, ცინიკურად მოექცეოდა ის ადამიანი, ვისთვისაც ამხელა მსხვერპლი გაიღო. რატი ყიფიანი კი ის ბიჭი არ იყო, ვინმესთვის შეურაცხყოფა ეპატიებინა, ამიტომაც სასტიკად ამცირებს დინას, ხოლო ცოტნე ქორიძეს იარალ ესვრის, მაგრამ კი არ კლავს, საგანგებოდ ასახიჩრებს – ხერხემალს უზიანებს, რათა ველარასდროს შეძლოს მის საყვარელ ქალთან მიკარება.

ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ, მიუხედავად რომანის მაღალმხატვრულობისა, ერთ მონაკვეთში მაინც შეინიშნება ერ-

თგვარი ხარვეზი. როცა რატი ცოტნეს ტყვიას დაახლის, ამის შემდეგ მთხრობელი (ქეთო) ასეთ რამეს გვიყვება:

„შავპერანგიანმა კაცებმა ჩემს ძმას ქოჩორში წაავლეს ხელი, ასწიეს და ლამპიონის შუქში ბზინვარე დაბურულ-შუშებიან მანქანაში შეაგდეს. დაიძრა თუ არა მანქანა, რომელშიც ჩემი ძმა იჯდა, გული გამიჩერდა. მხოლოდ იმპულსის კარნახით ავედევნე ბრმად. გავეკიდე, თან ჩემი ძმის სახელს ვყვიროდი. მივრბოდი, მივრბოდი და თავად მიკვირდა, საიდან მოდიოდა ამდენი ძალა, ამდენი გაძლება. თავისუფლების მოედნამდე ვდიე და ოქ ჩავიკეცე, როდესაც მანქანამ, რომელშიც ჩემი ძმა იჯდა, სოლოლაკის ვიწრო ქუჩები უკან მოიტოვა და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა. უკანმოუბრუნებლად. სამუდამოდ“.

რომანის ამ პასაჟიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ რატი ბანდიტური დაჯგუფების წევრებმა, კერძოდ, ქორიძეების გარემოცვამ გაიტაცა. რატის იძულებით წაყვანა, ქეთოს სასონარკვეთილი დევნა, მისი „გულის გაჩერება“, ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი და, რაც მთავარია, სიტყვები – „ღამის სიჩრუმეში გაუჩინარდა. უკანმოუბრუნებლად. სამუდამოდ“ – გვარნების, რომ რატი ყიფიანი რომანში აღარ გამოჩენდება. ის ისევე დაიკარგა სამუდამოდ, როგორც არაერთი ახალგაზრდა გაუჩინარდა იმ ავბედით 90-იან წლებში, მაგრამ, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, უკვე გამოტირებული რატი მომდევნო ეპიზოდში ისევ ჩნდება. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, მისი ამბავი დაბურულშებიან მანქანასთან ერთად დაესრულებინა მწერალს, მაგრამ მალევე ვიგებთ, რომ ის ცოცხალია, საღამალამათი, ბანდიტებს კი არ გაუტაცებიათ მოსაკლავად, პოლიციას დაუჭრია და ციხეში ზის. ამიტომ არის გასაკვირი სიტყვები: „უკანმოუბრუნებლად. სამუდამოდ“. როგორც ჩანს, ნინო ხარატიშვილმა ასეთი პროზაული ფინალისთვის ვერ გაიმეტა თბილისელი შეყვარებულები და უფრო რომანტიკული

დასასრული მოუძებნა, მაგრამ ერთობ არალოგიკური გაგრძელება გამოვიდა. ვფიქრობ, ეს ერთადერთი ნაკლია ამ შესანიშნავი, სქელტანიანი რომანისა.

ამდენად, ყიფიანების, პირველების და ქორიძეების ოჯახების ერთი და იგივე წევრები თან მეგობრები (დინა, ქეთი, ნენე, გუგა) არიან და თან – მოსისხლე მტრები (რატი და ცოტნე).

რატის საქციელით სასონარკვეთილი დინა ორჯერ წავა აფხაზეთში, საგანგებოდ მიდის ომში და არ ერიდება ტყვიებსა და სისხლის წვიმებს, რადგან მისთვის უკვე ყველაფერი სულერთია – სიკვდილს ეძებს, მაგრამ ომშიც ვერ იპოვის, თავისი მასწავლებლისა და კოლეგებისგან განსხვავებით; ორჯერვე უკნებლად ბრუნდება თბილისმი, რატი კი... რატი კვლავ ციხეში მოხვდება ცოტნეს დაჭრის გამო, იქიდან კი, ისევ და ისევ სიცოცხლის შესანარჩუნებლად – ფსიქიატრიულ კლინიკაში, ხოლო, როდესაც გარეთ გამოვა, ველარ აიტანს დინას გარეშე ყოფნას და ჰეროინის მონა ხდება. გაუბედურებული, განადგურებული, დემორალიზებული, ოდესალაც ულამაზესხალიანი, სიცოცხლის მოყვარული, როკენ-როლის უბადლო შემსრულებელი და ენერგიული რატი, რომელიც საბოლოოდ წავა ფსკერისკენ, ველარ გაუძლებს ყოფილი საცოლის გარეშე ცხოვრებას, ვერ ერევა მის მონატრებას და ყველასაგან ფარულად, დინას ფოტოსახელოსნოში დაინყებს სიარულს. დინას უკანასკნელი მცდელობა, რატი გადაარჩინოს, ძველი იერსახე დაუბრუნოს, ცხოვრება მასთან ერთად სუფთა, ქათქათა ფურცლიდან დაინყოს, კრახით სრულდება. უკვე სახელოვანი ფოტოგრაფი დინა გამოფენებიდან მიღებულ ფულს მისხალ-მისხალ შეაკონინებს და რატის თურქეთში სამკურნალოდ წაყვანას გადაწყვეტს. ბილეთებიც ნაყიდი აქვს, მომავლის რწმენაც დაბრუნებული, მაგრამ თურქეთში გამგზავრების წინა დღეს ნარკოდამოკიდებულ რატის ნებისყოფა უმტყუნებს – ჰეროინის მონა,

ზედოზირებით კვდება.

საგულისხმოა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით აღრე რატიმ დინას პლასტმასის ბეჭედი აჩუქა, რადგან ეს იყო მხოლოდ, რისი საშუალებაც გააჩნდა ციხეში მოხვედრამდე რეკეტით გაბიზნესებულ რატის, თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ კი ნამდვილი ბეჭდის ყიდვას დაპირდა. დინას ეს „ნიშნობის“ ბეჭედი ხელიდან აღარასდროს მოუხსნია. რატის სიკვდილმა სამუდამოდ მოუღო ბოლო, საყრდენი გამოეცალა, სიცოცხლის საზრისი დაკარგა, სმა დაიწყო, თავისი სახელოსნოდან აღარ გამოდიოდა, ჩაიკეტა და, ქეთოს გარდა, აღარავის ნახვის სურვილი აღარ ჰქონდა. მხოლოდ ერთი გაუსაძლისი წელი გაატარა დინამ რატის გარეშე და ზუსტად წლისთავზე შეყვარებულის გარდაცვალებიდან, საკუთარ ფოტოატელიეში, სავარჯიშო რგოლების ბაწრით ჩამოიხჩიო თავი, თითქოს ამ ტრაგიკული კოლიზით ნიშნს უგებდა „ჩვენი ქვეყნიდან „კალაშნიკოვებითა და მუდმივი სიბრძლით დიდი ხნის წინ განდევნილ ღმერთს“.

ას წელს მიღწეულმა იაპონელმა მხატვარმა ხოკუსომ სიკვდილის წინ გულდაწყვეტით თქვა: „ვკვდები მაშინ, როცა ხატვა ვისწავლე“. დინა პირველიც იმ პერსპექტიული ახალგაზრდების რიცხვს განასახიერებს, ვინც კარიერის დასაწისში გადაბარგდა იმიერში, ვინც მიღწეული შედეგებით ტებობა ვერ შეძლო, რადგან მათ ამის უფლება იმ ქვეყნის გაუკულმართებულმა ყოფამ არ მისცა, რომლის შვილებიც თავად იყვნენ.

კუბოში მნოლიარე დინას თითზე რატის ნაჩუქარი ბეჭედი ეკეთა.

ქოიძებულები და იაშვილები

ზემოთ ვისაუბრე წენე ქორიძის შესახებ, ისიც ვახსენე, რომ მის კისერზეა ორი უდანაშაულო ბიჭის ცოდვა.

წენე ქორიძეს და სანდრო იაშვილს ერთმანეთი ჯერ კიდევ სკოლის ასაკში შეუყვარდათ თავდავიწყებით. იმის

მიუხედავად, რომ სანდროს სხვისი დასაწუნი არაფერი სჭირს, ქორიძების ოჯახში იაშვილის სიძეობა არც კი განიხილება, რადგან მათ გაცილებით „შორსმჭვრეტელი“ მიზნები აქვთ, ურჩევნიათ წენე თავიანთ პარტნიორს მიათხოვონ, მათი წრის წარმომადგენელს, ვისთან ერთადაც საერთო „ბიზნესი“ და ინტერესები აქვთ. ძალზე იმპულსური წენე კი უკან არასოდეს იხევს, საკუთარი სურვილების დასაქმაყოფილებლად, არად ჩააგდებს უზურპატორი ბიძის, ძმისა და დედის მოთხოვნებს და სანდროსთან ერთად ბათუმში გაიპარება. მოსიყვარულე წყვილს მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიაგნებენ და ცოლქმრიბის სამუალებას არ მისცემენ, წენეს სახლში დააბრუნებენ და ცოტა ხანში იძულებით მიათხოვენ მეზობელ კორპუსში მცხოვრებ სადისტოთო ტატიშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ წენეს გაგიჟებით უყვარს სანდრო, მასზე იმხელა გავლენა აქვს ოჯახს, დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მაინც გადაიბირებენ და მორჩილი ხბოსავით გაატანენ მისთვის მიუღებელ ადამიანს. მომხდარით განადგურებული სანდრო კი ცოტნესთან ანგარიშსწორებას გადაწყვეტს, რა დროსაც ხდება ტრაგედია – ცოტნე და მისი ძმაკაცი, სანდროს ნაცვლად კლავენ მის დასახმარებლად მისულ უბნელ ბიჭს, სრულიად უწყინარ და უკეთილშობილეს, ჩიტებისა და ქუჩის ძალლების დამპურებელ ქურთ ტარიკას, მოგვიანებით კი სანდროსაც მის კვალს გაუყენებენ. რაც შეეხება წენეს, ის ვერსაოდეს გახდება საძულველი ქმრის მოსიყვარულე ცოლი, რადგან მას ულამაზესი სანდრო იაშვილი უყვარს და უყვარს მთელი გულითა და არსებით. ამიტომაც ასეთ საშიშ თამაშს წამოიწყებს და მიჯნურსაც თან ჩაითრევს – იმ პერიოდისთვის ყოველდღიურ რუტინად ქცეულ შუქჩამქრალ მეტროში ვაგონებიდან გადმოდიან და რადგანაც ხმელეთზე ყველგან ქურდული სამყაროს თვალები უმზერენ, უბედური მიჯნურები ბნელ შახტებში იმალებიან და

იმ ჯურლმულში იქმაყოფილებენ სიყვარულისა და მონატრების ჟინს, მაგრამ, როგორც კი მზის სინათლეზე ამოვლენ, ხიფათიც არ დააყოვნებს. წყვილი წყნეთში, სანდროს მეგობრის აგარაკზე დაიწყებს შეხვედრას, სადაც მომავლის გეგმებს აწყობენ, საზღვარგარეთ გაქცევას და იქ დაქორწინებას ლამობენ, მაგრამ ნენეს იმპოტენტი ქმარი წამოადგებათ თავს. ოთო ტატიშვილი სანდროს გულში სანადირო თოფს ესვრის და ნენეს ხელებში ჩაკლავს.

ასე ამოუღამეს სიყვარულისთვის წამებულ სანდრო იაშვილს ულამაზესი ცისფერი თვალები. ასე იქცევიან მოსისხლე მტრებად იაშვილებისა და ქორიძე-ტატიშვილების ოჯახები, ნენეს კი... ნენეს, რომელიც სანდროს შვილს ატარებს მუცლით, სანდროს დალუპვიდან მალევე კიდევ ერთხელ გაყიდის თავისი დიქტატორი ბიძა, ამჯერად უკვე რუსეთში და თანაც ასაკით მასზე ბევრად უფროს მამაკაცზე, რათა „სირცხვილი ჩამოიცილოს“ და ბავშვი კანონიერად გაასალოს. ნენე უკვე წინააღმდეგობას აღარ უნევს ოჯახს, რადგანაც სანდრო აღარ ჰყავს და მისთვის სულ ერთია, რომელი კაცის გვერით დაწვება.

ასე გადაექცევა ნენეს ჩვევად მამაკაცების ხშირი ცვლა და ბიძის სიკვდილისა და ძმის დაინგვალიდების შემდეგ უკვე აღვირასნილი ცხოვრებისკენ ეხსნება გზა, სანდროს სიკვდილსაც მალე მოინელებს და, ქეთოსაგან განსხვავებით, აღარც წარსულის ლანდები ადარდებს.

ცაფიშვილები და ქორიძეები

ტატიშვილების ოჯახი კიდევ ერთი რამით უკავშირდება ქორიძეებს. გარდა იმისა, რომ ოთო ტატიშვილი მათი სიძე იყო, ქართული მენტალიტეტისთვის ცოტა მიუღებელ სხვა ურთიერთობასაც იწყებენ.

ოთო ტატიშვილი წენე ქორიძის ქმარია, მის ულამაზეს დას ანას მთელი ცხოვრება უგონოდ და უიმედოდ უყ-

ვარს ცოტნე ქორიძე, ხოლო ცოტნეს უმცროს ძმას, გუგას თავის მხრივ, თავდავიწყებით და ასევე უიმეოდ უყვარს ანა. ეს სასიყვარულო სამკუთხედი ამ ორ ოჯახში ცალმხრივ სიყვარულსა და სიძულვილს ეფუძნება. როდესაც ოთო სანდროს მოკლავს და სამუდამოდ გაქრება ქალაქიდანაც და ქვეყნიდანაც და, შესაბამისად, ქორიძეების სიძედაც უკვე აღარ ითვლება (ოთო ცოტნემ გააპარა, სავარაუდოდ, ბულგარეთში და მას მერე აღარ გამოჩენილა), ცოტნემ, გუგას თხოვნით, ანას პირობა წაუყენა – თუ უნდოდა, მისი ძმა არასოდეს ეპოვა სანდროს ძმას, ლევან იაშვილს, გუგას შეყვარებული უნდა გამხდარიყო და მას ცოლად გაჰყოლოდა. ანა ამ ავანტიურას დასთანხმდა და გუგას იძულებითი შეყვარებული გახდა. საბრალო გუგამ დიდ ხნის წატვრა აიხდინა, მაგრამ უბედურებამ აქაც არ დააყოვნა – შურისძიების წყურვილით შეპყრობილმა ლევან იაშვილმა მხედრიონელებს მოატაცებინა ანა. ხუთმა ბინძურმა ნაძირალამ გააუპატიურა საწყალი გოგო, რომელმაც ამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეირყა. ანას ამ ტრაგედიის შემდეგ ერთი უცნაურობა დასჩემდა – ფანჯრის წინ შიძვლდებოდა და ქუჩაში მდგარ ბიჭებს ენახვებოდა. ასე გამიშვლდა ერთხელ ცოტნეს წინაშეც. ცოტნე მას მერე ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული, რაც რატიმ იარაღი ესროლა. ბუნებრივია თავისი მდგომარეობის გამო მან ანას ხელი ვერ შეუშალა, ამ დროს გუგა წამოადგათ თავს, რომელმაც არაფერი იცოდა ანას ბოლოდროინდელი ჩვევის შესახებ, მოვლენები თავისებურად შეაფასა, ძმას სცემა და ანა სახლიდან გააგდო, თავად კი – განადგურებული და იმედგაცრუებული საკუთარი ძმის ჰეროინში ჩაიძირა, იქამდე, ვიდრე ზედოზირებით არ „განკურნა“ თავისი ამქეცებიური ტკივილი. ასე დაიღუპა გუგა – ყველაზე კეთილშობილი ბიჭი და ერთადერთი წესიერი წევრი ქორიძეების მახინჯი იჯახისა.

ყიფინები და იაშვილები

ლევან იაშვილს და ქეთო ყიფიანს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ქეთო ლევანის განუყრელი მეგობრის, რატის ღვიძლი დაა და იმ სულელური, დასაქცევი ქუჩური კანონების თანახმად, არასწორია მეგობრის დის შეყვარება.

ქალ-ვაჟის ჩუმმა, ფარულმა სიყვარულმა კარგა ხანს გასტანა, მცირედი პაუზებით ქეთო ორჯერ გაექცა მას, რადგან აუტანელი იყო ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში ცხოვრება. ლევანი გამუდმებით მოკლული ძმის გამო სისხლის აღებაზე ფიქრობდა და ფიქრობდა იმდენად, რომ, როდესაც ქეთოს ეალერსებოდა, ეს უკანასკნელი გრძნობდა, რომ მისი მიჯნური სადღაც, სხვაგან იყო და ეს სხვაგან ოთო ტატიშვილის გაურკვეველი ადგილსამყოფლის ძიება გახლდათ.

ამიტომაც გაიქცა ქეთო ქალაქიდან. გაექცა პრობლემებს, რომელთა სიმძიმის ატანის ძალა აღარ შესწევდა და აღარც ადგილი ჰქონდა ბარძაყებზე, რომ სამართებლით გადაესერა, სისხლი გამოეშვა და ცოტაოდენი შვება ეგრძნო. პირველად თავის მასწავლებელს გაჰყვა კახეთში, ბოდბის მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოების შესასრულებლად, მეორედ კი სტამბულში გაიქცა, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რომ გაქცევა გამოსავალი არ იყო და ყოველ ჯერზე უბრუნდებოდა პრობლემებსაც და ლევანსაც. ანა ტატიშვილის ამბავი უკვე პიყი იყო. მართალია, ამ დროისათვის, როგორც იქნა, ქეთოს ოცნება ახდა, რადგან ლევანმა გადალახა მეგობრის შიში და ქეთო ოფიციალურად გამოაცხადა შეყვარებულად, მაგრამ ანას მიმართ განხორციელებულ სისაძაგლეს და-ძმა ყიფიანები ლევან იაშვილს ვერსოდეს ვერ აპატიებდნენ. მან რატის თვალში მთლიანად დაკარგა ფასი, ჯერ იმიტომ, რომ ქეთო შეიყვარა და მეორე და მთავარი – უდანაშაულო ანა ტატიშვილი სამუდმაოდ გააუბედურა. ამიტომაც და-ძმა ყიფიანებმა

საბოლოოდ მოიკვეთა ის.

რაც შეეხება ქეთოს, მან რატის სიკვდილს გაუძლო, მაგრამ ვერ გაუძლო დინას ტრაგიკულ აღსასრულს. დინას დაკრძალვის შემდეგ სამუდამოდ და უკანმოუხედავად გაიქცა ქვეყნიდან, თვითონაც რომ არ დაღუპულიყო.

ჭოთ და ერო

უცნობი წითელი (ჟირ ლგალი) – ეს პერსონაჟი ყველაზე მკრთალად არის დახატული რომანში. გიო ის წითელი უცნობი ბიჭია, დინამ და ქეთომ ზოობარკში სიკვდილს რომ გადაარჩინეს, პირადი და სხვების ბედნიერების სანაცვლოდ. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ არც იმდენად ღირსეული ადამიანი ყოფილა, მის გამო ამდენი ახალგაზრდის ცხოვრება დამსხვრეულიყო. ქეთოსა და დინასაგან განსხვავებით, მას საერთოდ არ ამჩნევია წარსულის კვალი, გართობისა და ბოჭემურობის მოყვარული, მალე ივიწყებს უსიამოვნო ამბებს და იმით მაღლიერი და გადიდგულებული, რომ იღბლიანია, სიკვდილს ეთამაშება – აფხაზეთის ომში წავა. სწორედ იქ შეხვდება დინა პირველს, რომელიც, თავის მხრივ, ქეთოს შეახვედრებს. ქეთო, ლევანის მტანჯველი სიყვარულისგან რომ გათავისუფლდეს, ჯერ თავის კოლეგა რეზოსთან შეეცდება ურთიერთობის აწყობას, მაგრამ მალე მიხვდება, რომ ეს თამაში მას შვებას ვერ მოჰვრის, შემდეგ კი გიოსა და მის შორის გაიბმება ფლირტი, რომელსაც იმავ წამს დაასრულებს ვაჟი, როგორც კი გაიგებს, რომ ქეთო მის ბავშვს ატარებს მუცლით. ის პასუხისმგებლობას არ იღებს და ცხვირწინ მოუხურვას ფეხმძიმე გოგოს შემდგომი ურთიერთობის კარს. არანაირი სინდისი, არანაირი მაღლიერების გრძნობა, არანაირი უხერხულობა და, რაც მთავარია, არც სიყვარული. გაერთო და მორჩია!.. ამიტომაც არის ეს პერსონაჟი უფერული. გოგონას, რომელმაც მის გამო სიცოცხლე სასწორზე დადო, რომელმაც ძმისა და მეგობრის ბედნი-

ერება შესწირა ზვარაკად, სწორედ იმ ბიჭმა დასერილ-დასახიჩრებული სხეული და ბავშვი დაუტოვა „სახსოვრად“.

ისა ეროვნული და და-ქმა ქორიძები

ირას, როგორც ითქვა, განსხვავებული გრძნობით უყვარს ნენე, უყვარს თავდავიწყებით და უპირობოდ. ამერიკაში განათლებამიღებული, თბილისში საგანგებოდ ბრუნდება, პროკურორად იწყებს მუშაობას და ცოტნე ქორიძის დასამარცხებელ კამპანიას იწყებს. ვერ ეგუება იმას, რომ ნენე ორჯერ გაყიდეს უსარგებლო ნივთივით. ირა მიზანს მალე აღწევს და ინვალიდის ეტლიდან ძლივს ფეხზე წამომდგარ ცოტნეს სახლში მოსასმენ აპარატურას უმონტაჟებს. ასე შიფრავს ირა ცოტნეს ნარკოკარტელს და ერთ დროს უძლეველ ქორიძეს დიდი ხნით ციხეში უშვებს, მაგრამ ნენესთვის ასეთი ნაძირალა ძმა მაინც ძვირფასია და ირას ამ ნაბიჯს არ აპატიებს, სასტიკად შეიძულებს და მასთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტს.

ასე გათიშა დროის უკულმართობამ ოთხი განუყრელი მეგობარი, ხოლო დანარჩენი სამი დედამინის სხვადასხვა კუთხეში მომოფანტა.

ყველამ სხვადასხვა გაზა აირჩია თავს დამტყვდარი უბედურებების დასაძლევად: ქეთომ - ბარძაყების დასერვა, დინამ - სასმელი, რატიმ და გუგამ - ნარკოტიკი, ნენემ - კაცები, ირამ - ქალები, ლევანმა - ყაჩალობა, ანამ სიგიურე შეაფარა თავი. ამათგან ყველაზე უფრო გონივრული და სუფთა გზა ყველაზე უფრო დიდმა ნაძირალამ და ცოდვილმა ცოტნემ აირჩია. რომანის ყველა პერსონაჟის ტრაგედიის სათავეში ცოტნე ქორიძე დგას. მან დაუნგრია დინას და რატის ცხოვრება და მიიყვანა სასიკვდილო განაჩენამდე; მის კისერზეა დის ხელიდან წასვლა და ძმის დაღუპვა; ლევან და სანდრო იაშვილების, ოთო და ანა ტატიშვილების უბედურება, ტარიკას მკვლელობა. ამ ახალგაზ-

რდების გარდა, მათი ოჯახებიც ხომ დალუპა ქორიძემ და დალუპა საკუთარი თავიც. მხოლოდ იარას ვერ მისწვდა მისი სისხლიანი ხელები და სწორედ ირა იყო ის ადამიანი, ვინც სამუდამოდ მოუგრიხა კისერი. ციხეში დიდი დრო ჰქონდა საფიქრალად ცოტნე ქორიძეს, ცოდვების სიმძიმის გასაანალიზებლად, მოსანანიერლად. ამიტომ გათავისუფლების შემდეგ ბოდების მონასტერში აღიკვეცა ბერად. ეგ კია, იმათ ჩამქრალ სიცოცხლეს აღარ ეშველა აღარაფერი, ლანდებივით რომ გადაჰყვნენ საუკუნის დასასრულის თორმეტნლიან სიბნელეს.

ასეთი იშვიათი ოსტატობით აღწერა ნინო ხარატიშვილმა ტრაგიული ბედი თბილისელი შეყვარებულებისა და მეგობრებისა, რომელთა სიყვარულსაც გადაშენებული დინოზავრების სახეობას უწოდებს, ბინძურსა და მხეცურს, რომელიც „დანის ტრიალში, სისხლიან ჭრილობებსა და ტყვიის სროლაში მთავრდება“. ვისაც არ ეყოთ სინათლე, რომ ბნელსა და ჯურლმულად ქცეულ ქვეყანაში, ველური მხეცებით სავსე საშიშ გამოქვაბულად რომ გადაიქცა, სწორი გზა დაენახათ და დაუბრკოლებლად ევლოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „უკმარი სინათლე“ საიდანაც იწყება, ისეთივე სიუჟეტით მთავრდება, ზუსტად ისეთივე დასასრული აქცს, როგორიც დასაწყისი ჰქონდა - ბოტანიკური ბალის ეზოში გადაიპარებიან მეგობრები, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ პირველად თოთხმეტი წლისანი იყვნენ, ღალები და ბედნიერები, ოთხვე ერთად იყო, თანაც თბილისში, ჩანჩქერში ბანაბდენენ და აზრდაც არ ჰქონდათ, რა ვაება ელოდათ წინ, ნაწარმოების დასასრულს კი ბრიუსელში არიან და ჩანჩქერის ნაცვლად ფანტანში ბანაბდენ, თანაც უკვე ზრდასრულები. მათი ეს ქმედება იმიტაციაა ბედნიერი წარსულისა. მართალია, ლიდერი აღარ ჰყავთ, მაგრამ სწორედ დინას კადრე-

ბად ქცეულომა ფოტოგრაფიამ შეჰყარა ისინი ევროპის გულში, დინას მონატ-რებამ შეიყვანა ბოტანიკურ ბაღში, სა-დაც ფანტანის კრიალა წყალში განიბა-ნენ და ოცი წლის ნაგროვები ბოლმა და ლვარძლი ჩამოირცხეს, ყველა წყენა დაივიწყეს, კვლავ ერთმანეთს ჩაეხუტ-ნენ და ერთხელ უკვე დაკარგული სი-ლალე დაიბრუნეს.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალია ფინალურ სცენაში: მეგობრები თავი-ანთი ცხოვრების გარიურაჟზე დინამ შეიყვანა ბნელ გვირაბში და ასწავლა, რომ მხოლოდ ერთად ყოფნით დაძლევდნენ სიბრელის, ანუ ცხოვრებისე-ული განსაცდელების შიშს, ყველა წინააღმდეგობას ერთად ყოფნით გადალახავდნენ მხოლოდ. (თავიდანაც დი-ნამ შეჰყარა მეგობრები ბარიერებთან საბრძოლველად და ბრიუსელშიც მან ჩაიყვანა ისინი, რათა ერთმანეთთან შეერიგებინა და მათი ძევლი ერთობა აღედგინა). დინამ ეს თითოეულ მათ-განზე დიდი ხნით ადრე იცოდა და „არ უნდოდა უკმარს დაჲყაბულებოდა“. მან ბოლომდე იბრძოლა სინათლისათვის და საბოლოოდ მეგობრებიც მიახვედ-რა. ამიტომაც, თბილისის კადრებისგან განსხვავებით, ბრიუსელის ბოტანიკურ ბაღში შეპარულ ქეთოს, ნენეს და ირას ბნელი გვირაბის გავლა აღარ დასჭირ-ვებიათ, რადგან გვირაბის ჩამყაყებუ-ლი სიბრელე კარგა ხნის წინ მოიტოვეს უკან, ახლა ისინი ევროპაში არიან, შემ-დგარი, მანდილოსნები და არც ერთს აღარ აწუხებს უკმარი სინათლე, რად-გან იქ საერთოდ არ არის არც ბნელი გვირაბები და არც „დაკარგული თაო-ბის“ ცნება, იქ, სადაც უკიდეგანო თა-ვისუფლებაა.

ქეთომ, რომელსაც დინას გარეშე ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეოდა, რადგან ვერ ეგუებოდა უმისობას, რო-მელსაც თავგზა ჰქონდა არეული იმ-დენად, რომ პირადი ცხოვრებაც ვერ დაალაგა, უცბად გააცნობიერა, რომ თავისი სიყრმის მეგობარი არსადაც არ ნასულა, სულ მის გვერდის გამოფენაზე დაკარგული იყო მას გვერდის გამოფენაზე და არც არ მოიტოვეს უკმარი სინათლე, რადგან უკიდეგანო თაო-ბის ცნება, იქ, სადაც უკიდეგანო თა-

გამუდმებით ასწავლის, რომ სირთუ-ლებს ჯიუტად უნდა გაუმკლავდეს. ამიტომაც ჩანთიდან კალამს იღებს და ბლოქოტები იმ უკანასკნელ კადრებს ხატავს, ფანტანში ნენესთან და ირას-თან ერთშად რომ გაატარა: „წვრილი შტრიხებით გამომყავს ჩვენი სილუე-ტები და როგორც გამოფენაზე დინას ფოტოს შემთხვევაში, აქაც არ მშორ-დება უსიამოვნო გრძნობა, რომ სრულ-ყოფილი არ არის, რაღაც აკლია. კალ-მისტარს თითებს ვუჭერ, თავიდან ვიწყებ. იქ, სადაც ნენემ ხელი გაშალა და ადგილი დატოვა, მას ვხატავ, მის მხრებსა და ყელს, როგორც ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც მინდა, რომ მახსოვდეს, სანამ სამყარო ყველა შუქს ჩაუქრობდა. ვხატავ, მის სქელ თმასა და ღრმულებს, განუმეორებელი ღიმი-ლის დროს ლოყებზე რომ უჩნდებოდა, მის აგიზგიზებულ, მშიერ თვალებს, ფართო პირს, მის განსაკუთრებულ, ოდნავ მოღუნულ ცხვირს, დაუოკებელ სიხარულს, გადამდებ სიმსუბუქეს. ყვე-ლაფერი აქ არის, ყველაფერი ისევ აქ არის. ოლონდ ჩვენთან ერთად არ მო-მატებია წლები. მუდამ ახალგაზრდად დარჩა, სიჯიუტითა და შეუპოვრობით დროს აჯობა“. უცბად ქეთო მიხვდა, რომ, ახალი ცხოვრების დასაწყებად, წარსულის მტანჯველი მელანქოლიის-გან უნდა გათავისუფლდეს და ჯიუტად იაროს წინ, ნათელი მომავლისკენ. დი-ნამ ხომ მას იდუმალებით მოცული სა-მყაროს კარი გაულო. ამიტომაც ამთავ-რებს ის თხრიბას ოპტიმისტური ფი-ნალური ფრაზით – „ინათა“, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ წუთას ქეთოში ახალი ადამიანი დაიბადა, ახალი იმედებითა და ოცნებებით სავსე.

ასეთი ამაღლებული განწყობით ამ-თავრებს ნინო ხარატიშვილი თავის შე-სანიშნავ რომანს, რაც იმას ემსახურე-ბა, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენოს – ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა უკმარი სინათლის დასაძლევად.



გიორგი ჯერვაშიძე

ეკოლებ მოსვლისას

ერთმოქმედებიანი აბსურდული ტრაგიკომედია

მოქმედი პირნი:

ხრისტო – კაცი სახელად ხრისტო.

ხვიჩა და გოჩა – ორი ერთმანეთის იდენტური ახალგაზრდა. შეიძლება, ითქვას, ხრისტოს მიმდევრები.

ლესტანბერი – ხრისტოს მამა, რომელსაც სასჯელი ადევს, ვერ ლაპარაკობს და მხოლოდ ზმუის.

უურნალისტი – ერთი რიგითი მოკლეკაბიანი უურნალისტი გოგო, რომელსაც ხრისტოსათან ბლიც ინტერვიუს ჩაწერა სურს.

დაცვა ზაქრო (მონიტორი) – დაცვა ზაქრო, რომელსაც სიდედრი მოუკვდა და არ უნდა, რომ გააცოცხლონ.

ტელეწამყვანი (მონიტორი) – ანგაუირებულ-დაბოტოქსებული და სენსაციებზე მონადირე ტელეწამყვანი ქალი.

სულიკო – ბოლომდე რომ ვერ გაიგებ, კარგია თუ ცუდი, თუმცა ერთ-ერთი მთავარი გმირია და სახელშიც სიტყვა „სული“ ტყუილად არ უწევია.

დედა (მონიტორი) – ხრისტოს დედა.

მონიტორში წარმოდგენილ მოქმედ გმირებს იგივე მსახიობები განასახიერებენ, რომლებიც სხვა ძირითად სცენებშიც არიან დაკავებულნი (ჯამში ექვსი მსახიობი).

სცენა პირველი:

ნათდება ფარდა, რომლის წინაც დგანან ხვიჩა და გოჩა. ყმანვილებს ერთნაირი ჟაბოიანი პერანგები და ელასტიკები აცვიათ. იწყებენ რევერანსების კეთებასა და არტისტულ ცეკვა-თამაშს.

ხვიჩა: – აი, უკვე საუკუნეებია, რაც კაცობრიობა მოელის მეორედ მოსვლას.

გოჩა: – დიახ, სწორედ იმ დღიდან მოყოლებული, რაც იყო ის პირველი...

ხვიჩა: – ოოო... ეს მეორედ მოსვლა კი მართლაც რომ დიდი მისტიკური და ამაფორიაქებელი რამაა.

გოჩა: – დიახ, თან არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე თავად ის პირველი...

მეტიც, სწორედაც რომ მისი ტოლ-სწორია...

ხვიჩა: – და, ალბათ, ამიტომაც არის, რომ კაცობრიობას მუდამ ეგზომ ძლიერ აღელვებდა მეორედ მოსვლის ფენომენი და საუკუნე არ გავიდოდა ისე, მისი დადგომა არ გამოეცხადებინა.

გორი: – დიახ, აკვირდებოდნენ სხვა-დასხვა სახის მოვლენებსა თუ ცვლილებებს, დაწყებული ციური სხეულების განლაგებითა და დამთავრებული ბუნებრივი კატაკლიზმებით. შემდეგ ერთობ მოხეხებულად აკავშირებდნენ მათ უკანასკნელი ჟამის დადგომის ნიშნებთან და აფორიაქებულნი სასოწარკვე-თაშიც კი ვარდებოდნენ.

ხვიჩა: – უცნაურია, მაგრამ ადამია-ნები განუწყვეტლივ ყველაფერში ხე-დავდნენ მეორედ მოსვლის დადგომის ნიშნებს და თან ყოველთვის უპირობოდ სჯეროდათ მათი.

გორი: – დიახ, სულ ასე იყო და დღე-საც ასეა... მეტიც, მავანი სხვასაც კი აჯერებდა ამ ჟამის დადგომას და შემ-დეგ ამითი კიდეც ხეირობდა.

ხვიჩა: – ცრუ გამოცხადებებიც მრავ-ლად ახსოვს ისტორიას და ცრუ მესიის მომსწრეც არაერთხელ გამხდარა კა-ცობრიობა.

გორი: – დიახ, გამოჩნდებოდა ვინმე თავზეხელალებული და იტყოდა, აი, მო-ვედი მე მეორედ და მოემზადეთ უკანას-კნელი ჟამისთვისო...

ხვიჩა: – სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, ისინი ყოველთვის ცდებოდნენ.

გორი: – დიახ, მეორედ მოსვლა მრავალჯერ არ შედგა, დაიგვიანა და შეიძლება ითქვას, გადაიდო კიდეც. არადა, თითქოს, მისი მოახლოებისა თუ დადგომის ყველა ნიშანი და წინაპირობაც არსებობდა.

ხვიჩა: – ეს ჩვენი ამბავიც სწორედაც რომ მეორედ მოსვლაზეა.

გორი: – დიახ, ნამდვილად ასეა და კაციშვილმა არ იცის, ამჯერად როგორ დასრულდება ეს ყოველივე და ახლა მა-ინც თუ დადგება ეს შიშისმომგვრელი მეორედ მოსვლა.

ხვიჩა: – მაშ, დავიწყოთ...

გორი: – დიახ, დავიწყოთ...

სცენა მეორე:

უმანვილები ფარდას ხსნიან და სცე-ნიდან ცეკვა-ცეკვით გადიან. ოთახში დგას საოფისე მაგიდები და სავარძლები. კედელზე ჰკიდია დიდი მონიტორ ტელევიზორი და ერთიც დაფა. ტელე-ვიზორში საინფორმაციო გამოშვება გა-დის. დაფაზე რაღაც დავალებები წერია. ოთახის შუაში დგას ტყავის სამეული და შუშის პატარა მაგიდა. სამეულზე კაცია ნამონოლილი. გრძელი თმა და წვერი აქვს. თეთრი კაბა და თასმებიანი სან-დლები აცვია. კაცი დასწვდება პულტს და ზურგს უკან დაკიდებულ ტელევი-ზორს თიშავს. შემდეგ მიგიდიდან იღებს უურნალს, ახვევს და პირთან მიკროფო-ნივით მიაქვს.

ხრისტო: – პატივცემულო ტელემა-ყურებლებო, რადგან ასეთი გაცხოვე-ლებული ინტერესია ჩემი პირვნების მიმართ, გადავწყვიტე, ცოტაოდენი გი-ამბოთ ჩემ შესახებ, ოღონდ უმორჩილე-სად გთხოვთ, არ გამანყვეტინოთ. ესე იყი, დედაჩემმა რომ გაიგო, ჩემზე ფეხ-მძიმედ იყო, სიხარულისგან ლამის გა-დაირია. წარმოუდგენელი ამბავი იყო და რეაქციაც შესაბამისი ჰქონდა. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ დედა და მამა ოცი წლის დაქორწინებულნი იყვნენ და შვი-ლი არ უჩნდებოდათ. აი, მამას კი ეს ამ-ბავი, მგონი, საერთოდაც არ გახარებია. პირიქით, ეწყინა კიდეც და დედა მაგრა-დაც სცემა. უბრალოდ, მამამ ზუსტად იცოდა, რომ შვილი ვერ ეყოლებოდა და ცოლსაც ვერასდროს დააფეხმდიმებდა. დედამ კი დიდი ენთუზიაზმით ახარა, აქაოდა, ძილში ანგელოსი გამომეცხადა და მამცნო, შვილი გეყოლება, ხრისტოს დაარქმევ და მეორედ მოსვლისას სამყა-როს უკანასკნელი ჟამისგან იხსნისო. მა-მამაც ჯერ ცოლი სცემა, შემდეგ ეზოში ჩავიდა და უბნის კაცებთან ერთად ისე მაგრად გამოთვრა, რომ იქვე, „ბესეტ-კაშივე“ ჩაეძინა. გაბრაზებული ანგელო-სიც სწორედ იქ გამოეცხადა. სწორედ ამ გაბრაზებულმა ანგელოსმა დასაჯა ურ-

წმუნოებისთვის და მეტყველების უნარი წაართვა. დას, სწორედ მის მერეა მამა, რომ მხოლოდ ზმუს და კაციშვილს არ ესმის მისი. ისე ეს ამბავიც დედამ გა-ავრცელა, რომ მამა ურნმუნოებისთვის ანგელოსმა დასაჯა, თორემ ნათესავებს დღემდე სჯერათ, გაუოვნა ჰქონდა, ტვინის უჯრედები დაუზიანდა და მეტ-ყველების უნარიც მაგიტომ წაერთვაო.

ოთახში შემოდიან ერთნაირ პიჯა-კებსა და შარვლებში გამოწყობილი ახალგაზრდები. შემოაქვთ დიდი ბანერი, რომელზეც წყალზე მდგომი ხრისტოა გამოსახული და დიდივე ასოებით აწერია: „შენ სად იდგები მეორედ მოს-ვლისას?“ ასევე გამოსახულია რიცხვი 33 და პარტიის სახელწოდება: „ხრისტო არს თქვენთან, ეროვნულ-განმათავი-სუფლებელ-სულისსაცხონებელი მოძ-რობა“.

ხვიჩა: – აბა, როგორია? ხომ არის დამბურძგლავი?

გოჩა: – დედას გეფიცები უფროსო, აი, ეხლაც თუ დაბურძგნული არ ვიყო.

ახალგაზრდები ბანერს კედელზე აყუდებენ, იკრიჭებიან და ხრისტოს შე-ფასებას ელიან.

ხრისტო: – არაა ცუდი, თუმცა, მე მეორე ვარიანტი მერჩივნა. აი, სადაც ღრუბელზე ვზივარ, თუმცა ჩვენმა ძვირფასმა პიარმენეჯერმა მაინც ამაზე შეაჩერა არჩევანი და მეც ალარ შევწინააღმდეგებივარ. დამლალა მაგ კაცთან ჭიდაობამ. ძალან რთული ადამიანია. ბიჭებო, ეგ მანდვე მიაყუდეთ და მო-დით, დასხედით, როდემდე უნდა იდგეთ ფეხზე?

ხრისტო წამოიწევა და ახალგაზ-რდებს ხელით მიანიმნებს სავარძლებ-ზე. ყმაწილებიც სინქრონულად სხდე-ბიან და თვალებში შესციცინებენ.

ხვიჩა: – ისე, მეც ის მერჩივნა უფ-როსო...

გოჩა: – მეც... მართლა...

ხრისტო: – დაიკიდეთ... გინდათ, გი-ამბოთ აქ როგორ აღმოვჩნდი? რა გზა განვლე და რა გადამხდა თავს, სანამ ამ საარჩევნო კამპანიაში ჩავებმებოდი?

თან წელან, სანამ თქვენ მოხვიდოდით, ცოტას ვრეპეტიციონბდი და მაინტერე-სებს, როგორ გამომდის. ხომ იცით, ამ დღეებში სატელევიზიო დებატები უნდა მქონდეს და ვფიქრობ, ცოტა ჩემს თავ-ზეც, წარსულზეც ვისაუბრო.

ახალგაზრდები დასტურის ნიშნად სინქრონულად იქნევენ თავებს და მო-ხერხებულად სხდებიან.

ხრისტო: – მაშ მისმინეთ... ერთადერ-თი ადამიანი, ვისაც თავიდანვე სჯერო-და ჩემი განსაკუთრებულობის, დედა-ჩემი იყო. მართალია, ამაზე ხმამალლა არავისთან საუბრობდა, თუმცა ყოველ-თვის დარწმუნებული იყო, რომ დადგე-ბოდა დღე, როდესაც გაცხადდებოდა სიმართლე და მეც ჩემი მისის შესრუ-ლებას შევუდგებოდი. მანამდე კი იყო დამლელი 33 წელი და უსაშველოდ გა-ნელილი დრო. დრო, როცა მე დავდიო-და ბაღსა თუ სკოლაში, უნივერსიტეტსა თუ პროფესიულ სასწავლებელში. მოკ-ლედ, ვცხოვრობდი ისე, როგორც სხვა დანარჩენი და ერთ მშვენიერ დღეს კი...

ოთახში შემოდის ასაკოვანი კაცი და იწყებს ზმუილს. გულისშემაღონებელ ხმებს უშვებს და ხელებს ნერვიულად იქნევს.

ხრისტო: – დამშვიდდი მამა. აქეთ მოიწი. დაპრძნდი და ცოტა მოისვენე. აი, გაიცანი, ეს ჩვენი საარჩევნო შტა-ბის წევრები არიან. ჩვენი მარჯვე ბიჭე-ბი. შეიძლება ითქვას, ჩემი მიმდევრებიც კი. აი, ეს გოჩა და ეს კი ხვიჩა. ჰო, გეთანხმები, რაღაცნაირად უცნაურად და ცოტათი კომიკურადაც კი გაირითმა მათი ეს სახელები, თუმცა გარწმუნებ, მართლაც ძალზე ყოჩალი ბიჭები არიან. იმედია, ჩემს მერე ამათაც არ მოჰკით-ხნებ ჩემს საქმეს. ჰა, ჰა, ჰა... ვხუმ-რობ, რა თქმა უნდა. აი, ნახე, რა ბანერი დაამზადეს, მოგწონს?

ხვიჩა და გოჩა სათითაოდ მიდიან ხნიერ კაცთან და ხელს ენერგიულად ართმევენ. შემდეგ ბანერს იღებენ და მეტი თვალსაჩინოებისთვის შლიან.

ხრისტო: – მამა, კარგია არა? ბიჭე-ბო მამას ლესტანბერი ჰქვია. ლენინის,

სტალინისა და ბერიას საპატივცემულოდ დაარქვეს. თქვენ ეგ ხალხი არ გემახსოვრებათ და მერე, სხვა დროს მოგიყვებით, რა მოხელეებიც იყვნენ.

ლესტანბერი: ისევ ზმუს და მოწონების ნიშნად თავს აქნევს. კმაყოფილი ახალგაზრდებიც თავის ადგილებს უბრუნდებიან. კაციც ხრისტოს გვერდით ჯდება.

ხრისტო: – რაო მამა, აბა, რა ხდებაო ახალი? ან შენ რამ შეგანუხა? მარტო რად ხარ? დედა სადაა?

ლესტანბერი: – მმმმ... აააა... უუუუ...

ხრისტო: – რას მეუბნები? მარტლა, კაცო? ჰო, აბა, ღვინის გარეშე ქორწილი ნამდვილად არ გამოვა. შენ არ იდარდო, აუცილებლად მოვალ და ვნახოთ, რა გამოვა. უთხარი, წყალი გაამზადონ. კაცზე ლიტრი იანგარიშონ. რატომ მიყურებ ეგრე დაბნეული? კაცო, რამდენი კაციც უნდა ჰყავდეთ ქორწილში სტუმრად, იმდენი ლიტრი ღვინო ხომ დასჭირდებათ? ჰოდა, ადგნენ და რადგან ღვინო არა აქვთ, იმდენი ლიტრი წყალი მომიმზადონ. ახლა გასაგებია? ვერც თქვენ მიმიხდით ვერაფერს ბიჭებო?

ხრისტო ყმაწვილებისკენ ტრიალდება და გამომცდელად უყურებს. ბიჭები სდუმან და მხრებს იჩეჩავენ. ხრისტოს სიცილი უტყდება.

ხრისტო: – სულ დამავიწყდა, რომ მამაჩემის მხოლოდ მე მესმის. ეტყობა, ესეც ერთგვარი ნიჭია. ლესტანბერმა ჩვენს ნათესავებს კვირას ქორწილი აქვთ და ღვინო აუძმარდათო. ახლის შოვნას ველარ ასწრებენ და თან მაგის აღარც ფული აქვთო. მთხოვს, იქნებ რამით დაეხმაროო. ადრე, ერთხელ რაღაც პიკნიკზე ვიყავით მთელი სანათე-სავო და გარეულმა ძალებმა საკვები შეგვიჭამეს. მხოლოდ რამდენიმე პური და ორიოდე თევზი გადაურჩათ. მეც ავ-დექი და ეს მონარჩენი საკვები გავამრავლე. ახლა არ მკითხოთ როგორ და რანაირადო, რადგან წარმოდგენა არ მაქვს. აი, ეგრე, ერთი ხელი ავიქნიე და სამი პური და ორი თევზი ორმოცი კაცის საკმარისი შეიქმნა. მგონი, კაცზე

თითო პური და თევზი მოუწია. მოკლედ, ყველას ეყო და მოგვრჩა კიდეც. მერე ის მონარჩენიც ისევ იმ წუნკ ძალებს დავუტოვეთ.

ხვიჩა: – აუ, ეგ ამბავი მოსმენილი მაქვს.

გორი: – მეც უფროსო... მართლა ძალიან მაგარი ამბავია.

ისმის მამლის ყივილი. ხრისტო მაგიდიდან ტელეფონს იღებს და ნომერს დასცემერის. ვერ ცნობს და ქვედა ტუჩს აბრუნებს.

ხრისტო: – ხრისტო გისმენთ. სალამი. საიდან? ცუდად ისმის. უურნალი „და-სალიერი“? არ ვიცი, პირველად მესმის. იცით, უკეთესი იქნება, თუ ჩვენი შტაბის პრესსამსახურს დაუკავშირდებით. არა, გენაცვალე, მე ასე ინტერვიუს არ ვიძლევი. კეთილი, მაშინ ახლა უნდა დაგემშვიდობოთ. ვისი ნათესავი ბრძანდებით? იუდასი? და მე უნდა ვიცნობდე მაგ იუდას? მომავალში გავიცნობ? ჰოდა, მაშინ თქვენც მომავალში დამიკავშირდით.

ხრისტო უკმაყოფილო სახით თიშავს ტელეფონს და რაღაცას ბუტბუტებს. ისმის კარის ჯახეუნის ხმა და ოთახში შემორბის ახალგაზრდა გოგო, რომელსაც ძალზე მოკლე კაბა აცვია. ირთვება მონიტორ-ტელევიზორი, სადაც ჩანს აქოშინებული დაცვის თანამშრომელი.

უურნალისტი: – ხრისტო, ეს ისევ მევარ, უურნალი „დასალიერიდან“. აი, წელან რომ ვისაუბრეთ და შეხვედრაზე შევთანხმდით. ეს კაცი კიდევ არ მიშვებს თქვენთან, ჩანერილი არ ხარო. ძალიან გთხოვთ, უთხარით, რომ თვენთან ვარ.

ხრისტო: – ამ უურნალისტების თავ-ხედობას საზღვარი არა აქვს. გესმით, შევთანხმდით შეხვედრაზე?! ჰა, ჰა, ჰა... კარგი, დაცვა ზარქო, შეეშვი. რაღაც აქამდე შემოაღწია, ესე იგი, ეკუთვნის ერთი ინტერვიუ. იმედია, სხვა დროს უფრო ყურადღებით იქნები და აღარავინ შემოგეპარება.

დაცვა ზაქრო: – მომატყუა, ტუალეტში მინდაო და შემოიპარა. მთელი დღეა გარეთ დგას და გელოდებათ. ვიფიქრე,

მართლა ტუალეტში უნდა-მეთქი. შემე-
ცოდა... ჩემი ბრალია... არ უნდა შემო-
მეშვა...

სცენა მესამე:

ხრისტო ხელით ანიშნებს დაცვა ზაქ-
როს დაგვტოვეო და ისიც მონიტორი-
დან ქრება. უურნალისტს ერთ-ერთ მა-
გიდაზე მიუთითებს და თავად მეორე
სავარძლის მოსატანად მიდის. სხვების-
გან ოდნავ მოშორებით სხდებიან.

ხრისტო: – აქ დავსხდეთ. თქვენ არ
მოიწყინოთ ბიჭებო. აბა, რა გნებავთ
ქალბატონო ძალზედ მონადინებულო
უურნალისტო? როგორ თქვით, საიდან
ვარო? უურნალი „დასალიერი“ ხომ? გუ-
რულები ასე ქვეყნის დასასრულს ეძა-
ხიან, არა?! ჰა, ჰა, ჰა... ისე, მართლაც
ორიგინალური სახელი მოგიფიქრებიათ.

უურნალისტი მაგიდასთან გვერდუ-
ლად ჯდება. მისი მოკლე კაბა კიდევ
უფრო ზევით მიიჩევს. ხვიჩა და გოჩა
ტრიალდებიან, კისრებს იგრძელებენ
და გოგოს ფეხებს აშტერდებიან. ლეს-
ტანბერის ზმუილი ყველას აფხიზლებს.
გოგო კმაყოფილი სახითა და კეკლუცი
მოძრაობებით დიქტოფონს რთავს და
მაგიდაზე დებს.

უურნალისტი: – მალიზიანებს?

ხრისტო: – უკაცრავად?

უურნალისტი: – ბლიცია.

ხრისტო: – ბატონო?

უურნალისტი: – ბლიცი ინტერვიუ უნ-
და ჩავნეროთ. მე მოკლე კითხვებს და-
გისვამთ და თქვენც მოკლევე პასუხებს
გამცემთ. გასაგებია?

ხრისტო: – ფეხზე პატარა ფრჩხილე-
ბი.

უურნალისტი: – რააა?

ხრისტო: – რა გალიზიენებსო და ფე-
ხის თითების პატარა ფრჩხილები-მეთ-
ქი. აი, ძალიან არ მომწონს ეგ ამბავი.
განსაკუთრებით ქალებზე. თან მერე
ღიას რომ იცვამენ ფეხზე და უტიფრად
აჩენენ ამ თავის შეუხედავ თითუკებს.

უურნალისტს ინსტინქტურად საკუ-
თარი ფეხის თითებისკენ გაურბის თვა-
ლი. დახურული ფეხსაცმელი აცვია და

მალევე მშვიდდება.

უურნალისტი: – ვგრძნობ?

ხრისტო: – როდესაც ზომაზე მეტს
გეახლებით, მერე ვგრძნობ ხოლმე, სა-
დაცაა კუჭი. აი, აქ რაღაც ისე მანვე-
ბა, რომ ლამისაა გარეთ გამომივარდეს
ხოლმე. განსაკუთრებით ლობიოს მერე
იცის დამძიმება.

ხრისტო მუცელზე ხელს ისვამს და
შენუხებულ სახეს იღებს.

უურნალისტი: – მეშინია?

ხრისტო: – გველების. აი, ტელევი-
ზორშიც რომ ვხედავ, თმები ეგრევე
ყალყზე მიდგება. ერთხელ, ბავშვობაში,
სოფელში რომ ვისვენებდი, შემთხვევით
გველს ფეხი დავაბიჯე. იწვა ეს გველუ-
კა თავისთვის და მზეს ეფიცხებოდა. აი,
ასეთი, თითქმის მაჯის სისქე იყო. მე
დაბდურამ კი ვერ შევნიშნე და ფეხი არ
დავადგი?! არ უკბენია. რაღაცნაირად
ზამბარასავით დაიხვა და მერე სწრა-
ფადვე გამშორდა. მე კიდევ ადგილზე
გავქვავდი და კიდევ დიდხანს ვერ მოვე-
დი აზრზე. ისე შემეშინდა, რომ მთელი
კვირა არ მძინებია...

უურნალისტი: – ვიცი?

ხრისტო: – მართლა? საიდან? მოვყე-
ვი უკვე სადმე?

უურნალისტი: – არა, კითხვაა ასეთი.
ვიცი?

ხრისტო: – უი... ჰა, ჰა, ჰა... დავი-
ბენი. მე კიდევ მეგონა, რომ ეს ამბავი
იცოდი. მაშ ასე, ვიცი, რომ ზღვაში ჩუმ-
ჩუმად ყველა აფსამს და ამას ცოცხალი
თავით არავინ აღიარებს.

უურნალისტს სიცილი უტყდება.
იცინიან ხვიჩა და გოჩაც. ლესტანბე-
რიც ზმუის. უურნალისტი მოხდენილად
ბზრიალებს სკამზე და მოკლე კაბაც კი-
დევ უფრო უმოკლდება. ხვიჩა და გოჩას
კისრებიც კიდევ უფრო უგრძელდებათ.
ნამით ყველა ჩუმდება და უურნალის-
ტის თეთრ წვივებს შესცერის. ისევ
ლესტანბერის ზმუილი აფხიზლებთ.

უურნალისტი: – არ ვიცი?

ხრისტო: – არ ვიცი, სად მიდიან გზა-
ზე გაჭყლეტილი ცხოველები. უფრო
სწორედ სად მიჰყავთ. თუ მეტად დავ-
კონკრეტდები, ვინ აგროვებს ამ გაჭყლე-

ტილ ცხოველებს და მერე რას უშვრება? აი, ხომ გინახავთ გზაზე გაჭყლეტილი ძალი და ან კატა? გდინა ასე ერთი დღე, მეორე, მესამე... ნელ-ნელა ბრტყელდება, ხმება და ხდება რაღაც უფორმო, გამოყვანილი ტყავის მსგავსი რამ... მერე ერთ დღესაც გაივლი და ალარა. ფაფუ, გაქრა. აორთქლდა. მე მგონია, რომ უნდა არსებობდეს რაღაც სამსახური, რომელიც ამ ცხოველთა ნეშტის შეგროვებაზე იზრუნებს. ისე, შეიძლება, არსებობს კიდეც და მე არ ვიცი ამის შესახებ. და თუ არ არის, მაშინ არჩევნების შემდეგ, როცა მე მოვალ ხელისუფლებაში, აუცილებლად შევქმნი ასეთ სამსახურს, რომელიც იზრუნებს გზაზე გაჭყლეტილი ცხოველების ნეშტის მოვლა-პატრონობაზე. ანუ შეაგროვებენ, რა და მერე სადმე დაფლავენ და ან დაწვამენ. არაა ხომ ცუდი ინიციატივა?

ხრისტო ყმაწვილებისკენ ბრუნდება. ისინიც დიდი ენთუზიაზმით იწყებენ თავების ქნევასა და ტაშის დაკვრას. ლესტანბერიც თანხმობის ნიშნად გაბმულად ზმუს და თავს აქიცინებს.

ჟურნალისტი: – შემიძლია?

ხრისტო: – წყალზე სიარული, საკვების გამრავლება და ახლა წყლის ღვინოდ გადაქცევაც უნდა ვცადო. ჩემს ნათესავებს ქორწილი აქვთ კვირას, ღვინო აუქმარდათ და... რა იყო, არ გჯერა? აბა, ანახეთ ბიჭებო ამას ჩვენი ბანერი.

ყმაწვილები სავარდლებიდან მკვირცხლად ხტებიან, ბანერთან მირბიან და ამაყი სახეებით შლიან.

ჟურნალისტი: – ფოტოშობს ჰგავს. ეგეთ ბანერს მეც ავანწყობ თხუთმეტ წუთში. თუ გინდათ, ფრთებსაც კი შეგასხამთ...

ხრისტო: – არადა, მართლა ვდგავარ წყალზე. მეგონა, დამაჯერებელი იყო ეს ყველაფერი... ვაჲ, ეს რა საფიქრალი გამიჩინე?! ესე იგი, არა ჰგავს ნამდვილს, არა?

ჟურნალისტი: – არა, არა ჰგავს. დამაჯერებლობა აკლია. თუ მართლა დადიხართ წყალზე, გირჩევთ, ლაივში ჩართოთ ეგრე.

ხრისტო: – ეგ როგორ?

ჟურნალისტი: – როგორ და წყალზე დადექით და ისე ჩაერთეთ პირდაპირ ეთერში. ცოტა გაიარ-გამოიარეთ კი-დეც და მერნმუნეთ, ასე ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნებით.

ხრისტო: – გენიალური აზრია. მგონი, თქვენ უნდა აგიყვანოთ ჩვენი პარტიის პიარ მენეჯერად. აბა, დატრიალდით ახლა ბიჭებო და დროზე სადმე მომცრო აუზი იშოვეთ. აქვე მოაწყეთ ექსპერი-მეტრული სტუდია და პირდაპირი ეთე-რიც დამიგეგმეთ.

ყმაწვილები ბანერს ისევ კედელთან აყუდებენ, ხრისტოს სამხედრო სალამს აძლევენ და ოთახიდან სწრაფი ნაბიჯით გადიან. ლესტანბერიც რაღაცას ზმუს და უჩინარდება. ხრისტო მაგიდის უჯრიდან წითელი ღვინის ბოთლსა და ორ ჭიქას იღებს. ხსნის, ჭიქებს ავსებს, ჟურნალისტს უჭახუნებს და ცბიერად ულიმის.

ხრისტო: – რაო, რა მითხარი, რა მქვიაო?

ჟურნალისტი: – მარიამ მაგდალინე-იშვილი. თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ მარი დამიძახოთ.

ბნელდება. ისმის ჩურჩულისა და კისკისის ხმა.

სცენა მეოთხე:

ოთახის შუაგულში ცვლილებაა. სამეული კედელთან არის მიწეული და მის ადგილზე აუზის მსგავსი კონსტრუქცია დგას. კონსტრუქცია საკმაოდ დაბალია. ასე ორმოცი სანტიმეტრია სიმაღლეში, სამი მეტრია სიგრძეში და მეტრი განში. რაღაცით დიდ სარბენ ბილიკს ჰგავს. შიგ წყალი ასხია და ზემოდან კი სქელი შუბა ადევს. ხრისტო შუბაზე გადი-გამოდის და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს წყალზე დგას. ყმაწვილები რაღაცას ფუსფუსებენ. ლესტანბერი და ჟურნალისტი მაგიდებთან სხედან.

ხვიჩა: – უფროსო, მზად ვართ ჩართვისთვის.

ხრისტო: – ახლა ასე წყალზე სიარუ-

ლი დამაჯერებელია?

გოჩა: – აი, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ძალიან დამაჯერებელია...

უურნალისტი თანხმობის ნიშნად ცე-
რა თითს სწევს ზევით და ლესტანბერი
კი გემივით ორჯერ მძღვრად ამოიზ-
მუვლებს. კედელზე დაკიდებული მო-
ნიტორ-ტელევიზორი ირთვება და ჩანს
ორი ფანჯარა. ერთიდან ანგაშირებულ-
დაბოტოქსებული შუა ხნის ქალი ტე-
ლენამყვანი მოჩანს და მეორედან კი –
წყალზე მოსიარული ხრისტო.

ტელენამყვანი: – გამარჯობა ხრის-
ტოს.

ხრისტო: – ხრისტო, მე ხრისტო მქვია.

ტელენამყვანი: – თუმცა მაინც მე-
სია?

ხრისტო: – თქვენ ამბობთ.

ტელენამყვანი: – წყალზე დგახართ?

ხრისტო: – როგორც ხედავთ.

ტელენამყვანი: – პატივცემულო ტე-
ლემაყურებლებო, გთხოვთ, გაითვალის-
წინოთ, რომ ეს ექსკლუზიურად ჩვენი
ტელევიზიის ტელეეთერში ხდება და
ხრისტომაც პირველად სწორედ ჩვენს
ლაივში გაიარა წყალზე. ბატონი ხრის-
ტო, რას ნიშნავს თქვენი პარტიის სლო-
განი: „შენ სად იდგები მეორედ მოსვლი-
სას?“ და რა მესივი დევს პარტიის სა-
ხელწოდებაში: „ხრისტო არს თქვენთან,
ეროვნულ-განმათავისუფლებელ-სუ-
ლისსაცხონებელი მოძრაობა?“

ხრისტო: – ყველაფერი ძალზე მარ-
ტივია, რადგან ჭეშმარიტება სახელწო-
დებაშივე ნათქვამი. თუ თქვენ გსურთ
მეორედ მოსვლისას გადარჩენა და სუ-
ლის ცხონება, მაშინ სწორ მხარეს უნ-
და დადგეთ. და ეს სწირი მხარე კი, რა
თქმა უნდა, ის ნაპირია, რომელზეც მე
ვდგავარ.

ტელენამყვანი: – და რას იზამთ პირ-
ველს, თუ მოხვედით ხელისუფლებაში?

ხრისტო: – მივიღებთ ახალ კანონ-
პროექტებს და დავიწყებთ მზადებას
უკანასკნელი ჟამისთვის...

ტელენამყვანი: – აპა, გასაგებია. მო-
დით, გვიამბეთ, რამ გაიძულათ პოლი-
ტიკაში მოსულიყავით?

ხრისტო: – ესე იგი, ამას წინათ ახ-

ლად გამოსულ ფილმებს ვუყურე. ძირი-
თადად აი, ისეთი ფილმები იყო ან ბავ-
შვებისთვის და ან კი საოჯახო ჩვენე-
ბისთვის რომ არის განკუთვნილი. კარგი
ფილმებია, თუმცა, იცით, რა შევნიშნე,
რომ ყველა მათგანში ახალი რეალობა
ინერგება. რეალობა, სადაც წამლილია
სქესი და მისი ძირითადი მახასითებლე-
ბი...

ტელენამყვანი: – ბატონი ხრისტო,
თქვენ ჰომოფობი ხართ?

ხრისტო: – არა, გენაცვალე, მე კაც-
თმოყვარე გახლავართ. მე სულ სხვა
რამის თქმა მინდა. სამყაროში ინერგე-
ბა ახალი მოწყობის, მსოფლმხედველო-
ბის მოდელი და ეს მოდელი ძირეულად
განსხვავდება იმისგან, რომელშიც დღეს
ვცხოვრობთ და ვარსებობთ...

ხრისტო ანერვიულდება, ფეხს უჩ-
ქარებს და ბოლთასაც უფრო სწრაფად
სცემს.

ტელენამყვანი: – და რა ფილმებს
უყურეთ, თუ ეს საიდუმლო არა?

ხრისტო: – არა, რა, საიდუმლო. ბევრ
საიტზე დევს ეს ფილმები. სამწუხაროდ,
ახლა სახელები არ მახსოვს, თუმცა
გეტყვით, რამაც გამაკვირვა. ერთ ფილ-
მში ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი,
რომელიც მოხუცი ჯადოქარია და ამავ-
დროულად ძალზე პოპულალური კინო-
სახეც გახლავთ, ირკვევა, რომ თურმე
ახალგაზრდობაში იყო გეი...

ტელენამყვანი: – ბატონი ხრისტო
გთხოვთ, იყოთ მეტად კორექტული,
რადგან ჩვენ ვგმობთ ჰომოფობის ნე-
ბისმიერ გამოვლინებას და პირიქით,
გვერდზე ვუდგავართ ყველა ქვიარ ადა-
მიანს და მეტიც, ვეხმარებით მათ თვით-
გამორკვევასა და ჩამოყალიბებაში.

ხრისტო წყვეტს წყალზე სიარულს
და ტელევიზორის წინ ჩერდება. ცოტა
დაბნეული ჩანს და გვერდებზე იყურე-
ბა. მოკლეკაბიანი უურნალისტი ხელით
ანიშნებს, არ გაჩერდეთ და ისიც საუ-
ბარს აგრძელებს.

ხრისტო: – მე მხოლოდ ფაქტს აღ-
ვნიშნავ და არ შევდივარ ამ მოვლენის
განსჯაში. უბრალოდ აღმოჩნდა, რომ
საყვარელი მოხუცი, რომელიც წინა

ფილმებში თავდაუზოგავად იპრძოდა ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნებისთვის, ახალგაზრდობაში ყოფილა გეი. სხვა, მეორე, ფილმში კი მთავარ გმირს ჰყავს ორი დედა. დიახ, არ მოგესმათ, პატარა გოგონას ორი დედა ჰყავს, რომებიც ძალიან ენატრება. იმ თავის წარმოსახვით მონატრებებში კი ეს დედები ისე ევევეიან ერთმანეთს, როგორც ამას დედ-მამა შვრება ხოლმე.

ტელენამყვანი: – ბატონო ხრისტო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენს გადაცემასა და ტელევიზიას უყურებენ ბავშვებიც, ამიტომაც ჩვენს ეთერში იკრძალება სექსუალური და პორნოგრაფიული სახის მასალის ტირაჟირება და ან კი განცხადებების გაკეთება.

ხრისტო: – მე... მე... მე მსგავსი არა-ფერი მითქვამს და ან კი მიგულისხმია. უბრალოდ აღვნიშნე, რომ ქალები ისე ეხუტებოდნენ ერთმანეთს, როგორც ამას ძირითადად კაცი და ქალი შვრებიან ხოლმე. სრულიად უწყინარსა და ერთობ რომანტიკულ გარემოში...

ტელენამყვანი: – ესე იგი, თქვენ არ ხართ ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგი?

ხრისტო კიდევ უფრო მეტად იბნევა. უმწეოდ აცეცებს თვალებს და შველას ითხოვს. ლესტანბერი არაადამიანურ ხმაზე იწყებს ზმუილს, წამით ყველას ყურადღებას იქცევს და უხერხული მომენტიც დაძლეულია.

ხრისტო: – აი, მესამე ფილმში კი ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი ფერია მუქაჩნიანი მამაკაცი გახლავთ. უფრო სწორედ ტრანსგენდერი შავი მამაკაცი, რომელსაც თავისი ეს გარდასახვა ჯერ არ დაუსრულებია. ანუ ბოლომდე არც კაცია და არც ქალი და მთავარი ამ ამბებში ისაა, რომ ესენი გახლავთ საოჯახო ფილმების კატეგორია, რომელსაც ძირითადად უნდა უყურონ მოზარდებმა, ანუ მათთვის ეს ახალი მოცემულობა უნდა გახდეს ნორმა. მე უბრალოდ არ მესმის, რა აიძულებს ამ ფილმების შემქმნელებს, მიიღონ ასეთი გადაწყვე-

ტილებები და ამგვარ ფილმებშიც კი წინ წამოსწინონ ეს თემატიკა და თან მაშინ, როცა კარს მეორედ მოსვლაა მომდგარი...

ტელენამყვანი: – ბატონო ხრისტო, იძულებული ვარ, ჩვენი ეთერი შევწყვიტო, რადგან ყველაფერთან ერთად თქვენ რასისტიც ყოფილხართ. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ტელევიზია გმობს ყოველგვარ დისკრიმინაციას და განსაკუთრებით კი ადამიანების კანის ფერის მიხედვით დაყოფას. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საარჩევნო მარათონში და სულ კარგად ბრძანდებოდეთ.

ტრანსლაცია წყდება და მონიტორ-ტელევიზორში მთავარი კონკურენტი პარტიის რეკლამა იწყება. ჩანს რაღაც მუსიკალურ ფესტივალზე შეკრებილი ხალხი, რომელთაც ძალზე უჩვეულოდ აცვიათ და უჩვეულოდვე იქცევიან. ისმის სლოვანი: „ერთხელ ცხოვრობ და ნუ მოიკლებ სიამოვნებას; დაძლიერ შენი არქაული კომპლექსები თუ შიშები; გამოგვყევი ჩვენ და ჩვენ განახებთ, სადაცაა მიწიერი სამოთხე“. შემდეგ ჩნდება ციფრი 69 და პარტიის სახელწოდება: „მეტი სიამოვნება ერთ სიცოცხლეში“. სასონარკეთილი ხრისტო მუხლებზე ეშვება და სახეზე ხელებს იფარებს.

ხვიჩა: – ვერ გამოვიდა კარგი ეთერი, უფროსო.

გორა: – აი, ძალიან დაეცა ჩვენი რეიტინგები...

ხვიჩა: – ჩვენი პარტიის დამფინანსებელს ძალიან არ მოეწონება ეს ამბავი.

გორა: – სასწავლო რამე ახალი უნდა მოვიფიქროთ, თორემ ასე არჩევნების მოგება ძალიან გაგვიჭირდება.

ურნალისტი: – რამე ახალი სასწაული გჭირდებათ.

ლესტანბერი: – მუაააა... ზმუუუ... ასაააა...

ხრისტო: – კარგი რა, მამა, რა დროს წყლის ღვინოდ გადაქცევაა. თან ხომ ნახე, რომ ამ წყალზე სიარულმაც დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ალბათ, რამე უფრო მასშტაბური და შოკისმომგვრელი უნდა მოვიფიქროთ.

ჟურნალისტი: – და მკვდარი რომ გა-
აცოცხლოთ?

ხვიჩა: – აუ, ჰო, ეგ მართლა ძაან მა-
გარი იქნება.

გოჩა: – აგერ დაცვა ზაქროს მოუკ-
ვდა სიდედრი და არა მგონია, წინააღ-
მდეგი იყოს, რომ გავუცოცხლოთ. ეს
ქალი სამი დღის მკვდარია და ახლა რომ
გააცოცხლოთ, სრული შოკი იქნება.

ირთვება მონიტორ-ტელევიზორი და
ჩანს დაცვა ზაქრო, რომელიც შეშინე-
ბული სახით უყურებს ხრისტოს.

დაცვა ზაქრო: – ყური მოვკარი თქვენს
საუბარს და პირდაპირ გეტყვით, რომ
ჩემი სიდედრის გაცოცხლების კატეგო-
რიულად წინააღმდეგი ვარ.

ხვიჩა: – გადავიხდით, ჩემო ბატონო.
ფულს მოგცემთ...

გოჩა: – დაგანინაურებთ, ჩემო ბატო-
ნო. დაცვის უფროსი ზაქრო იქნები...

დაცვა ზაქრო ყურზე ხელს იდებს და
ყურსასმენში რაღაცას აყურადებს. სა-
ხის გამომეტყველება ეცვლება და თვა-
ლები უფართოვდება.

დაცვა ზაქრო: – სულიკო მოვიდა...

სცენა მეხუთე:

ოთახში შემოდის საშუალო სიმაღ-
ლის, ძვალმსხვილი, სამოც წელს მო-
ტანებული ჭალარაშერეული მამაკაცი.
სპორტული მოსაცმელი და შარვალი
აცვია. მუქი ფერის დიდი სათვალე და
ოქროს ძენკვი უკეთია. ოთახში მყოფ-
ნი მაგიდებთან სხედან და დაზაფრული
სახეებით შესცეკრიან. ხრისტო წყალზე
დგას და ულიმის.

სულიკო: – სალამი ბიჭებს, ტუფლე-
ბი გვიჭერს. აბა, რას შვრებით, როგორ
ხართ ჯიგრებო, როგორ მიდის საქმეე-
ბი?

ხვიჩა: – გამარჯობა ბატონო სული-
კო... ყველაფერი კარგადაა და დასახუ-
ლი მიზნისკენაც მეთოდურად, ნაბიჯ-
ნაბიჯ მივიწევთ წინ. თქვენ თავად რო-
გორ გიკითხოთ? ხომ ხართ მხნედ?

გოჩა: – ყველაფერი ფანტასტიკურა-
დაა ბატონო სულიკო... არჩევნები ფაქ-

ტობრივად მოგებული გვაქვს და გა-
მარჯვებაც უკვე პრაქტიკულად ჯიბეში
გვიდებს. აი, აქეთ მობრძანდით, დაპ-
რძანდით, მოისვენეთ...

ყმანვილებს ნერვიულობისგან ხმა
უკანკალებთ და დაბნეულები აწყდე-
ბიან ტახტსა თუ სავარძლებს. ლესტან-
ბერი სამხედრო სვლით უახლოვდება
სტუმარს, ხელს ართმევს, რამდენიმე
ფრაზას ზმუს და იჯგიმება.

სულიკო: – და მე რომ პირიქით გავი-
გე, თითქოს ჩვენი რეიტინგები დაეცაო?
ნუთუ სცდებოდნენ ამბის მომტანნი?
აბა, შენ რას იტყვი, ჩემო ხრისტოვ?
ყველაფერი ძალზე კარგადაა თუ ისე
რა, ნელ-თბილად?

ხრისტო: – გამარჯობა სულიკო. მგო-
ნი, ტყუილად შეწუხდით. არა, ნუ, ჩვენ
მართლაც ძალიან გაგვეხარდა თქვენი
ნახვა... მე უბრალოდ იმის თქმა მინდო-
და, რომ, თუ თქვენ იმიტომ მობრძან-
დით, რათა აქ რაღაც ისე არა, რო-
გორც უნდა იყოს, სულ ტყუილად შე-
წუხდით, რადგან...

ჟურნალისტი: – სალამი. ბევრი მსმე-
ნია თქვენზე. რატომლაც მეგონა, რომ
არ არსებობდით და გამოგონილი პი-
როვნება იყავით. ნუ რაღაც ჯგუფი რომ
იდგა ამ ხალხის, პარტიის უკან, ამაში
დარწმუნებული ვიყავი, თუმცა ეს თუ
მართლა ერთი ადამიანი იყო, ვერაფრით
წარმოვიდგენდი. ესე იგი, მართალი ყო-
ფილა, როცა ამბობდნენ, ხრისტოს უკან
სულიკო დგასო და სულიკო აფინანსებს
მის საარჩევნო კამპანიას.

სულიკო სათვალეს შუბლზე იწევს,
ჟურნალისტს გულდასმით ათვალიე-
რებს და მზერას მის შიშველ მუხლებზე
აჩერებს.

სულიკო: – და შენ ვისი ხარ, პატა-
რა? ან აქ საიდან მოხვდი?

ჟურნალისტი: – მე ჟურნალ „დასა-
ლიერიდან“ ვარ და აქ ხრისტოსთან
ბლიცის ჩასაწერად მოვედი, მერე კი შე-
მოვრჩი და პიარმენეჯერობაც შემომთა-
ვაზეს.

ჟურნალისტი ღელავს და სავარძელ-
ში წრიალებს. მღელვარება სხვებსაც
ემჩნევათ. მხოლოდ ხრისტოა მშვიდი და

მომლიმარე.

სულიკო: – აპა, ესე იგი, „დასალიერიდან“? უურნალისტი? და ახლა კი ჩემი პარტიის ახალი პიარმენეჯერი? მშვენიერი ამბავია პირდაპირ... ძალიანაც კარგი გიქნია, რომ იმ შენი „დასალიერიდან“ წამოსულხარ. გპირდები, თუ გამომყვები, იმის იქითაც კი წაგიყვანა...

უურნალისტი: – იცით, ეთერის ჩავარდნა ხრისტოს ბრალი სულაც არ იყო. შეუთანხმებელი კითხვები დაისვა. აი, ისეთი, ნებისმიერ რესპონდენტს რომ დააბრევს და ნოკაუტში გაუშვებს.

ყმაწვილები უურნალისტს ხელით ანიშნებენ გაჩუმდი და მარცხის ამბავს ნულარ იხსენებო, თავად კი სულიკოს წინ ტინგიცსა და ჯამბაზობას იწყებენ.

ხვიჩა: – ისე, რამეს ხომ არ ინებებთ, ბატონო სულიკო? ყავა? ჩაი? წყალი?

გოჩა: – ან იქნება, რამე ალკოჰოლური გესიამოვნოთ? რამე კოქტეილს მოგიმზადებთ. სექსი პლაზმე ხომ არ გნებავთ?

სულიკო: – ნუ შეწუხდებით, მე მხოლოდ სისხლი მნებავს...

სულიკო ქშინავს და თვალებს ბოროტად აკვესებს. ლესტანბერი დაჭრილი ნადირივით ზმუს და მუშტებს მკერდში იცემს. ხრისტო აუზიდან გადმოდის და სავარძელში ჯდება. სტუმარს ტახტზე მიანიშნებს და ისიც მის მოპირდაპირედ ჯდება.

ხრისტო: – და ეს აუცილებელია?

სულიკო: – გარდაუკალია.

ხრისტო: – რეიტინგებს აგვინევს?

სულიკო: – წარმოუდგენლად.

ხრისტო: – რა უნდა ვქნათ?

სულიკო: – ამათმა არაფერი. მხოლოდ შენ.

ხრისტო: – თუ მხოლოდ ჩემი სისხლია საკმარისი, დიდი სიამოვნებით დავლერი მას ჩვენი საერთო საქმისთვის. ბრძანეთ, რა უნდა ვქნა?

სულიკო: – ჯვარს უნდა ეცვა.

ხრისტო: – ჯვარს? ვეცვა? ბერვი სისხლი ყოფილა საჭირო.

სულიკო: – კი, ძალიან ბევრი.

ხრისტო: – მერე ეს უსაფრთხოა? მე

ვიფიქრე, მორიგი გვემა უნდა ამეტანა. აი, როგორც მაშინ, სოფლად, შეხვედრაზე მონინააღმდეგის მიერ მოსყიდული ამომრჩეველი რომ დაგვიპირისპირდა, თავს დაგვესხა და გვცემა.

სულიკო: – არა, ეს სულ სხვაა.

ხრისტო: – ვხვდები... ალბათ, ძალიან მტკიცნეულიც იქნება. კარგით და მერე რა უნდა ვქნა, ჯვარს რომ მაცვამენ?

სულიკო: – ისეთი არაფერი... უბრალოდ უნდა მოკვდე.

ხრისტო: – მოკვდე? მართლა უნდა მოკვდე?

სულიკო: – დიახ, მართლა უნდა მოკვდე...

ხრისტო დგება და ოთახში ბოლთას სცემს. ახლა უკვე ისიც ღელავს. მძიმედ სუნთქავს და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებს.

ხრისტო: – იცით, მგონი, არ ვარ მზად ამ ამბისთვის.

სულიკო: – ამ ამბისთვის მზად არავინა...

უურნალისტი: – უკაცრავად და ეს დეუავიუს განცდა მხოლოდ მე მაქვს? ეს ამბავი ერთხელ უკვე ხომ მოხდა? ეს ჯვარცმა ადრეც ხომ იყო?

ყველანი სდუმან. ოთახში დაძაბულობა პიკს აღწევს. ხვიჩა და გოჩა ცრემლებს ველარ იკავებენ. ლესტანბერი ჩახლეჩილი ხმით მგელივით ყმუის. სულიკო კმაყოფილი სახით ათვალიერებს დამსწრეთ.

ხრისტო: – და რომ მოკვდები, მერე ალვადგები?

სულიკო: – არა, ამჯერად აღარავინ ალდგება.

უურნალისტი: – ისა, უკაცრავად და რა საჭიროა ახლა ეს ყველაფერი? ხალხო, ეს ამბავი ერთხელ უკვე ხომ მართლა იყო?

სულიკო: – კი იყო. ახლა კი ახალი ჯვარცმა უნდა მოხდეს და ახალი ამბავი უნდა დაიწყოს. ამბავი, რომელშიც აღარ იქნება აღდგომა, ამაღლება, ფერისცვალება და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი. ჩვენს ახალ აღთქმაში ყველაფერი ძირეულად შეიცვლება. ის, პირველი ჯვარ-

ცმის ამბავი ძალიან მოძველდა. ძალიან მოუქნელი და გადაულახავი ზღუდე გახდა, თავისი ამ გაუთავებელი დოგ-მებითა და აკრძალვებით. ის უბრალოდ ველარ მისდევს სამყაროს ფეხში. ყელში გაჩერილი ფხასავითაა, რომელიც არც წინ მიდის და ალარც უკან. ასე სუნ-თქა შეუძლებელია... ასე ყველანი გავი-გუდებით... პოდა, ამიტომაც საჭიროა ახალი ამბავი, თავისი ახალივე შინაარ-სით, გააზრებითა და მსოფლმხედველო-ბით. ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ეპოქა და ამისთვის საჭიროა ახალი ჯვარცმა. ახალმა ამბავმაც უნდა გადაფაროს ძევ-ლი... ახალმა ღმერთებმაც უნდა ჩაანაც-ვლონ წინარენი... წარსული დავიწყებას უნდა მიეცეს... მოკლედ, იქნება მეორედ მოსვლა, რომელსაც ყველა ელოდა, ოლონდ ცოტა სხვანარი და არა ისეთი, როგორიც წარმოედგინათ. ეს იქნება ჩვენი მეორედ მოსვლა. ჩვენ შევქმნით ახალ ღმერთს, რელიგიას... შენ კი, ჩემო ხრისტო, სწორედ ამისთვის გამზადებ-დით მთელი ცხოვრება და შენი მისიაც ესაა. ახლა შენი დროა და ახლა სწორედ შენ უნდა დაწერო ჩვენი მომავლის ის-ტორია...

ხრისტო: – და მე თუ ჯვარს ვეცვი და მოვკედი, არჩევნებს როგორ მოვიგებთ? და რა აზრი ექნება ამ ყველაფერს, თუ მერე მე აღარ ვიქნები და ხელისუფლე-ბაშიც ვეღარ მოვედით? ასე ხომ ბრძო-ლას წავაგებთ და ყველაფერიც იმათ დარჩებათ?

სულიკო ოხრავს და თავს აქნევს. ჯერ ახალგაზრდებს უყურებს, შემდეგ ლესტანბერს და ბოლოს მზერას ისევ უურნალისტის შიშველ მუხლებზე აჩე-რებს.

სულიკო: – ვის იმათ?

ხრისტო: – კონკურენტებს...

სულიკო: – არ არიან არანაირი კონ-კურენტები... იმათაც მე ვაფინანსებ. ისინიც „ჩვენ“ არიან... და ეს არის ერ-თი დიდი თამაში, ფიქცია... მეგონა, ამას თავადაც მიხვდებიდი, თუმცა... ეჰ, კაი ახლა, რაღა აზრი აქვს ამას... აბა, წამო-იშალეთ ყველანი და ანი მივხედოთ საქ-მეს. თქვენ, ბიჭებო, ჯვარცმა მოამზა-

დეთ, შენ, ქალბატონო პიარმენეჯერო, ეს ყველაფერი კარგად გააშუქე და შენ კი, ჩემო მეგობარო ლესტანბერ, ილა-პარაკე...

ლესტანბერი: – ბატონო სულიკო, შე-იძლება, სახლში წავიდე? ძალიან დავი-ლალე.

სულიკო: – კი, წადი. კაი კაცი ხარ, შენ, ლესტანბერ. ერთგული...

ყველანი გადიან ოთახიდან. ბნელდე-ბა. განათებული რჩება მხოლოდ ხრის-ტო, რომელიც სავარძელში გაოგნებუ-ლი სახით ზის და ხმამალლა ფიქრობს. ხმა უკანკალებს და ენა ებმის: – „არ ვარ მზად ამ ამბისთვის...“

სცენა მეექვსე:

ირთვება მონიტორ-ტელევიზორი და ჩანს თავნაკრული ქალი, რომელიც ხრისტოს ვირტუალურად ეფერება, გულში იკრავს და ხელებს უკოცნის.

ხრისტო: – მოხვედი დედა?!

დედა: – კი, მოვედი შვილო.

ხრისტო: – რად დაიგვიანე, დედა? იცი, როგორი რთული დღე მქონდა? სრული საგიშეთი...

დედა: – დღეს მიცვალებულების ხსე-ნების დღეა და ეკლესიაში ვიყავი. სა-კურთხი მივიტანე და პანაშვიდს დავეს-ნარი. მერე ნათლობა იყო და იმაზე დავ-რჩი. მედავითნეს არ ეცალა და მამაომ შენ დამეხმარეო. როდის ეგ დამთავრდა და მერე როდის მე მივალაგე იქაურობა. მაგიტომაც დამაგვიანდა შვილო.

ხრისტო: – დედა, იცი, მამამ დაილა-პარაკა.

დედა: – დღეს?

ხრისტო: – კი, დღეს.

დედა: – ესე იგი, მაინც დაიწყო მეო-რედ მოსვლა...

ხრისტო: – შენ რა, იცოდი, მამა რომ ამდენი წლის შემდეგ დაილაპარაკებდა?

დედა სდუმს, ხმას არ იღებს და ჩუ-მად იცრემლება.

ხრისტო: – დედა, მგონი, შენ და მამა რაღაცას მიმალავთ. იცი, მამამ რა თქვა პირველი? თუ შეიძლება, სახლში წავა-ლო? გესმის? ნებართვა ითხოვა, რომ

სახლში წასულიყო. ამდენი ხნის ზმუ-ილს შემდეგ სწორედ ეს თქვა და თან ვისგან ითხოვა ნებართვა, არ გაინტერე-სებს? სულიკოსგან. ჰო, ჩვენი პარტიის დამფინანსებლისგან ითხოვა ნებართვა სახლში წასულაზე. წარმოუდგენელი ამ-ბავია....

დედა: – ლესტენბერი არაა მამაშენი.

ხრისტო: – აუ, დედა, გთხოვ, ახლა არ დაინტო შენებურად. უკვე, მგონი, მეც აღარ მჯერა მაგ ამბების. არანაირი განსაკუთრებული ადამიანი მე არ ვარ და, აღბათ, არც სასწაულებრივად ჩასა-ხული ვიქენები. უბრალოდ...

დედა: – შენ სულიკოს შვილი ხარ.

ხრისტო: ელდანანაცემივით გვერდით ხტება და მონიტორს ეჭვით შესცერის. სახეზე სრული დაბნეულობა და უნდობ-ლობა ესახება.

ხრისტო: – აღბათ, ხუმრობ?

დედა: – არა, არ ვხემრობ. ეგ სულიკო ჩვენი მეზობელი იყო. მაშინ ავლაბარში ვცხოვრობდით. ლესტენბერი სულ მუშა-ობდა და სულ სადლაც იყო მივლინებით წასული. რა ვიცი, იძახდა, სამსახური მაქვს ასეთიო. თვეობითაც კი იკარგებო-და ხოლმე. არასდროს ვიცოდი, როდის დაბრუნდებოდა და ან კი თუ საერთოდ დაბრუნდებოდა. ჩვენ გარიგებით ვი-ქორნინეთ, ასე რომ დიდი სიყვარულის ამბავი არასდროს გვექონია. ის სულ მუ-დამ თავისითვის იყო და მე კი ჩემთვის. რა გითხრა, შეიძლება, იმის ბრალიც იყო, ასე არეულები რომ ვიყავით, შვილი არ გვიჩნდებოდა... მერე ნელ-ნელა უმა-ტა ლესტანბერმა უცნაურობებს. აღარც ჩემთან უნდოდა ყოფნა და თან ვეღარც მელეოდა. არადა, ფაქტობრივად მარტო ვიყავი. ბოლოს ისე მოხდა, რომ ამ სუ-ლიკომ ტვინი ამირია და შემაცდინა. მე-რე ერთ დღესაც შევიტყე, რომ ფეხმძი-მედ ვიყავი. არ დაგიმალავ და თავიდან მუცლის მოშლა მინდოდა, რადგან ვიცო-დი, ჩემი ქმარი გაგიუდებოდა. მას შვილი ვერ ეყოლებოდა და ეს ამბავი ორივემ კარგად ვიცოდით. უკვე ექიმთანაც ვი-ყავი ჩანწერილი აბორტზე, როდესაც სუ-ლიკო კიდევ ერთხელ გამომეცხადა და ვიცი, ფეხმძიმედ ხარო. არადა, ეგ ამ-

ბავი, ჩემ გარდა, არავინ იცოდა. ჰოდა, ეგ ბავშვი აუცილებლად უნდა გააჩინოო. ეგ განსაკუთრებული ადამიანი იქნებაო და მოჰყვა ათას ამბავს. მეც დავიჯერე ყველაფერი და გადავწყვიტე, გამეჩინა. ლესტანბერზე კი არ იდარდო, მე მივხე-დავ მაგასო. ეგც დავიჯერე მე სულელ-მა და კვირის თავზე ყველაფერიც ვუ-ამბე, ოღონდ ის აღარ მითქვამს, ვისგან ვიყავი ფეხმძიმედ. შევალამაზე რაღაცე-ბი... იმან კიდევ მცემა და სახლიდან გა-იქცა. მერე რა იყო, ეგ აღარ ვიცი, ლეს-ტანბერი დამუნჯდა და იმ დღის მერე ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი მომხდა-რა და შვილსაც მისგან ველოდი. რაღა უნდა მექნა? მივყევი ცხოვრებას და ეს ჩემი დაუჯერებელი ამბავიც სულ უფ-რო დამაჯერებელი გახდა. ბოლოს იმდე-ნად ვირნმუნე შენი განსაკუთრებულობა, რომ შენც კი დაგაჯერე ყოველივე...

ხრისტო: უარყოფის ნიშნად თავს აქ-ნევს და თითქოს ცდილობს, მოსმენი-ლი ამბავი არ დაიჯეროს. პულტს იღებს და მონიტორ-ტელევიზორის გათიშვას ცდილობს. ვერ რთავს. დედა კი არ ჩერ-დება და სულ უფრო მეტ ნავთს ასხამს ცეცხლზე.

დედა: – ხრისტო, მოკლედ, შენ არა ხარ ლესტანბერის შვილი და შენი ბიო-ლოგიური მამა არის სულიკო.

ხრისტო: – დედა, გაჩუმდი... ეს უკ-ვე სრული სიგიურე... იცი, მაგ სულიკომ ჯვარზე გაკვრა მთხოვა. გესმის? ჯვარს უნდა ეცვა და უნდა მოკვდეო. დედა, მე დარწმუნებული ვარ, შენ სცდები. ეგ კაცი ვერანაირად ვერ იქნება მამაჩემი. აბა, როგორ შეიძლება, რომ მამამ შვი-ლი სასიკვდილოდ გაიმეტოს? ძალიან გთხოვ, დედა, აღარაფერი თქვა...

დედა: – მართლა აღარ მეგონა, რომ ეს დღე დადგებოდა. ვაი, ჩემს თავს უბედურს...

ხრისტო: – მოიცადე, შენ რა ისიც იცოდი, რომ ეს დღე დადგებოდა?

დედა: – ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ განსაკუთებული იყავი.

ხრისტო: – დედა, შენ რა, ისიც კი იცოდი, რომ ჯვარზე გამაკრავდნენ?

დედა: – მე ყოველთვის ვიცოდი,

რომ მეორედ მოსვლისას შენ გვიხსნი-
დი უკანასკნელი უამისგან...

ხრისტო: – დედა, მართლა ვეღარა-
ფერს ვხვდები. თუ მე სულიკოს შვილი
ვარ, აბა, განსაკუთრებული როგორდა
ვარ? და თუ ლესტანბერმა იცოდა, რომ
მისი შვილი არ ვიყავი, თავის ძედ რად
მზრზდიდა? და თუ შენც იცოდი, რომ
ჯვარს უნდა გავეკარი, აქამდე რად
სდუმდი? და საერთოდ, საიდან მოიტა-
ნე ეს ყველაფერი? ვინ გითხრა? ეს რამ
მოგაფიქრა?

დედა: – სულიკომ... ყველაფერი სუ-
ლიკომ მითხრა და თან სწორედ იმ
დღეს, როდესაც მუცლის მოშლა გადა-
მაფიქრებინა. მან ეს ყველაფერი სულ
თავიდანვე იცოდა. არაა ეგ უბრალო
კაცი... ნამდვილი გრძნეულია...

ხრისტო: – მაშ, აბა, ტყუილი ყო-
ფილა ჩემი განსაკუთრებულობა, მეო-
რედ მოსვლა და უკანასკნელი უამისგან
სხნა? ეს, ეს რა... მართლა ტყუილია
ყველაფერი? და მეც რა, მთელი ცხოვ-
რება ტყუილში მაცხოვრეთ? არა, ეს
ნარმოუდენელი სისასტიკეა... და ახ-
ლა რა გამოდის, რომ მე... მე რა, სულ
ტყუილად უნდა გავწირო თავი? და სუ-
ლიკოს სურვილებსა და გეგმებს უნდა
შევენირო? იცი, თქვენ, მგონი, მართლა
ყველანი გადაირიეთ? ეს ხომ სრული
სიგიშე და ფანატიზმია...

დედა: – მოდი, შვილო, ჩამეხუტე,
უნდა გიმღერო.

ქალი შვილს ვირტუალურად ეხუტე-
ბა და თავზე ხელს უსვამს. ჩივილივით
არნევს და დავით გურამიშვილის ლექ-
სის „ვაი, რა კარგი საჩინოს“ გალობას
იწყებს.

სცენა მეშვიდე:

ოთახში არავინაა. მონიტორ-ტელე-
ვიზორი თავისით ირთვება და იწყება
საინფორმაციო გამოშვება. ჩანს აუიტი-
რებულ-დაბოტოქსებული ტელენამყვა-
ნი, რომელიც დაძაბული სახით პირველ
სიახლედ ხრისტოს ჯვარცმის ამპავს ამ-

ცნობს ტელემაყურებელს.

ტელენამყვანი: – მოგესალმებით,
ძვირფასო ტელემაყურებლებო და გთა-
ვაზობთ ამ დროისთვის ჩვენს ხელთ
არსებულ უახლეს ინფორმაციას. დღეს
ჯავრს ეცვა პოლიტიკური პარტია
„ხრისტო არს თქვენთან, ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელ-სულისსაცხონებელი
მოძრაობა-ს“ ლიდერი ბატონი ხრისტო.
ამჟამად ზუსტად უცნობია, რა მიზ-
ნით ჩაიდონა მან ეს საქციელი, თუმცა
გამოძიება უკვე დაწყებულია თვით-
მკვლელობამდე მიყვანის მუხლით. სი-
ტუაციაში გარკვევას შეეცდება ჩვენი
უურნალისტი მარი მაგდალინეიშვილი,
რომელიც ახლა ადგილზე იმყოფება და
პირდაპირ ეთერში ჩაგვერთვება.

ჩანს მოკლეკაბიანი უურნალისტი,
რომელიც ჯვარცმულის წინ დგას და
ცდილობს, ვინმე ჩანეროს. კადრში ჩანს
მხოლოდ ჯვრის ფრაგმენტი და გარ-
დაცვლილი ხრისტოს ტერფები. ტერი-
ტორია ჯებირებით არის შემოკავებული
და მორიგე პოლიციელებიც ჯვარცმას-
თან, ახლობლების გარდა, არავის უშვე-
ბენ. შეკრებილი ხალხი გმინავს და ხმა-
ურობს. ისმის რეპლიკა: – „ეგ იყო ცრუ
მესია, ახია მაგაზე, მეტის ღირსია...“
ხალხი იტაცეს ამ სიტყვებს და სკანდი-
რებს ფრაზას: – „ძირს ცრუ მესია! არა
ცრუ მეორედ მოსვლასა და უკანაკნელ
უამს! თავი დაანებეთ ჩვენს მრნამსა და
რელიგიას!“ უურნალისტი ცდილობს,
ხრისტოს დედა ჩანეროს, თუმცა ქალს
გული უნუხდება და იქვე ეცემა. ლეს-
ტანბერი მეუღლის მოსულიერებას
ცდილობს. ნადირივით ბლავის და უხამ-
სი სიტყვებით იგინება. ხვიჩა და გოჩა
ცოტა მოშორებით დგანან და ტირიან.
უურნალისტი მათან მირბის და მიქ-
როფონს პირში სჩრის.

უურნალისტი: – შეგიძლიათ, დაგ-
ვიკონკტეროთ, რამ აიძულა ხრისტო
ჯვარცმულიყო?

ხვიჩა: – რა თქმა უნდა, მეორედ მოს-
ვლამ. ის ჯვარს ეცვა, რათა არ დამ-
დგარიყო უკანასკნელი უამი და მეორედ
მოსვლასაც უმტკივნეულოდ ჩაევლო.

უურნალისტი: – ეს საქციელი, ალბათ,

თქვენი პარტიის რეიტინგებს ძალიან გაზრდის. დიდი ალბათობით არჩევნები უკვე მოგებულიც გაქვთ. ვინ შეცვლის ახლა თქვენს ლიდერს და ვინ ჩაიბარებს სახელმწიფოს მართვის სადავეს?

გორბა: – ამაზე უკვე მიღის შიდაპარტიული კონსულტაციები, თუმცა წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ ერთი ლიდერი აღარ გვეყოლება და, სავარაუდოდ, მე და ხვიჩა გადავიბარებთ პოლიტიკურ ძალაუფლებას.

ჟურნალისტი: – და ახლა რა იქნება? ცხოვრება როგორ გაგრძელდება ხრისტოს, მეორედ მოსვლისა და უკანასკნელი ჟამის გარეშე?

ხვიჩა: – ამაზეც ზუსტ პასუხს სულ რამდენიმე დღეში გაგცემთ. უკვე მზადდება წიგნი სახელად „მეორედ მოსვლის სახარება“, რომლის ავტორებიც მე და გორბა გახლავართ, როგორც ხრისტოსთან დაახლოებული პირები და თანაპარტიელები. სწორედ ამ წიგნში იქნება ყველაფერი დეტალურად აღწერილი და განერილი. დაწყებული ხრისტოს მოწამებრივი ცხოვრებით და დამთავრებული ცალსახა დირექტივებით, ანი როგორ უნდა ვიცხოვროთ; რისი უნდა გვჯეროდეს და რისი არა; რისი კეთება შეიძლება და რა იკრძალება. მოკლედ, ცოტაც მოითმინეთ და თავად გახდებით სამყაროს ახალი მოდელით მოწყობისა და ახალივე მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მომსწრე.

გორბა: – ერთსაც დავამატებ, რომ ჩვენს გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, ჩვენი პარტიის დამაარსებელმა და დამფინანსებელმა, ბატონმა სულიკომ, რისთვისაც უღრმეს მაღლობას

ვუხდით მას და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ამ დროს აგზნებული ბრბო ჯებირებს არღვევს და ქვების სროლითა და ხელკეტების ქნევით მირბის ჯვარცმულისკენ. ქვები ხვდებათ ხვიჩასა და გორბასაც. ისინიც თავქუდმოგლეჯილი გარბიან. გარბის მოკლეკაბიანი უურნალისტიც, რომელსაც კვალში მისდევს ოპერატორი ჩართული კამერით. კამერა დაბლა ვარდება. ისმის ოპერატორის გმინგა. ამოტრიალებულ ობიექტივში ჩანან ხვიჩა, გორბა და ჟურნალისტი, როგორ სხდებიან მათ ნინგარებულ უშველებელ შავ ლიმუზინში. მანქანის უკანა შუბა იწევა და ჩანს სულიკოს გაბლენძილი სახე. ავტომობილი ნელი სვლით იძვრის და ისმის სულიკოს ხმა: – „ყოჩალ, ჩემო გოგოებოდა ბიჭებო, ოპერაცია კოდური სახელწოდებით „მეორედ მოსვლისას“ წარმატებით დასრულდა. უდანაშაულოს სისხლიც დაიღვარა და ახლა გადავდივართ მომდევნო ეტაპზე. ახლა უკვე ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ ეს ცრუკი არა, ნამდვილი მეორედ მოსვლა იყო და საბრალო ხრისტოც ჩვენთვის ენამა...“ ისმის შემზარავი ხარხარი და მაუწყებლობაც წყდება. ეკრანზე გამოდის სარეკლამო ბანერი, რომელზეც გამოსახულია ჯვარცმული ხრისტო და ქვემოთ კი დიდი ასოებით წერია: „შენ სად იდექი მეორედ მოსვლისას?“ ასევე გამოსახულია რიცხვი 33 და პარტიის სახელწოდება: „ხრისტო იყო თქვენთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელ-სულისსაცხონებელი მოძრაობა.“

დასასრული.



კენ ლოუ

კენ ლოუ (დაბ. 1976) – ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი. ფართოდ არის ცნობილი, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკისა და ფენტეზის უანრში შექმნილი ნოველებისა და რომანების ავტორი. ჰუგოს, ლოკუსის, ნებულას და მსოფლიო ფენტეზის ცნობილი ლიტერატურული ჯილდოებისა თუ პრემიების მფლობელი.

ქალაქის სამხედე

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მოგონება ჩემი გულამოსკვნილი ტირილით იწყება. მშობლები ყველანაორად ცდილობენ დამამშვიდონ, მაგრამ ამაოდ მამაჩემი თავს მანებებს და საწოლი ოთახიდან გადის, დედას კი სამზარეულოში გავყავარ და მაგიდასთან მსვამს.

„ქან, ქან, აბა, შეხედე, შეხედე“ – მეუბნება დედა და მაცივრის თავიდან გასახვევი ქაღალდის ფურცლებს იღებს. უკვე წლებია, დედა ფრთხილად აცლის შესაფუთ ქაღალდს საშობაო საჩუქრებს და მაცივრის თავზე ინახავს, სადაც უკვე ასეთი ქაღალდების საკმაოდ სქელი შეკვრა დაგროვდა. დედა ფურცლებს მაგიდაზე შლის წალმა მხრით ზევით და მის კეცვას იწყებს. მე უცხად ვჩუმდები და გაკვირვებით მივშერებივარ. დედა ფურცელს ატრიალებს და ისევ კეცავს და იქმდე, ახვევს, კრავს, ანაოჭებს, აგორავებს, სანამ ქაღალდი

მის მუქში მთლიანად არ იმაღება. შემდეგ დახვეული ქაღალდის მასა პირთან მიაქვს და ბუმტივით ბერავს.

„ქან, ეს ლაოხუა, შეხედე, ვეფხვი“, – ამბობს დედა, ხელს მაგიდაზე დებს და ვეფხვს ხელიდან უშვებს. მაგიდაზე ქაღალდის პანაწინა ვეფხვი დგას, ერთად შეკრული ორი მუშტის ხელა. ვეფხვის კანი გასახვევი ქაღალდის ნახატებია, თეთრ ფონზე წითელი კარამელის ხელჯოხის ფორმის ჩხირები და მწვანე საშობაო ხეები. ხელს დედაჩემის ქმნილებისკენ ვინვდენ, რომელიც მხიარული კუდის ქიცინით თითზე მახტება. „რარორორ“, – ილრინება ის ისეთი ხმით, კატის კნავილსაც რომ გავს და ქაღალდის შრიალსაც რომ გვაგონებს. მე ვიცინი, ცოტა არ იყოს შეშინებული და საჩვენებელი თითით ზურგზე ვეფხრები. ქაღალდის ვეფხვი ჩემი თითის შეხებაზე იგრიხება და კრუტუნებს.

„ჭე ძიაო ჭეჭი. ამას ორიგამი ჰქვია“,

— მიხსნის დედა.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ დედაჩემს განსაკუთრებულად ეხერხებოდა სულის ჩაბერვა. ის სულს უბერავდა თავის ქალალდის ცხოველებს და მათაც, ამ სულს ნაზიარებულებს, დედას სიცოცხლე ამოძრავებდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა მთელი მისი ჯადოქრობა.

მამამ დედა კატალოგიდან შეარჩია.

ერთხელ, როცა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მამაჩემს ვთხოვე, დაწვრილებით მოეთხრო, ეს როგორ მოხდა. მაშინ ის ყველანაირად ცდილობდა დედას ისევ დავლაპარაკებოდი.

1973 წლის გაზაფხულზე მამაჩემი გაცნობის სამსახურის გვერდზე დარეგისტრირდა. უურნალს სწრაფად ფურცლავდა, მაგრამ თითო გვერდს ორ წუთზე მეტს არ უთმობდა, როცა, მოულოდნელად, დედას სურათს მოჰკრა თვალი.

მე ეს სურათი არასდროს მინახავს. იგი მხოლოდ მამაჩამის აღნერით ვიცი: დედა ზის სკამზე, გვერდულად კამერისკენ, ტანზე შემოტკეცილი მწვანე აბრეშუმის ჩინსამი აცვია, თავი კამერისკენ აქვს მიპრუნებული ისე, რომ კარგად გამოჩნდეს, შავი თმა მკერდსა და მხრებზე როგორ აქვს მოხდენილად ჩამოყრილი. დედაშენი სურათიდან მშვიდი ბავშვური გამომეტყველებით მიყურებდა, მიყვებოდა მამა.

„ეს იმ კატალოგის ბოლო გვერდი იყო“, — თქვა მან.

კატალოგში ეწერა, რომ გოგონა თვრამეტი წლის იყო, უყვარდა ცეკვა და ლაპარაკობდა ინგლისურად, რადგან ჰონგ კონგიდან იყო. სინამდვილეში, როგორც აღმოჩნდა, არც ერთი ეს ფაქტი მართალი არ იყო.

მამამ დედას წერილი მისწერა. ამ წერილებს მათ კომპანია უგზავნიდა. ბოლოს, მამა დედასთან შესახვედრად

ჰონგ კონგში გაფრინდა.

„მის პასუხებს კომპანიის თანამშრომლები წერდნენ. დედაშენმა „გამარჯობის“ გარდა, ლერი ინგლისური არ იცოდა“.

რომელი ქალი შეატანინებს თავს კატალოგში იმისათვის, რომ ვინმემ იყიდოს? მაგრამ მამა საშუალო სკოლაში სწავლობდა, თავი ყველაფრის მცოდნედ მოჰკრინდა. ბრაზი ყელში ახალი ღვინოსავით მოაწვა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ფირმის ოფისში შევარდნილიყო და გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოეთხოვა, სასტუმროს რესტორანში მიმტანს ფული აჩუქა, რომ მათი საუბარი გადაეთარგმნა.

„როცა ვლაპარაკობდი, დედაშენი ნახევრად შეშინებული და ნახევრად იმედიანი თვალებით მიყურებდა და როცა მიმტანმა გოგომ ჩემი ნათქვამის თარგმნა დაიწყო, მას ბაგეზე ნელ-ნელა ღიმილი შეეპარა“.

მამა ისევ კონექტიკუტში დაბრუნდა და დედას ჩამოსაყვანად საბუთების მომზადებას შეუდგა. ერთი წლის შემდეგ მეც გავჩნდი. მე ვეფხვის წელიწადში ვარ დაპატებული.

ჩემი თხოვნით დედამ გასახვევი ქალალდისაგან თხა, ირემი და კამერი გააკეთა. ისინი სასტუმრო ოთახში წინ დაუკან დარბოდნენ, ლაოჭუ კი მათ ღრიალით უკან დასდევდა და თუ რომელიმე მათგანს დაიჭრდა, ზევიდან მთელი ძალით დააწვებოდა იქამდე, სანამ არ ჩაფუშავდა და ისევ დაკეცილი ქალალდის ნაგლეჯებად არ აქცევდა. ამ შემთხვევაში მე მათ თავიდან ვბერავდი და ისინიც ისევ აგრძელებდნენ სირბილს ოთახის გარშემო.

ისეც ხდებოდა, რომ ჩვენი ცხოველები შარში ეხვეოდნენ. ერთხელ ჩვენმა კამერმა სადილის დროს მაგიდაზე მდგარ სოიოს სოუსით სავსე ჯამში ზღართანი მოადინა (მას, აშკარად, ნამდვილი კამერის მსგავსად კოტრიალი

მოუნდა). იმ წამსვე ფეხებში ვწვდი და ამოვიყუანე, მაგრამ კაპილარული ეფექტის მუქი სითხე მის ფეხებში ღრმად შეიწოვა, სოუსით დარბილებულმა კიდურებმა ვეღარ შეიკავა და მაგიდაზე გაიშხლართა. კამეჩი მზეზე გავაშრე, მაგრამ ფეხები მაინც მოგრეხილი დარჩა და სირბილის დროს გვარიანად კოჭლობდა. მოგვიანებით დედამ ფეხები საკვები პროდუქტების გასახვევი ქალალდით შეუფუთა ისე, რომ შეეძლო, რამდენიც უნდოდა, იმდენი ეკოტრიალა (თუმცა არა სოიოს სოუსში).

ლაოხუს ასევე ძალიან მოსწონდა, როცა ჩემთან ერთად უკანა ეზოში თამაშის დროს მოულოდნელად ბელურას თავზე დააცხრებოდა, მაგრამ ერთხელ კუთხეში მიმწვდეულმა ჩიტუნიამ სასოწარკვეთილებისგან გაიბრძოლა და ლაოხუს ყური გაუხია. ხელში რომ ავიყვანე, სიმწრისაგან წერტუნებდა და კანკალებდა. ხელში ავიყვანე და დედამ ლენტით ყური გაუმთელა. მას შემდეგ ლაოხუ ჩიტებს სათოფეზე აღარ ეკარებოდა.

ერთ დღეს, როცა ტელევიზორში ზვიგენების შესახებ დოკუმენტურ ფილმს ვუყურებდი, დედას ვუთხარი, რომ მინდოდა, საკუთარი ზვიგენი მყოლოდა. მანაც გამიკეთა, მაგრამ ეს ზვიგენი მაგიდაზე სასოწარკვეთილი ფართხალებდა. მივხვდი, რომ ნიუარა წყლით უნდა გამევსო და შიგ ზვიგენი ჩამესვა. ასეც მოვიქეცი. ბედნიერი ზვიგენი წინ და უკან დაცურავდა, მაგრამ მალე დასველდა, გამჭირვალე გახდა და ნელ-ნელა ფსკერზე დაიძირა. მის გადასარჩენად აკვარიუმში ხელი ჩავყავი და ხელში მხოლოდ სველი ქალალდის ნაგლეჯი შემრჩა.

ლაოხუმ წინა თათები წიუარის კიდეზე დააწყო და თათებზე თავი ჩამოდო. ყურები ჩამოყარა და ყელიდან ჩუმი ღმიუილი ამოუშვა. თავს მართლაც დამნაშავედ ვგრძნობდი.

დედამ ახალი ზვიგენი გამიკეთა, ამ-

ჯერად თუთიის ფოლგისგან. ზვიგენი ოქროს თევზების დიდ აკვარიუმში ბედნიერად ცხოვრობდა. ლაოხუს და მე ძალიან გვიყვარდა აკვარიუმის გვერდით ჯდომა და ოქროს თევზებზე მონადირე თუთიის ფოლგის ზვიგენის ყურება. ამ დროს, ლაოხუს სახე აკვარიუმზე მეორე მხრიდან ჰქონდა მიღებული და მე აკვარიუმის მეორე მხრიდან მომზირალ მის თვალებს ვხედავდი, რომლებიც ისე გადიდებულიყვნენ, რომ ყავის ფინჯნის ხელა მოჩანდნენ.

ათი წლის რომ გავხდი, იქვე, ქალაქში, ახალ სახლში გადავედით საცხოვრებლად. გადასვლისთანავე ჩვენს გასაცნობად ორი მეზობელი ქალბატონი გამოგვეცხადა. მამა მათ სასმელებით გაუმასპინძლდა და მოუბოდიშა, რომ კომუნალური მომსახურების კომპანიაში იყო სასწრაფოდ გასაქცევი სახლის ყოფილი მესაკუთრის გადასახადების გასასწორებლად.

„თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. ჩემი ცოლი ინგლისურად ნაკლებად ლაპარაკობს, ამიტომ არ იფიქროთ, რომ უზრდელია, რადგან არ გელაპარაკებათ“.

სანამ მე სასადილო ოთახში წიგნს ვკითხულობდი, დედა სამზარეულოში ბარგის ამოლაგებით იყო დაკავებული. მეზობლები მისაღებ ოთახში ისხდნენ და აშკარად შეგნებულად არც თუ ისე ხმადაბლა საუბრობდნენ.

„ნორმალური კაცი ჩანს. ეს რატომ გააკეთა?“

„სისხლის შერევის დროს მუდამ რაღაც ისე არ არის. ბავშვი არასრულყოფილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ელამია და სახე გასთეთრებია. პატარა ურჩეულია“.

„როგორ ფიქრობ, ინგლისურად ლაპარაკობს?“

ქალები გაჩუმდნენ და ცოტა ხნის შემდეგ სასადილო ოთახში შემოვიდნენ.

„გამარჯობა! რა გქვია?“

„ჯეკი“, – ვპასუხობ მე.

„ეგ სახელი ჩინურად ნაკლებად უღერს.“

ამ დროს, ოთახში დედა შემოდის და მეზობლებს ულიმის. სამივე მეზობელი ჩემ ირგვლივ სამკუთხედის ფორმით დგება. ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ უკრავენ თავს და ასე გრძელდება, სანამ მამა არ დაბრუნდება.

შემდეგ მარკი მოვიდა, მეზობელი ბიჭი, თავის ვარსკვლავური ომების ექ-შენ-ფიგურებთან ერთად. ობი ვან კენბის სანათი ხმალი ანათებდა და ის ხელებს იქნევდა და მჭახე ხმით ამბობდა, „იხმარეთ ძალა!“ ჩემი აზრით, ეს ექშენ-ფიგურა ნამდვილ ობი ვანს სულ არ ჰგავდა.

მე და მარკი ყავის მაგიდასთან ვისხედით და ამ სანახაობას უკვე მეხუთედ ვუყურებდით. „კიდევ რისი გაკეთება შეუძლია?“ – ვკითხე მე. მარკი ჩემმა კითხვამ გააღიზიანა. „დეტალებს მიაქციე ყურადღება“, – მიპასუხა მან.

ასეც მოვიქეცი. დეტალებს დავაკვირდი. დარწმუნებული არ ვიყავი, რა უნდა მეთქვა.

მარკი ჩემი პასუხით იმედგაცრუებული ჩანდა. „შენი სათამაშოები მაჩვენე“.

მე სხვა სათამაშოები არ მქონდა, ჩემი ქაღალდის მხეცების გარდა. საწოლი ოთახიდან ლაოხუ გამოვიტანე. იმ დროს ის ძალზე გაქუცულად გამოიყურებოდა, ირგვლივ ლენტებითა და წებოთი შეკონინებული, რაც მის მიმართ მე და დედას მიერ წლების განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე მეტყველებდა. ლაოხუ ძველებურად მკვირცხლი ვეღარ იყო და ფეხზეც ისე მყარად ვეღარ იდგა. მე ის ყავის მაგიდაზე დავსვი. ამ დროს უკან, დერეფანში, დანარჩენი ცხოველების მსუბუქი ფეხის ხმა გავიგონე, რომლებიც მისაღები ოთახისკენ გზას ფრთხილად მოიკვლევდნენ.

„სიაო ლაოხუ“, – ვთქვი მე და მცირე პაუზის შემდეგ ინგლისურზე გადავედი, „ეს ვეფხვია“.

ლაოხუ მარკს ფრთხილად მიუახლოვდა და კნავილით ხელებზე დაუწყოყნოსვა.

მარკმა ლაოხუს საშობაო საჩუქრების გასახვევი ქაღალდის ნახატებით აჭრელებული კანი შეათვალიერა.

„ამას ვეფხვის რა უგავს. დედაშენი სათამაშოებს ნაგვისგან გიკეთებს?“

ლაოხუზე, როგორც ნაგავზე, არას-დროს მიფიქრია, მაგრამ ახლა, რომ ვუყურებდი, მივხვდი, რომ მართლა გასახვევი ქაღალდის ნაგლეჯს ჰგავდა“.

მარკი ისევ ობი ვანს მიუბრუნდა. სანათი ხმალი განათდა და ხელების ქნევას მოჰყვა. „იხმარეთ ძალა!“

ლაოხუ მიბრუნდა, ახტა და პლასტმასის ფიგურა მაგიდიდან გადააგდო. ეს უკანასკნელი იატაკზე დაენარცხა, თავი მოსძვრა და ტახტის ქვეშ შეგორდა.

„რარრ!“ – დაიღრიალა ლაოხუმ და მეც იმწამსვე იქ გავჩნდი.

მარკმა სახეში მუშტი მითავაზა. „არადა რა ძვირი ღირდა! ასეთს ახლა ვერცერთ მაღაზიაში ვეღარ ნახავ. ალბათ, უფრო მეტი ელირება, ვიდრე მამაშენმა დედაშენში გადაიხად!“

მე იატაკზე ნავიფორხილე და დავეცი. ლაოხუმ ამოიღნავლა და მარკს სახეზე ეცა. მარკმა დაიყვირა, ალბათ, უფრო შიშისა და გაკვირვებისგან, ვიდრე ტკივილისაგან. ბოლოს და ბოლოს, ლაოხუ ხომ მხოლოდ ქაღალდი იყო, მეტი არაფერი.

მარკმა ლაოხუს ხელი სტაცა, დაჭმუჭნა და შუაზე გახია. ლაოხუ დადუმდა. მარკმა ლაოხუ ქაღალდის ორ ბურთულად დაამრგვალა და მესროლა.

„აპა, აიღ შენი სულელური იაფთა-სიანი ჩინური ნაგავი“.

მარკი რომ წავიდა, დიდხანს ვეცა-დე დახეული ნაგლეჯების ერთმანეთზე ლენტით გადამება, ქაღალდი გამეს-

წორებინა და ნაკეცებიც ისე დამენყო, რომ ლაუხუ თავიდან ამენყო, მაგრამ ამაოდ. ამასობაში მისაღებ ოთახში ნელ-ნელა დანარჩენი ცხოველებიც შემოვიდნენ და ჩვენ ირგვლივ ერთად შეჯგუფდნენ, უფრო სწორად, ჩემ და იმ დაფხრენილი გასახვევი ქალალდის ირგვლივ, რომელსაც ერთ დროდს ლაოხუ ერქვა.

ჩემი და მარკის კონფლიქტი ამით როდი დასრულდა. მარკი სკოლაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. აღარ მინდა გავიხსენო ის ორი კვირა ჩვენს სახლში მომხდარ ინციდენტს რომ მოჰყვა.

ორი კვირის შემდეგ, პარასკევს, სახლში დავბრუნდი.

„სუსიაო ხაო მა?“ – მკითხა დედამ. „რა ხდებოდა სკოლაში?“ – პასუხი არ გავეცი და სააბაზანოში შევედი. სარკეში ჩავიხედე „სრულებით არ ვგავარ მას. სრულებით არ ვგავარ“.

სადილზე მამას ვკითხე, „ჩინკის სახე მაქვს?“

მამამ საჭმელი ჩხირები ძირს დაალაგა. მისთვის არაფერი მითქვამს იმის შესახებ, რაც სკოლაში მოხდა. ისედაც მიხვდა ყველაფერს. მამამ თვალები დახუჭა და ცხვირი მოიფხანა. „არა, არ გაქვს“.

დედამ მამას გადახედა. ის ვერაფერს მიხვდა. შემდეგ მან მზერა ისევ ჩემზე გადმოიტანა.

„შა ძიაო ჩინქ?“, „რას ნიშნავს ჩინკი?“

„ინგლისურად, ინგლისურად ილაპარაკე“, – მკვახედ მივახალე მე.

დედაც შეეცადა. „რა მოხ?“

საჭმელი ჩხირები, საქონლის სტირფრაი და ჩაშუშული ხუთი სანელებლით განზე გავწიე. „ამერიკული საჭმელი უნდა ვჭამოთ“.

მამა ცდილობდა, თავი გაემართლებინა. „დღეს ბევრი ოჯახი ამზადებს ჩინურ კერძებს“..„ჩვენ არ ვგავართ სხვა ოჯახებსსხვა ოჯახებს არ ჰყავთ უცხოელი დედები“, – ვუპასუხე მე.

მამამ თვალი ამარიდა. შემდეგ ხელი დედას მხარზე დაადო.

„სამზარეულო წიგნს გიშოვი“.

დედა ისევ მე მომიბრუნდა. „პუ ხაოჩი?“ „საჭმელი უგემურია?“

„ინგლისურად“, – ავუწიე მე ხმას. – „ინგლისურად ილაპარაკე“.

დედამ ხელი შუბლზე დამადო.

„ფაშაო ლა?“, „სიცხე ხომ არ გაქვს?“

მე ხელი ავალებინე. „კარგად ვარ. ინგლისურად ილაპარაკე!“ – ახლა უკვე ყვირილზე გადავედი მე.

გთხოვ, ინგლისურად ელაპარაკე. ხომ იცოდი, რომ ერთ დღეს ასე მოხდებოდა? აბა, რას ელოდი?“ დედა იჯდა და რიგრიგობით, ხან მე მიყურებდა და ხან – მამას. ცდილობდა, რაღაც ეთქვა, ვერ ახერხებდა, შემდეგ ისევ იწყებდა, მაგრამ სიტყვა უწყდებოდა.

„მოვალე ხარ, ეს გააკეთო. მე ეს არასდროს დამიძალებია შენთვის. ახლა, როგორც ჯეკს უნდა, ისე უნდა გააკეთო“.

დედამ მამას შეხედა. „როცა ვამბობ „სიყვარული“, აი, აქ ვგრძნობ. მან თითო ტუჩებთან მიიტანა. „თუ ვამბობ, „აი“, აქ“ და ხელი გულზე დაიდო.

მამამ თავი გააქნია. „შენ ამერიკაში ხარ“.

დედა უცებ სკამზე დაპატარავდა. იმ კამერს დაემსგავსა, ლაოხუ რომ ახტებოდა და სხეულიდან სიცოცხლეს აცლიდა.

„და კიდევ, მე ნამდვილი სათამაშოები მინდა“.

მამამ ვარსკვლავური ომების გმირების მთლიანი კომპლექტი მიყიდა. ობივან კენობი მარკს მივეცი. ქალალდის მხეცები ერთად შევაგროვე და ფეხსაცმელების დიდ ყუთში, საწოლის ქვეშ შევინახე.

მეორე დილას იქ არცერთი ცხოველი აღარ იყო. ისინი ისევ თავიანთ ძველ საყვარელ ადგილს დაბრუნებოდნენ. ყველა დავიჭირე, ისევ ფეხსაცმელე-

ბის ყუთში ჩავსვი და ყუთს სახურავი ლენტით მყარად გადავაკარი, მაგრამ მხეცებმა ყუთში ისეთი ხმაური ატეხეს, რომ ბოლოს ყუთი სხვენის სულ ბოლოში, ჩემი ოთახიდან რაც შეიძლება შორს გადავმალე.

როცა დედა ჩინურად დამიწყებდა ლაპარაკს, პასუხს არ ვცემდი.

გარკვეული დროის შემდეგ დედამ ცოტაოდენი ინგლისური ისწავლა, მაგრამ მისი აქცენტი და დამტვრეული წინადადებები მოთმინებას მაკარგვინებდა. ვცდილობდი გამესწორებინა. საბოლოოდ, ჩემი თანდასწრებით ის საერთოდ ხმას აღარ იღებდა. როცა უნდოდა ჩემთვის რამე გაეგებინებინა, უსტებით მაჩვენებდა. თუ ჩემთან ჩასუტება უნდოდა, ტელევიზორში ნანას ამერიკელ დედებს ბაძავდა და ისე მისუტებდა. მისი მოძრაობები გადაჭარბებულად, გაურკვევლად, სასაცილოდ და უშნოდ მიმაჩნდა. ისიც ხედავდა, რომ არ მომწონდა და ჩერდებოდა.

„დედაშენს ეგრე არ უნდა ეპყრობოდე“, — მითხრა მამამ, მაგრამ, როცა ამას ამბობდა, თვალებს ვერ მისწორებდა. სადღაც, ღრმად, გულში, ალბათ, ხვდებოდა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა ჩინელი გლეხი გოგო წამოიყვანა და უნდოდა ის კონექტიკუტში ცხოვრებას შეგუებოდა.

დედამ საჭმლის ამერიკულად კეთება ისწავლა. მე კი ვიდეო თამაშებით ვერთობოდი და ფრანგულ ენას ვსწავლობდი.

დროდადრო ვხედავდი, დედა სამზარეულოს მაგიდასთან გასახვევი ქალალდის ფურცლების წალმა გვერდებს როგორ სინჯავდა, რის შემდეგაც ჩემს ტუმბოზე ახალი ცხოველი წამოსკუპდებოდა და ჩემს მოალერსებას ცდილობდა, მაგრამ მე მათ ვიჭერდი და ხელით იქამდე ვჭყლიტავდი, სანამ ჰაერისგან მთლიანად არ იცლებოდნენ. შემდეგ კი მათ სხვენზე გადამალულ ყუთში ვტენიდი.

საბოლოოდ, ჩემი საშუალო სკოლაში სწავლის დროს დედამ ცხოველების კეთებას თავი საერთოდ გაანება. იმ დროს იგი ინგლისურად გაცილებით უკეთესად საუბრობდა, მაგრამ მე უკვე იმ ასაკში ვიყავი, რომ სულ არ მაინტერესებდა, ის რას ამბობდა ან რომელ ენაზე სურდა თავისი სათქმელის გამოხატვა.

ზოგჯერ, როცა სახლში ვბრუნდებოდი, ვხედავდი მისი ჩია სხეული სამზარეულოში როგორ ფუსფუსებდა და თავისთვის ჩინურად როგორ ღილინებდა. ჩემთვის ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მე ამ ქალმა გამაჩინა. ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. თითქოს ის მთვარიდან ყოფილიყო ჩამოფრენილი. მე ჩამოსვლისთანავე ჩემს ოთახში შევრბოდი, სადაც ჩემი ამერიკული ბედნიერების ძიებით ვიყავი დაკავებული.

მამა და მე საავადმყოფოს საწოლის გვერდით ვდგავართ, ერთ მხარეს მამა, მეორე მხარეს კი — მე. საწოლზე დედა წევს. ის ჯერ ორმოცი წლისაც არ არის, მაგრამ გაცილებით ასაკოვნად გამოიყურება. უკვე მერამდენე წელია, რაც დედა უარს ამბობს ექიმთან წასვლაზე, რათა იმ ტკივილებზე გაესინჯოს, რომლებზეც ის ამბობს, სერიოზული არაფერიათ. ბოლოს ის სასწრაფო დახმარების მანქანით მიჰყავთ, როცა კიბო ისეა მოდებული, რომ ოპერაციას არანაირი აზრი აღარ აქვს.

ფიქრებით სხვაგან ვარ. კამპუსში დასაქმების შუა სეზონია და ჩემი ყურადღება მთლიანად რეზიუმების, ტრანსკრიპტების და სტრატეგიულად შედგენილი ინტერვიუების განრიგის ირგვლივ ტრიალებს. იმაზე ვფიქრობ, კორპორატიული დამსაქმებლების წინაშე, რაც შეიძლება ეფექტურად წარვდგე, რომ ჩემი ყიდვა გადაწყვიტონ. გონიერი ვაცნობიერებ, რომ ახლა, როცა დედაჩემი კვდება, ამაზე ფიქრი საშინელებაა, თუმცა ამის გაცნობიერება

იმას როდი ნიშნავს, რომ შემიძლია შევ-
კვალო ის, რაზეც ახლა ვთქიდრობ.

დედა ჯერ კიდევ გონზეა. მამას ორივე ხელით მისი მარცხენა ხელი უჭირავს. მამა საწოლზე იხრება და დედას შუბლზე კოცნის. დედა ძალზე სუსტად და დაბერებულად გამოიყურება, რაც ძალიან მაშინებს. ახლალა ვევდები, რომ არც მამაჩემის შესახებ ვიცი ბევრი არაფერი, დედაჩემზე რომ არაფერი ვთქვათ.

„მე არაფერი მიჭირს“, – გამილიმა დედამ.

ის ჩემკენ მოპრუნდა. ბაგეზე ისევ ლიმილი უკრთოდა. „ვიცი, რომ სკო-ლაში უნდა დაბრუნდე“, – ისეთი მი-სუსტებული ხმა ჰქონდა, რომ მის უკან კედელზე დაკიდებული მანქანების გუ-გუნის ფონზე მისი ხმა ძლივს ისმოდა. „წადი. ჩემზე ნუ დარდობ. სერიოზული არაფერია. სკოლაში საქმე არ გაგი-ფუჭდეს“.

სანოლზე დავიხარე და დედას ხელზე შევეხე. ვფიქრობდი, რომ ასე იყო საჭირო. შვებით ამოვისუნთქე. უკვე უკან დაბრუნებასა და კალიფორნიის მცხუნვარე მზიზე ვფიქრობდი.

დედამ მამას რაღაც ჩაუჩურჩულა.
მან თავი დაუქნია და ოთახიდან გავიდა.

”კეპ, თუ...“ – მას ხველა აუტყდა
და ცოტა ხნით საუბარი შეწყვიტა. –
„თუ ვერ გადავრჩი, ნუ იდარდებ. შენს
ჯანმრთელობაზე იზრუნე და შენს
ცხოვრებაზე. იმ ყუთს გაუფრთხილ-
დი, სხვენზე რომ ინახავ. ყოველ ნელს,
ცინგმინგის დროს ყუთი სხვენიდან ჩა-
მოიტანე და ჩემზე იფიქრე. მე მუდამ
შენთან ვიქნები“.

ცინგმინგ ძიე გარდაცვლილთა მო-
სახსენიებელი ჩინური დღესასწაულია.
ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში, ცინგმინ-
გის დღესასწაულის დროს დედა თავის
გარდაცვლილ მშობლებს წერილს უგ-
ზავნიდა ჩინეთში. ის მათ უამბობდა
იმ სასიხარულო ამბებს, რომლებიც
გასულ წელს მისი ამერიკაში ყოფნის

დღოს მოხდა. დედა ამ წერილს ხმაშალ-
ლა მიკითხავდა. თუ მე ზოგჯერ რაიმე
შენიშვნას მივცემდი, დედას ის წერილ-
ში შეჰქონდა.

წერას რომ მორჩიებოდა, დედა და-
კეცილი წერილის ფურცლისგან წეროს
აკეთებდა და მას დასავლეთის მიმარ-
თულებით უშვებდა. ვიდექით და ვუ-
ყურებდით, ჩვენი წერო თავისი ნაზი
ფრთხების ქნევით, გრძელ გზაზე, და-
სავლეთისკენ, წყნარი ოკეანისკენ, ჩი-
ნეთისკენ, დედას ოჯახის წევრების
საფლავებისკენ გზას როგორ მიიკ-
ვლივდა.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ,
რაც მსგავსი რამ ერთად აღარ გაგვი-
კეთებია.

„ჩინური კალენდრის არაფერი გამე-
გება. დაისვენე, დედა“.

„ყუთი თან გქონდეს და ზოგჯერ თავი ახადე. უბრალოდ გახსენი ხოლ-მე“. – მას ისეკ ხველიება აუტყედა.

„ყველაფერი კარგად არის, დედა“, — ვუთხარი და მკლავზე ხელი უხერხულად მოვატათუნი.

„ჰაინი, მამა აი ნი“, - დედას ხველებისგან სიტყვა ისევ შუაზე გაუწყდა. „დედას უყვარნაარ, შვილო“. გონებაში მრავალი წლის წინანდელი სურათი გამიცოცხლდა: დედა ამბობს „აი“ და ხელს გულზე იდებს.

„კარგი, დედა. ნულარ ლაპარაკობ“.

მამა ოთახში დაბრუნდა და ვუთხარი, რომ, თუ აეროპორტში დროზე არ წავიდოდი, რეისზე დამაგვიანდებოდა.

დედა მაშინ გარდაიცვალა, როცა
ჩემი თვითმფრინავი სადღაც, ნევადას
თავზე მიფრინავდა.

მამა დედას სიკუდილის შემდეგ უცებდაბერდა. მას ამხელა სახლი არაფრად სჭირდებოდა. ამიტომ, გადაწყვიტა გაეყიდა. მე და ჩემი მეგობარი გოგონა სუზანი ახლა მამასთან ვიყავით. მას პარგის ჩალაგებასა და სახლის დასუფ-თავებაში ვეხმარებოდით.

სუზანმა სხვენზე ფეხსაცმელე-

ბის ყუთი იპოვა. ქალალდის მხეცები, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ფარლალალა და ბერე სხვენში იყვნენ გადამალულები, მყიფე საგნებად გა- დაქცეულიყვნენ, ბრჭყვიალა გასახვევ ქალალდზე დახატული ფიგურები კი მთლიანად გახუნებულიყვნენ.

„ასეთი ორიგამი არასდროს მინა- სავს“, – თქვა სუზანმა. „დედაშენი გა- საოცარი ხელოვანი ყოფილა“.

ქალალდის ცხოველები არ ინძრე- ოდნენ. ალბათ, იმ ჯადომ, რომელმაც მათ სული შთაბერა, დედის გარდაცვა- ლებისთანავე მოქმედება შეწყვიტა ან, იქნებ, ის, რომ ეს ქალალდის ქმნილებე- ბი ერთ დროს ცოცხლები იყვნენ, მხო- ლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო. ბავშვის მეხსიერება ნაკლებად სანდოა.

აპრილის პირველი უქმე დღეები იყო. დედას გარდაცვალებიდან უკვე ორი წელი იყო გასული. სუზანი ქალაქ- ში იყო, თავის ერთ-ერთ ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა მენეჯმენ- ტის კონსულტანტის რანგში. მე სახლში ვიჯექი და უსაქმურობის გამო ტელე- არხებს წინ და უკან ვატრიალებდი.

ბოლოს დოკუმენტურ ფილმზე შევ- ჩერდი, რომელიც ზვიგენბა შეეხებო- და. უცებ დედაჩემის ხელები წარმო- ვიდგინე, ჩემთვის თუთის ფოლგას წინ და უკან როგორ კეცავდა და მე და ლაოსუ მის ამ მოძრაობებს მოჯადოე- ბულები როგორ ვუყურებდით.

რაღაც შრაშუნის ხმა გავიგონე. ზე- ვით ავიხედე და გასახვევი ქალალდის გორგალი და დახეული ლენტი დავინა- ხე, რომელიც წიგნების თაროს გვერ- დით იატაკზე ეგდო. იქითვენ წავედი, რომ ამელო და წაგვში გადამეგდო.

ქალალდის გორგალი შეირხა, გაიშა- ლა და დავინახე, რომ ეს ლაოსუ იყო, რომელიც უკვე დიდი ხანია დავინწყებუ- ლი მყავდა. „რარრ“, – ალბათ, დედა- ჩემმა ისევ ააწყო მას შემდეგ, რაც მე მას თავი ვანებე.

ლაოსუ უფრო პატარა იყო, ვიდრე მახსოვდა; ან შეიძლება მე მქონდა მა- შინ უფრო პატარა მუშტები.

სუზანმა ქალალდის ცხოველები ბი- ნაში სხვადასხვა ადგილას დაალაგა, როგორც დეკორაციები. ალბათ, ლაო- სუ გამორჩა, ვერ შეამჩნია იმ უჩინარ კუთხეში. ამიტომაც იყო ის ასეთი გა- ქუცული.

მე იატაკზე დავჯექი და ლაოსუს თითით შევეხე. მან კუდი გააქიცინა და თითზე მხიარულად შემომახტა. მე გა- მეცინა და ზურგი მოვთხანე; ლაოსუ სიამოვნებისგან აკრუტუნდა.

„როგორ ხარ, შე ძველო?“

ლაოსუმ თამაში შეწყვიტა. ის ფეხ- ზე წამოხტა, კატისებური სისხარტით კალთაში ჩამიხტა და ნელ-ნელა გაშლა დაიწყო.

კალთაში დაჭმუჭნული გასახვევი ქა- ლალდის ოთხუთხედი ფურცელი დარ- ჩა, წაღმა მხრით ამობრუნებული, რომე- ლიც ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ჩინური იეროგლიფებით იყო აჭრელებუ- ლი. ჩინური კითხვა არასდროს მისწავ- ლია, მაგრამ ვიცოდი „შვილი“ რომელი იეროგლიფით ინერებოდა. ეს იეროგლი- ფი ზევიდან იყო წაწერილი დედაჩემის მოუხეშავი, ბავშვური ხელით იქ, სადაც, როგორც წესი, წერილის ადრესატი უნ- და იყოს მითითებული.

კომპიუტერთან მივედი და ინტერ- ნეტში შევედი. დღეს ცინმინგის დღე- სასწაული ყოფილა.

ქალაქში გავედი და წერილიც თან წავილე. ვიცოდი, ჩინეთის ტურისტუ- ლი ავტობუსები სადაც ჩერდებოდნენ. ყველა ტურისტს სათითაოდ ვაჩერებდი და ვეკითხებოდი, „ნი ხუეი ტუ ჭუნვენ მა?“ „ჩინურად კითხვა იცით?“ ჩინურ- თან იმდენი ხანია შეხება არ მქონია, რომ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ესმოდათ, რასაც ვეუბნებოდი.

ერთი ახალგაზრდა ქალი დამთან- ხმდა, დამხმარებოდა. იქვე, სკამზე ჩა-

მოვსხედით და მან ხმამალლა დაიწყო ჩემთვის წერილის კითხვა. ენა, რომლის დავინუებასაც უკვე წლებია ვცდილობდი, უცებ გაცოცხლდა და ვიგრძენი, სიტყვები როგორ აღწევდნენ ჩემს სხეულში, ჩემს კანში, ძვლებში და ჩემს გულს ირგვლივ იყვნენ შემოჯარულები.

„შეილო,

დიდი ხანია, აღარ გვილაპარაკია. როცა ვცდილობ, ხელით შეგხეო, ისე ბრაზდები, რომ შიში მიპყრობს. იქნების ტკივილი, რომელსაც ახლა უკვე მუდმივად ვგრძნობ, სერიოზულია.

ამიტომ, გადავწყვიტე მოგწერო. მინდა, მოგწერო იმ ქალალდის მხეცების მეშვეობით, შენთვის რომ ვაკეთებდი და შენ რომ ასე მოგწონდა.

როგორც კი სუნთქვა გამიჩერდება, ეს ცხოველებიც გაჩერდებიან; მაგრამ თუ მთელი გულით მოგწერ, ჩემი სულის რაღაც ნაწილებს ამ ქალალდზე დავტოვებ, ამ ჩემი სიტყვებით. თუ ცინმინგის დროს ჩემზე იფიქრებ, როცა გარდაცვლილთა სულებს თავიანთი ოჯახების მონახულების უფლება მიეცემათ, შენ შეძლებ ჩემ მიერ დატოვებული სულის ნაწილებიც გააციცხლო. ის არსებები, შენთვის რომ გავაკეთე, ისევ დაიწყებენ მხიარულად ხტუნვას და სირბილს და მაშინ, აღბათ, შენ ამ ჩემს სიტყვებსაც იხილავ.

ჩინურად მოგწერ იმიტომ, რომ მინდა, ამ ჩემს წერილში მთელი ჩემი გული და სული ჩავდო.

მე შენთვის არასდროს მიამბნია ჩემი ცხოვრების შესახებ. როცა პატარა იყავი, ვფიქრობდი, რომ, როცა გაიზრდებოდი, მაშინ გეტყოდი, რათა უკეთ მიმხვდარიყავი, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ასეთი შესაძლებლობა აღარ მომეცა.

მე დავიბადე 1957 წელს, პეტეის პროვინციის სოფელ სიგულუში. შენი ბებია და ბაბუა ძალიან ღარიბი გლეხების ოჯახიდან იყვნენ და ძალიან ცოტა ნათესავი ჰყავდათ. ჩემი დაბადებიდან

რამდენიმე წლის შემდეგ, ჩინეთს თავს დიდი შიმშილობა დაატყდა, რომელმაც ოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სულ პირველი, რაც მახსოვს, დედაჩემია, თვითონ ტალახს რომ ჭამდა, რათა მუცელი ამოევსო, მე კი ფქვილის მორჩენილ ნამცეცებს მიტოვებდა.

გამოხდა ხანი და მდგომარეობა გაუმჯობესდა. სიგულუ ქალალდის რეწვით არის ცნობილი. დედაჩემია მასწავლა ქალალდის ცხოველების კეთება და მათი გაცოცხლება. ამ ჯადოსნობას, რომელსაც მთელი სოფელი მისდევდა, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ჩვენ მიერ შექმნილი ქალალდის ფრინველები მინდვრებში კალიებს დასდევდნენ, ვეფხვები კი თაგვებს აფრთხობდნენ. ჩინურ ახალ წელს მე და ჩემი მეგობრები წითელი ქალალდის დრაკონებს ვაკეთებდით. არასდროს დამავიწყდება, როგორ ზუზუნით დაქროდნენ ისინი ცაში და როგორ ვაწყობდით უსასრულო ფოიერვერკებს, რათა დაგვეფრთხო გასული წლის ცუდი მოგონებები. ნეტავ ეს ყველაფერი შენც გენახა. დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებოდა.

შემდეგ, კულტურული რევოლუცია დაიწყო. ეს 1966 წელს მოხდა. მეზობელი მეზობელს აუმხედრდა და ძმა – ძმას. ვიღაცას გაახსენდა, რომ დედაჩემის ძმა, ანუ ჩემი ძიძა 1946 წელს ჰონგ კონგში იყო ნასული, სადაც ვაჭრობით იყო დაკავებული. თუ ჰონგ კონგში ნათესავი გყავდა, ესე იგი ჯაშუში და ხალხის მტერი იყავი და ჩვენც ყველანაირად ვცდილობდით, თავი გადაგვეჩინა. შენმა საცოდავმა ბებიამ ამდენი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა და თავი ჭაში დაიხრი. შემდეგ, ერთ დღეს, ვიღაც ბიჭები მოვიდნენ, სანადირო თოფებით შეიარაღებულები და ბაბუაშენი ტყეში წათრიეს, საიდანაც ის აღარ დაპრუნებულა.

მე მაშინ ათი წლის ობოლი ვიყავი

და ამქეყნად ერთადერთი ნათესავი მყავდა – ის ბიძა, ჰონგ კონგში რომ ცხოვრობდა. ერთ ღამეს სახლიდან ჩუ-მად გაიპარე და სამხრეთისკენ მიმა-ვალ სატვირთო მატარებელს შევახტი.

რამდენიმე დღის შემდეგ გუანდონ-გის პროვინციაში აღმოვჩნდი, სადაც ვიღაცებმა მინდორში მაშინ დამიჭი-რეს, საჭმელს რომ ვიპარავდი. როცა გაიგეს, რომ ჰონგ კონგამდე მიღწევას ვცდილობდი, სიცილით მითხრეს: „იღ-ბლიანი დღე გქონია. ჩვენი ხელობა გო-გოების ჰონგ კონგში გადაყვანაა“.

მათ, სხვა გოგოებთან ერთად სატ-ვირთო მანქანის ძარის ქვეშ დამმალეს და კონტრაბანდულად ჰონგ კონგში გა-დამიყვანეს.

ჰონგ კონგში რომელიდაც სარდაფ-ში მოგვათავსეს, სადაც გვაიძულებ-დნენ ჯანმრთელი და ჭკვიანი სახით მყიდველების წინაშე წავმდგარიყვანით. ჩვენს სანახავად ოჯახები მოდიოდნენ, რომლებიც გვამონმებდნენ და რომე-ლიმე ჩვენგანს „შვილად აყვანის“ მიზ-ნით ირჩევდნენ.

მე ჩინების ოჯახმა ამირჩია მათი ორი ბიჭის მოსავლელად. დილის ოთხ საათზე ვდგებოდი და საუზმეს ვამზა-დებდი. ბიჭებს ვაჭმევდი და ვაბანავებ-დი. საკვები პროდუქტების საყიდლად დავდიოდი. სარეცხს ვრეცხავდი და იატაკს ვგვიდი. ბიჭებს უკან დავდევ-დი და მათ ბრძანებებს ვასრულებდი. ღამით სამზარეულოს განჯინაში ჩაკე-ტილს მეძინა. თუ რამეს ნელა ან არას-წორად ვაკეთებდი, მცემდნენ. თუ ბი-ჭები დააშავებდნენ რამეს, მაინც მე მცემდნენ. თუ მაშინ წამასწრებდნენ, როცა ინგლისურში ვმეცადინეობდი, მაშინაც მცემდნენ.

„რისთვის გინდა ინგლისურის სწავ-ლა? პოლიციაში გინდა შეხვიდე? ჩვენ პოლიციას ვეტყვით, რომ მატერიკიდან ხარ ჰონგ კონგი არალეგალურად შემო-სული. სიამოვნებით გამოგეტავენ თა-ვიანთ ციხეში“, – მეუბნებოდა ბატონი

ჩინი.

ასე ვიცხოვრე ექვსი წელიწადი, სა-ნამ ერთ დღეს, ერთმა მოხუცებულმა ქალმა, რომლისგანაც დილის ბაზრობა-ზე თევზის ვყიდულობდა, გვერდით არ გამიხმო.

„ვიცი, შენნაირ გოგოებს რაც ელო-დებათ. რამდენი წლის ხარ, თექვსმე-ტის? ერთხელაც იქნება, შენი პატრო-ნი დათვრება, გიპოვის, თავისთან წა-გათრევს და შენ მას ვეღარ შეაჩერებ. მერე, მისი ცოლი მოვა და ცხოვრებას ჯოვოხეთად გიქცევს. აქედან უნდა წახვიდე. მე ვიცნობ ერთ კაცს, ვინც დაგეხმარება.

იმ ქალმა მიამბო იმ ამერიკელ მამა-კაცებზე, რომლებსაც აზიელი ცოლები უნდოდათ. მითხრა, რომ, თუ მე საჭ-მლის მომზადებას, დალაგებას და ამე-რიკელ ქმარზე ზრუნვას შევძლებდი, ეს უკანასკნელი კარგ ცხოვრებას მო-მიწყობდა. ეს ჩემი ერთადერთი იმედი იყო. ასე და ამგვარად მოვხვდი იმ კა-ტალოგში ჩემს ტყუილებთან ერთად და გავიცანი მამაშენი. ეს სულაც არ არის რომანტიკული ისტორია, მაგრამ ჩემი ისტორიაა. კონექტიკუტის გარეუბნებ-ში თავს უულად ვგრძნობდი. მამაშენი კეთილი და ნაზი იყო ჩემ მიმართ და მეც მისი მადლიერი ვიყავი; მაგრამ ჩე-მი არავის ესმოდა და არც მე მესმოდა სხვების.

შემდეგ შენ გაჩნდი! როგორი ბეჭ-ნიერი ვიყავი, როცა შენს სახეზე დე-დაჩემის, მამაჩემის და საკუთარ ნაკ-ვთებს აღმოვაჩინდი. მთელი ჩემი ოჯახი დავკარგე, მთელი სიგულუ, ყველაფერი, რაც ჩემთვის ასე ნაცნობი და ძვირფასი იყო; მაგრამ, სამაგიეროდ, მყავდი შენ, შენი სახე, რომელიც იმას ამტკიცებდა, რომ ისინი მართლა არსებობდნენ და რომ მე ისინი არ გამომიგონებია.

ვიღაც მჭირდებოდა, ვისაც დაველა-პარაკებოდი. შენ ჩემს ენას გასწავლიდი და ჩვენ ერთად თავიდან შევქმნიდით პანაწინა ნაწილს იმ ყველაფრისა, რაც

მიყვარდა და დაკარგე. როცა შენ შე-ნი პირველი სიტყვები ჩინურად მითხარი, იმ აქცენტით, რომელზეც დედაჩემი და მე ვსაუბრობდით, ტირილი ვერ შევიკავე; როცა პირველად ჭეჭის ცხოველები გაგიკეთე და შენს სახეზე ღიმილი და-ვინახე, ვიგრძენი, რომ ამქვეყნად ყველა დარდი და წუხილი დავივიწყე.

შემდეგ, როცა შენ ცოტა წამოიზარ-დე, მე და მამას ერთმანეთთან საუბარ-ში გვეხმარებოდი. მაშინ თავს მართლა, როგორც სახლში, ისე ვერდნობდი. რო-გორც იქნა, კარგი ცხოვრება ვიპოვე. ვნატრობდი, რომ ჩემი მშობლები ჩემთან ყოფილიყვნენ, რომ მათთვის საჭმე-ლი მომემზადებინა და მათაც ჩემსავით კარგი ცხოვრებით ეცხოვრათ, მაგრამ ჩემი მშობლები ჩემ გვერდით აღარ იყ-ვნენ. იცი, ჩინელების აზრით, რა არის ამ ქვეყნად ყველაზე სევდის მომგვრელი გრძნობა? როცა შენი შვილი იზრდება და უჩნდება სურვილი, რომ თავის მმობ-ლებზე იზრუნოს, მაგრამ ხვდება, რომ ისინი უკვე ამქვეყნიდან დიდი ხნის წა-სულები არიან.

შვილო, ვიცი, რომ შენ არ მოგწონს შენი ჩინელის თვალები, რომლებიც ჩე-მი თვალებია. ვიცი, რომ არ მოგწონს შენი ჩინელის თმა, რომელიც ჩემი თმაა, მაგრამ მინდა იცოდე, შენი არსე-

ბობა რამხელა ბედნიერებას მანიჭებს. მინდა იცოდე, რას ვგრძნობდი მაშინ, როცა ჩემთან ჩინურად ლაპარაკი შენ-ყვიტე და არც მე მაძლევდი უფლებას შენთან ჩინურად მელაპარაკა? მაშინ ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ყვე-ლაფერს ისევ ვკარგავდი.

შვილო, რატომ არ გინდა დამელაპა-რაკო? ტკივილი ხელს მიშლის წერაში“.

ახალგაზრდა ქალმა ფურცელი უკან დამიპრუნა. მე მას თვალებში ვერ ვუ-ყურებდი.

ზევით არც ამიხედავს, ისე ვთხოვე დამხმარებოდა, რომ დედაჩემის წერი-ლის ქვემოთ ფურცელზე „აი“-ს შესატ-ყვისი იეროგლიფის გამომეყვანა. ვწერე და ვწერე ეს იეროგლიფი ქალალდზე იქამდე, სანამ ჩემი კალმით გამოყვა-ნილი ხაზები დედაჩემის სიტყვებში არ გადაიხლართა.

ახალგაზრდა ქალმა ხელი მხარზე დამადო. შემდეგ ის სკამიდან ადგა და წავიდა და დედაჩემთან მარტო დამტო-ვა.

ნაკეცებს მივყევი და ქალალდის ნაგლეჯი კვლავ ლაოზუდ გადავაქციე. ვეფხვი ხელის გულზე დავისვი. ის სი-ამოვნებისგან კრუტუნებდა და ჩვენ ნელ-ნელა სახლის გზას გავუდექით.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონღულაშვილმა

ზახარ პრილეპინი



პროზაიკოსი, პოეტი, უურნალისტი ზახარ პრილეპინი დაიბადა 1975 წელს სოფელ ილინკაში (რიაზანის ოლქი). დაამთავრა ნიუნი ნოვ-გორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მიღებული აქვს: ბორის სოკოლოვის „პრემია (2004), „ლიტერატურნა-ია როსიას“ პრემია (2004), ჩინეთის საერთაშორისო ლიტერატურული პრე-მია 2006 წლის საუკეთესო საზღვარგარეთული წიგნისთვის (2007), პრე-მია „იასნაია პოლიანა“ (2007), ალექსანდრე ნეველის ისტორიულ-ლიტე-რატურული პრემია (2007), პრემია „ნაციონალური ბესტსელერი“ (2008), ბუნინის პრემია (2009), პრემია „წლის წიგნი“ (2014), პრემია „დიდი წიგ-ნი“ (2014), ესენინის ლიტერატურული პრემია (2015), ივო ანდრიჩის პრე-მია, სერბია (2017), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია (2017), მ. ლერმონტოვის ლიტერატურული პრემია (2018), ნაციონალური პრემია „წლის საუკეთესო წიგნები და გამომცემლობები“ (2020, 2021) და სხვა.

მავლელი და მისი პატარა მაგობარი

მიღიცის სპეციალის დედაქალაქის ავტომაგისტრალზე ვიდექით: სერიოგა – ზედმეტსახელად პრიმატი, მისი მე-გობარი გნომი და მე.

პრიმატმა სამხედრო სავალდებულო სამსახურის ახალბედებისგან ვაზნები დაითრია და ყოველ ცვლაში, მზესუმ-ზირასავით მუჭში ჩაბლუჯული მოჰ-ქონდა. მერე ვაზნებს ტაბელურ იარალ-ში აჩქარებით ანყობდა და მისახვრეტ არსებას დაეძებდა.

სადღაც, ღამის სამ საათზე, როდე-საც მანქანები შემცირდა, პრიმატმა

მანანნალა ძალლს მოჰკრა თვალი, მის-თვის ცუდ დროს გეზად რომ ჩაურბინა. პრიმატმა დაუსტვინა. ძალლი უნდობ-ლად გამოეპასუხა, შეეცადა იარაღიან ადამიანებს ფრთხილად მიახლოებო-და, თუმცა ფერდში უმალ სასიკვდილო ტყვია მოხვდა.

ძალლი ერთბაშად არ ჩაძალლებულა, რაღაც დროის მანძილზე ისე გულის-ნამდებად წკავნკავებდა, რომ, ალბათ, ნახევარი ტყვის ბინადრები გააღვიძა.

მიღიცის საგუშაგო ტყესთან იდგა. სიგარეტი მოვისროლე, ამოვიოხრე

და ჩაის დასალევად წავედი.

„ახლა უთუოდ ტვინს გაასხმევინებს“, – გავიფიქრე და გასროლის მოლოდინში დავიძაბე, თუმცა, ჩემი თანდასწრებით, ალბათ, უკვე მეათიათასედ ისროდნენ.

ამჯერადაც შევკრთი, სამაგიეროდ ძალი დადუმდა.

პრიმატზე არ ვპრაზობდი, არც ძალი მეცოდებოდა. მოკლა და მოკლა – მოსწონს ადამიანს სროლა, რა ჩაიდინა ისეთი.

– ნეტავ რევოლუცია მოხდეს! – თქვა ერთხელ პრიმატმა.

– სერიოზულად ამბობ? – სიხარულით შევკრთი. – რევოლუცია მეც მინდოდა.

– ჩემს დილიხორზე მაინც ვისროდი. – მიპასუხა პრიმატმა.

მართალი გითხრათ, პრიმატი მომწონდა. საძაგელი, იდუმალი მანიაკები, თავს ადამიანებად რომ ასალებენ. პრიმატი თავის საზარელ გატაცებებში იყო გულწრფელი და პირად მიდრეკილებებში ცუდს ვერაფერს ხედავდა. უფრო მეტიც, ის მართლაც კარგი ჯარისკაცი ჩანდა. ხანდახან ვფიქრობდი, რომ ჯარისკაცები ისეთები უნდა იყენენ, როგორიც პრიმატია, – დანარჩენები, ადრე თუ გვიან, სრულიად უვარგისები აღმოჩნდებიან ხოლმე.

გარდა ამისა, მას ჰქონდა საინტერესო და უწყინარი იუმორის გრძნობა – კაცმა რომ თქვას, მამაკაცებში მხოლოდ ამას ვაფასებ: შეგეძლოს იყო მამაცი და ხალისიანი, დანარჩენი თვისებები ნაკლებად მაინტერესებს.

თავის ზედმეტსახელზე პრიმატი, ჩვეულებისამებრ არ ბრაზდებოდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ავუხსენი, რომ თავდაპირველად პრიმატებად თვლიდნენ ადამიანებსაც, მაიმუნებსაც და ავსტრალიურ კოალასაც.

მიუხედავად ამისა, პრიმატს სხვა ახსნა ჰქონდა: ის ამტკიცებდა, რომ რაზმის დანარჩენი მებრძოლები სწორედ მისგან წარმოიშვნენ.

– მე თქვენი წინაპარი ვარ, უკუდო მაიმუნებო, – ამბობდა პრიმატი და გა-

დამდებად იცინოდა.

გნომი კი ხუმრობდა, თავს პრიმატის მამად ასალებდა, თუმცა მასზე დაახლოებით სამჯერ პატარა და მსუბუქი იყო.

პრიმატი ას ოც კილოს იწონიდა. მასთან ჭიდაობისას ყველა ჩვენი მებრძოლი ტკივილისაგან კვნესოდა. პირადად მე პრიმატთან გაჯიბრებას ვერც კი გავბედავდი. მას შემდეგ, რაც ერთ მებრძოლს ნეკნი გაუტეხა, სხვას კი ბრძოლის დაწყებისთანავე თავში რაღაც დაუზიანა, ხელჩართულ ბრძოლებში ხალიჩაზე აღარ იწვევდნენ.

სანამ გნომი რაზმში მოვიდოდა, პრიმატი განსაკუთრებით არავისთან ურთიერთობდა: ჰანტელებს ეწეოდა და ხითხითებდა, ყველასთან თანაბრად მეგობრული იყო.

გნომს კი უცებ ჩაუძმაკაცდა.

გნომი რაზმში ყველაზე ტანმორჩილი იყო და რატომ აიყვანეს, ვერაფრით გამეგო. ჩვენთან რამდენიმე დაბალი, მაგრამ ძლიერი და ჯირკივით ბიჭი მსახურობდა. გნომი კი გნომი იყო: ხელებიც წვრილი ჰქონდა და გულმკერდიც საჩიტეს მიუგავდა.

მას არათუ ალმაცერად ვუყურებდი, როდესაც ჩვენ შორის გამოჩნდა, საერთოდ არ ვამჩნევდი. მისთვის კი, ალბათ, სულერთი იყო; ან გნომი თავს მოხერხებულად იკატუნებდა. მერე კი, როდესაც სიგარეტს ვაბოლებდით, ჩვენ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ და გაირკვა, რომ გნომს ახლახან ცოლი გასცილდა. ქალი საბავშვო სახლში გაიზარდა და ხანგრძლივად ცხოვრება არსად არ შეეძლო, მათ შორის არც დაქორწინებულს. სამაგიეროდ, კაცთან დარჩა ექვსი წლის ქალიშვილი და დიდი ხანი არაა, რაც ასე ცხოვრობდნენ: ორნი ერთად – მამა და გოგონა. ბედად, გნომის დედა მეზობელ სახლში ცხოვრობდა და, როდესაც ცოლის მიტოვებული ვაჟიშვილი სამსახურში მიდიოდა, შეირბენდა და მცირენლოვან გოგოს უვლიდა.

საუბრისას, გნომი თავისი ბედ-ილბლით თავს არ იწონებდა, არც დარდი

სტანჯავდა, მხოლოდ სიგარეტს ისეთ ლრმა ნაფაზს ურტყამდა, თითქოს მისი ერთბაშად მოთავება უნდოდა. ერთბაშად არ გამოდიოდა, მხოლოდ მეხუთე ნაფაზზე შეიძლებოდა სიგარეტის „დაბიჩოკება“.

მის მიმართ თანაგრძნობით განვიმსჭვალე. შემდეგ კი, ამ განუყრელ წყვილს – პრიმატს და გნომს გაუნელებელი ინტერესით ვადევნებდი თვალს. ისინი ერთად ჭამდნენ, მოსაწევად და ლამის მოსასაქმებლადაც კი ერთად დადიოდნენ. მალე ისიც დაამულამეს, მანქანით სეირნობისას გარყვნილი გოგონები როგორ შეებათ, თუნდაც ერთი გოგო ორისთვის. ხან მთელ მანქანას ავსებდნენ, იმდენს რომ მოკისყისე გოგონებს ვერც კი დაითვლიდ; თუმცა, პრიმატს ჰყავდა ახალგაზრდა და ზორბა ცოლი.

პრიმატს, მიუხედავად მისი ზედმეტ-სახელისა, სახე ჰქონდა თეთრი, დიდი, უნვერო, ოდნავ დასიებული ნაკვთებით: თუმცა როდესაც ილიმებოდა – ყველაფერი თავის ადგილზე ჯდებოდა: ცხვირიც უფრო გამოსაჩენი ხდებოდა, თვალებიდანაც ყურადღებით იყურებოდა, ხორხის მაღლობიც კარგად იკვეთებოდა, პირი კი ვეება, ყვითელი კბილებით ამოვსებოდა.

არც გნომს ჰქონდა წვერი, სამაგი-ეროდ წვრილ ულვაშს ატარებდა და, საერთოდ, მის სახეზე ყველაფერი პატარა იყო. თუ გნომი იცინოდა, სახის ნაკვთების გარჩევა საერთოდ შეუძლებელი ხდებოდა, ისინი მაშინვე თითქოს ერთმანეთში ირეოდნენ, იხლართებოდნენ, თვალები სადღაც მიდიოდნენ, პირი კი ყველგან დაწრიალებდა და წვრილი კბილებით იყო გამოტენილი.

გნომი პრიმატივით სისხლისმსმელი არ ჩანდა, ყველაფრიდან ეტყობოდა: თავად არავის მოკვლას არ აპირებდა, მაგრამ თავისი დიდი მეგობრის გართობას ინტერესით უყურებდა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, რაღაცას წონიდა.

მათი აგზნებული ხმები გავიგონე და საგუშაგოდან გამოვედი.

– ძალლი გაასაღე? – ვკითხე.

– ძუენა ძალლი, – კმაყოფილმა მიპასუხა პრიმატმა.

მან იარალი მოიმარჯვა, დამცველი მოხსნა, კაი გვარიანი არყის ხის სიგანის ფიცრის ბოძს მიაბჯინა და ისევ გაისროლა.

– უყურე შენ, – თქვა და ბოძი შეათვალიერა. – ვერ გახვრიტა. გნომო, ბოძს უკნიდან დაუდექი, ერთხელ კიდევ ვცდი.

– ხელისგული მიადე და შენზე სცადე! – გნომმა გაიცინა და კბილები გამოაჩინა.

პრიმატმა ბოძს ხელისგული უკანა მხრიდან ააფარა და სანამ შეძრწუნებული რამის თქმას მოვასწრებდი უმალ გაისროლა. ვერ დავინახე, შეირხა თუ არა მისი ხელი გასროლისას, რადგან ჩემდაუნებურად თვალი მოვჭუტე და, რომ გავახილე, პრიმატმა ხელისგული ბოძიდან ნელა აიღო და თვალებთან მიიტანა. ხელი იყო თეთრი და სუფთა.

დილით სამხედრო ბაზაზე პრიმატის ცოლი შემოგვხვდა. მისი სახე იყო ნაზი, სველი და ნამძინარევი, როგორც ყვავილი წვიმის შემდეგ. ალბათ, ღამით ბევრი იტირა და ვერ დაიძინა.

– სად იყავი? – ქმარს სულელური კითხვა დაუსვა და ხელის მისაწვდენ მანძილზე მიუახლოვდა. ისინი დიდებულად გამოიყურებოდნენ: დიდები და წვივმაღლები.

– სათევზაოდ, ვერ ხედავ? – პრიმატმა წაიბურტყუნა და იარალის ბუდეს ხელი დაჰკრა.

ქალი ისევ ატირდა და გნომის დანახვაზე თითქმის იყვირა:

– ეს ისევ აქა? ყველაფერი მის გამო ხდება!

გნომმა ქალს გვერდი ისეთი დაბული სახით აუარა, კიდევ უფრო დაპატარავდა, ღამის პრიმატის მუშტის ხელა გახდა.

– გაგიუდი? – ჰკითხა პრიმატმა გულგრილად. – რა, არ მოგწონს, სამსახურში რომ დავდივარ?

– ისევ ჩეჩნეთში წასასვლელად ემზადები, საძაგელო, – თქვა ცოლმა, ისე, რომ პასუხი არ გაუცია.

პრიმატმა მხრები აიჩეჩა და იარაღის ჩასაბარებლად წავიდა.

ვხვდებოდი, ქალი ქმარზე საშინლად და საფუძვლიანად ეჭვიანობდა. შეიძლება ამიტომაც არ სჯეროდა, რომ სამსახურში დადიოდა და არა გოგონებთან.

— შენ მაინც უთხარი რამე, — მითხრა ქალმა.

— რა ვუთხრა?

ქალმა ზიზღით აიქნია ხელი, თითქოს ჰაერში დაკიდებული ჩემი სიტყვები ძირს ჩამოყარა და გამშორდა. ისე, რომ მანქანებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გზა ნელა გადაკვეთა და ბალის ღობესთან დადგა, ზურგით ბაზისკენ. იდგა და ოდნავ ირხეოდა.

„ელოდება, — კმაყოფილმა გავიფიქრე, — უნდა, რომ ქმარი პირველი მივიდეს. კარგი ქალია“.

პრიმატმა იარაღი ჩააბარა და გნომთან ერთად გააბოლა, თან ცოლის ზურგს დროდადრო ალმაცერად შეჰყურებდა. მათ გაიცინეს, მოკლული ძუკა ძალლი კიდევ გაიხსენეს, ბატინკების წვერით მონდომებით დააბიჩოკეს დანერწყვილი სიგარეტები, თითოც მოსწიეს და, როგორც იქნა, ერთმანეთს დაშორდნენ.

პრიმატი ცოლთან მივიდა და ზურგზე ხელი გადაუსვა.

მას რაღაც უპასუხა, შესაძლოა, უკმეხადაც და ისე, რომ არ შემობრუნებულა, გზას გაუყვა. პრიმატი აუჩქარებლად გაჰყვა.

„ორმოცდაათი მეტრის მერე შერიგდებიან“, — გადავწყვიტე მე. მათ ფანჯრიდან გავყურებდი.

წუთის შემდეგ პრიმატი ცოლს დაენია და ხელი მხრებზე დაადო. ქალს მისი ხელისგული არ მოუცილებია. ისიც კი ვიგრძენი, ქალის მოქანავე თეძოები რამდენიმე სანტიმეტრით გაგანიერდა — ისე, რომ მოძრაობისას პრიმატის თეძოებს შეხებოდა.

„სახლში მივლენ და... მაშინვე ყველაფერი მოგვარდება“, — გავიფიქრე ლირიკულად მათი ყურებით ოდნავ ალგზნებულმა.

საიდანლაც ვიცოდი, რომ პრიმატი დაჯილდოებული იყო უხვი მამაკაცური ვნებით, მეტისმეტადაც კი. სპერმის სიუხვე არაფრით ჩამოუვარდებოდა უცხო სისხლის დალვრის სურვილს. დალვარა ერთი, გადაღვარა მეორე, ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი თავის ადგილასაა.

პირველი ადამიანიც პრიმატმა მოკლა.

მთელი კვირა მოწყენილი იყო: სისხლის დალვრის საშუალება არ ეძლეოდა. ის ხარბად შეჰყურებდა ჩეჩინურ პეიზაჟებს, ბობოქარ ნანგრევებს, ცარიელ და პირქუშ სახლებს და ყოველ წუთს იმედით ელოდა გასროლას, მაგრამ არავინ ესროდა. პრიმატი მოწყენილი და რაზმში ყველაზე გაღიზიანებული იყო. მხოლოდ გნომთან ურთიერთობისას უთბებოდა სახე და მკაფიო ნაკვებებს იძენდა.

ჩვენი ახალბედები ლამის ლოცულობდნენ, რომ რაზმს უბედურება არ შემთხვეოდა, პრიმატი კი სერიოზულად ცოფდებოდა:

— ომში წახვიდე და ომი ვერ ნახო?
— სამარები გინდა ჩაწვე? — ვეკითხებოდით მას.

— რა განსხვავებაა სად იწვები, — გვიპასუხა პრიმატმა ზიზღით.

მახლობელ ქუჩებზე გამუდმებით ისროდნენ. მეზობელი სპეცრაზმებიდან ყოველდღიურად ვიღაცას კლავდნენ, ხანდახან, სულელურ და უაზრო ორმხრივი სროლისას მთვრალ ახალწვეულებს თავთავივით ცელავდნენ. მხოლოდ ჩვენ დავხეტიალობდით გროზნოში შეთქმულებივით: ჩვენი გუნდი ძირითადად დაცვა-გაცილებით, იშვიათად კი გაწმენდით ოპერაციებში მონაწილეობდა.

პრიმატი ერთთავად მეზობელ ქუჩეზე გადახვევას ითხოვდა, სადაც გრუსუნებდა და ჯიუტად ახველებდა სამხედრო ტექნიკა. ჩვენ კი ქალაქში დანჯლრეული მანქანით ვსეირნობდით და ბოლომდე გაურკვეველ ბრძანებებს ვასრულებდით — ჯერ ერთ ადგილას უნდა მიგვეღწია, მერე სხვა მივარდნილ

ადგილას წაგველო ან ბრძანება, ან ყუ-
თით კონიაკი, ვთქვათ, ერთი მაიორი-
დან სხვა, მაგალითად, პოლკის მაიორ-
თან.

— იქ რა ჩემი სირისთვის უნდა წა-
ვიდეთ? — ვპასუხობდი წინა საგარდლი-
დან.

— და თუ იქ რუს ახალწვეულებს კუ-
ნავენ? — პრიმატი ტუჩებს ბრეფადა.

— არავისაც არ ანაკუნძებენ, — ვპასუ-
ხობდი, ვწუმდებოდი და ვამატებდი, —
გამოგვიძახებენ — წავალთ!

მესამე თვის მესამე დღეს დილის
განმენდაზე, ქალაქის გარეუბანში, რო-
გორც იქნა, ხუთსართულიანი სახლის
სხვენზე, სამი უიარალო, გაღიზიანებუ-
ლი ახალგაზრდა ავიყვანეთ. იყო ეჭვი,
რომ სხვენიდან დროდადრო კომენდან-
ტურისკენ ისროდნენ.

— აქ რატომ გძინავთ? — ჰკითხა მათ
მეთაურმა.

— სახლი დაბომბეს, ლამის გასათე-
ვი არა გვაქვს, — უპასუხა რომელილაც
მათგანმა.

აქ კი მეთაურმა ერთ-ერთს სვიტერი
შემოახია და მხარზე კონდახის დარ-
ტყმისგან გაჩენილმა სილურჯემ უმალ
ბევრი რამ ცხადი გახადა.

მაგრამ იარაღი სხვენზე ვერ ვიპოვ-
ნეთ.

— პასპორტები გაქვთ? — ჰკითხეს
მათ.

— ხანძარში დაიწვა, როცა გვპომბავ-
დნენ. — ჩეჩინები თავისაზე იდგნენ.

— კომენდანტურაში გაერკვევიან, —
თითი დაუქნიათ მეთაურმა, — ისე დაა-
ყენეთ, ერთმანეთს ვერაფერი უთხრან,
თორემ პასუხებზე შეთანხმდებიან.

ჩვენი სამხედრო უნიფორმიანი
ახალწვეულები მეზობელ სადარბაზო-
ებში მიმოიფანტნენ, იქ მუშაობდნენ.
ხანდახან ქუჩაში ისმოდა, როგორ ვარ-
დებოდა ანჯამებიდან კარი — ამტვრევ-
დნენ, როცა არავინ პასუხობდათ.
ტყვეები სხვადასხვა მხარეს წაიყვანეს,
ერთ მათგანთან პრიმატი და გნომი
დარჩნენ.

ყოველი შემთხვევისათვის სამი თა-
ნამებრძოლი სახლთან ორ რიგად ჩამ-

წერივებულ ფარდულებთან მივიყვანე,
რათა დადარაჯებულიყვნენ, ღმერთმა
არ ქნას, უცებ ვინმე დაუბატიუებელი
გამომხტარიყო ან ფარდულიდან გა-
მომდვრალიყო საძაგელი და სხარტი.

ვენეოდი და უკან ვძრუნდებოდი,
რალაცამ რომ გამსჭვალა: უცებ პრი-
მატის გაყინული თვალები გამახსენდა,
როდესაც თავის ტყვეს ქეჩოში ჩაავლო
ხელი და უთხრა „წავიდეთ!“, მერე სახ-
ლიდან საეჭვოდ შორს წაიყვანა, სადაც
განმენდითი ოპერაცია ტარდებოდა. ეს
მიყრუებული ადგილი სანაგვე ორმოდ
იყო ქცეული.

ნაბიჯი ავუჩქარე და, როდესაც
ფარდულებიდან გამოვყავი თავი, ჩემ-
გან ზურგით მდგარი პრიმატი დავინა-
ხე და გნომი, რომელიც ავი ღიმილით
მიყურებდა.

— გაიქეცი! — ხმადაბლა, მაგრამ მკა-
ფიოდ უთხრა ტყვეს პრიმატმა. — თო-
რემ დაგხვრეტნ. მე კი ვიტყვი, რომ
დამისხლტი. გაიქეცი!

— შეჩერდი! — ვიღრიალე და შეძრწუ-
ნებისგან კინალამ გავიგუდე.

ყვირილზე ჩეჩინმა უკანმოუხედავად
მოკურცხლა, თუმცა ფეხი მავთულებს
გამოსდო, წაიფორხილა და პირქვე და-
ემხო. სწრაფადვე წამოდგა, რამდენი-
მე ნაბიჯის გადადგმალა მოასწრო და
უზუსტესად წასროლი ტყვია კეფაში
მოხვდა.

პრიმატი ჩემკენ შემობრუნდა. მას
ხელში პისტოლეტი ეჭირა.

დავდუმდი. სათქმელი ალარაფერი
იყო.

წუთის მერე მეთაურმა რამდენიმე
ჯანიან თანამებრძოლთან ერთად მო-
ირბინა.

— რა მოხდა? — თქვა და ახალწვეუ-
ლები შეათვალიერა, ხომ არ იყო მათზე
ნაფლეთი ჭრილობა, სისხლი და სიკ-
ვდილის სხვა ნიშანი.

— გაქცევის მცდელობისას... — დაიწ-
ყო პრიმატმა.

— შეწყვიტე! — თქვა მეთაურმა და
პრიმატს წამით თვალებში ჩახედა. —
მოკლედ... პრიმატო, — ძლივს ამოთქვა
და გადააფურთხა.

გამახსენდა, გაზაფხულის ნესტიან ღამეს როგორ ვემზადებოდით ჩეჩჩეთში წასასვლელად. ვიღებდით იარალს, ვითრევდით ყუმპარმტყურცნებს, მჭიდებს საიზოლაციო ლენტით ვამაგრებდით, ვტენიდით ზურგჩანთებს, ბარგს ვკრავდით, ბევრს ვენეოდით და ვხარ-სარებდით.

პრიმატის ცოლი მოვიდა ლამის ოთხ თუ დილის ხუთ საათზე და შავი თვალებით დერეფნის შუაში დადგა.

დაინახა თუ არა ქალი, გნომი გასახდელში შეიყუჟა: იჯდა იქ ენაჩავმენდილი და ცოტათი დათრგუნული.

პრიმატი ცოლთან მივიდა და ერთმანეთს უსიტყვოდ შეაცერდნენ.

მათ გვერდით ჩავლისას ყველაზე ფიცხი ახალწევეულებიც კი რატომლაც ჩუმდებოდნენ.

მეც უხმოდ ჩავიარე. ქალმა დამინახა და თავი დამიქნია: მოულოდნელად შევამჩნიე, რომ რამდენიმე თვის ორსული იქნებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა – ბავშვს არაფრით მოიცილებდა.

პრიმატის სახე იყო მშვიდი და ცივი, თითქოს მან თვითმფრინავით ნახევარი შავმინანიადაგიანი რუსეთი გადაკვეთა, მთებზე გაუნძრევლად დაეკიდა და მსხვერპლს მიზანში იღებდა, მერე კი უცებულ მუცელს დაუგდო ყური. არ ვიცი, იქ რა გაიგონა, მაგრამ ეს კი კარგად დამამახსოვრდა: შეიარაღებული ხალხით სავსე დერეფანი, დედის გინება, შუაში კი ყვითელი ნათურის ქვეშ დგას თეთრი ადამიანი, რომელსაც ყური უხილავი ნაყოფისათვის აქვს მიჭერილი.

„პრიმატი? მართლაც პრიმატი?“ – ვკითხე საკუთარ თავს, მივედი რა ცხედართან, რომლისთვისაც თითქოს კეფის ნაწილი კბილებით ამოეგლიჯათ.

კითხვაზე არავინ მიპასუხა.

დემობილიზაციის აღსანიშნავად პატარა ქეიფი მოვაწყვეთ. შუა მხიარულობისას ყაზარმებში დენი გავთიშეთ და გნომმა ყველა გაგვამზიარულა, დაინივლა წვრილი და გასაკვირად გულ-

წრფელი ხმით:

– დავბრმავდი! მე დავბრმავდი!
– მამა, რა მოგივიდა? – პრიმატმა ხუმრობა აიტაცა.

– შვილო, ეს შენ ხარ? – გამოეპასუხა გნომი. – სინათლეზე გამიყვანე, შვილო. ამ თავხედების ხორხოციდან ჩამავალ მზეზე გამიყვანე.

სწორედ ამ დროს შუქი მოვიდა და ყველამ დაინახა, როგორ მიჰყავდა პრიმატს ხელში აყვანილი გნომი.

შემდეგ ამ ისტორიას ნაღვლიანად ვიხსენებდით.

სახლში გამოფრენამდე ორი დღით ადრე პრიმატი და გნომი, პატარა ჯგუფთან ერთად, საგუშაგოდან, ღმერთმა უწყის, რა გზით გათოკილი საველე მეთაურის გამოსახსნელად მთისწინეთის ტყეებში გაემგზავრნენ. იქანდე ვერტმფრენით ჩააღწიეს, რამდენიმე ქვემო ტაგილელ თუ ზემო უფალეეილ სპეცრაზმელთან ერთად.

უმოწყალოდ, ჩექმებითა და კონდახით სახეჩამსხვრეული საველე მეთაური პირადად პრიმატმა აიყვანა ვერტმფრენში. სწორედ ის სპეცრაზმელები, არ მახსოვს რომელი ქალაქიდან, ვერტმფრენთან იდგნენ და იარაღი სხვადასხვა მხარეს მიეშვირათ. თავს იწონებდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვერავინ მოარტყამდათ ტყვიას. ასე ხდება ხოლმე დემობილიზაციის დასრულებისას. გნომი მოშორებით იგინებოდა.

მაშინვე ბუჩქებიდან ორი გასროლით დააწვინეს ქვემო ტაგილელი და ზემო უფალეეილი – ორივე. მოკლედ, მიწის გასანიყიერებლად ძირს დასცეს მყის და სამუდამოდ. გნომი ბალახებში ჩაიმალა და, როდესაც სროლა ატყდა, პრიმატის ძახილს არ უპასუხა. პრიმატი ვერტმფრენში რომ შეძვრა, ფრთები გაშმაგებით დატრიალდა იმის იმედად, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას.

ჩამოხტა რა ღმერთის შექმნილ მიწაზე ოფლიანი და სამხედრო ჩაფხუტის გარეშე, პრიმატმა წელში მოუხრელად, საჭირო მიმართულებით, დამიზნებით

ისროლა. მერე ერთბაშად ორ დაჭრილს სტაცია ხელი, ერთი ერთ მხარზე შეიგდო, მეორე – მეორეზე და საველე მეთაურთან მიიყვანა, რომელმაც, სროლის ხმა რომ გაიგო, ფეხებშეკრული აწრიალდა და სისხლით მიწებებული წამწამები აახამხამა – როგორც ფრენის უცოდინარმა პეპელამ ფრთები.

პრიმატი ახლა გნომისკენ გაიქცა, ბალახებიდან ამოათრია და ვერტმფრენში ხელით აიყვანა.

გნომს განაკანიც არ ჰქონდა. სანამ ვერტმფრენი აფრინდებოდა, მან თვალები დახუჭა და დაფიქრდა, თუ სად მოკლეს, თუმცა მისი სხეულის არც ერთი ნაწილი მტანჯველი ტკივილით არ გამოხმაურებია. მაშინ გნომმა პირი სიხარულით დააღო, რათა ეს ამბავი პრიმატისთვის უცნობებინა.

პრიმატი მოპირდაპირე მხარეს შავ გუბეში იჯდა, დუმდა და ვერაფერს ხედავდა. როგორც შემდეგ გაირკვა, მეორე ტყვია ფეხში მოხვდა, მესამე კი ზუსტად იღლიაში, იქ, სადაც მის თეთრ სხეულს ჯავშანი არ იცავდა.

კიდევ, ტყვიების ნამსხვრევები ჯავშანს მოხვდა და პრიმატის რამდენიმე ორგანო, ალბათ, საშინელი დარტყმისგან გასცდა, თუმცა ორგანოებს ყურადღებას ალარავინ აქცევდა: ისიც საკმარისი იყო, რომ პრიმატი რაღაც დროის მანძილზე, დაკარგული თვალით დარბოდა, რომელიც თავში მოხვედრილმა ცხელმა ტყვიამ გაუცვრიტა.

ქვემო ტაგილელი თუ ზემო უფალეილი ცოცხლები გადარჩენ, გნომი კი ჯილდოზე წარადგინეს.

შინ პრიმატის უზარმაზარი ცინკის კუბოთი ვბრუნდებოდით.

ცოლი ცხედარს მძვინვარე სახით შეხვდა და სახურავს ხელი ისეთი ძალით დაჰკრა, რომ, ალბათ, პრიმატმა საღი თვალი წამით გაახილა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

დაკრძალვაზე ქალი მდუმარედ, უცრემლოდ იდგა და, როცა სამარეში მინის ჩაყრის დრომ მოაწია, ხელში წითელი გოროხით მკვდარივით გაქვავდა. დაუცადეს, მერე კი წავიდნენ და მინის

ნაფხვენები გაიყოლიეს. მიწა იშლებოდა და იფანტებოდა.

გნომი არ ტიროდა, არამედ როგორდაც ზლუქუნებდა, მხრები უხტოდა, მისი გულმკერდი კი წინანდებურად საჩიტესავით უძლურად გამოიყურებოდა. საჩიტეში კი ვიღაც ლულუნებდა და ფრთებს ჩუმად იქნევდა.

პრიმატის ცოლი მიწას ხელს ისეთი ძალით უჭერდა, რომ თითებს შორის მთლიანად ჩამოიცალა და ხელისგულები წებოვანი გაუხდა.

ქალი ქელებში დასვრილი ხელებით მივიდა.

თავიდან მდუმარედ სვამდნენ, მერე ჩვეულებისამებრ ალაპარაკდნენ. გამუდმებით პრიმატის ცოლს, მის გაქვავებულ შუბლს და მკაცრად მოკუმულ ტუჩებს შევცეკოდი. თავი ვერ შევიკავე, მივედი და გვერდით მივუჯექი.

– როგორ ხარ? – თავით გამობერილ მუცელზე ვანიშნე.

ქალი დუმდა. მერე კი მოულოდნელად ხელზე ხელი გადამისვა.

– იცი, – თქვა ქალმა. – მან ცუდი დაავადება გადამდო, თანაც ფეხმძიმეს. რიგიანად მკურნალობაც შეუძლებელია, გადამდებიც არ შეიძლება იყო. მაგრამ, როგორც კი მოკლეს, იმავე დღეს ყველაფერი გაქრა. ექიმთან მივედი, შემამონმა – არაფერი აღმომაჩნდა, თითქოს არც არასოდეს მქონდა.

რამდენიმე თვის მერე პრიმატის ბინა გაქურდეს – მაშინ, როდესაც ქვრივი საკონსულტაციოდ იყო წასული. მთელი ფული მოხვეტეს, დიდი – უპატიებელი ცოდვა ჩაიდინეს; კიდევ მანქანის გასაღები წაიღეს და პირდაპირ ფარენიდან წაიყვანეს.

ქვრივმა შემთხვევიდან სამ დღეში დამირეკა, მთხოვა მივსულიყავი.

– არის რაიმე სიახლე? – ვკითხე.

მხრები აიჩეჩა.

– მე... ეჭვი მაქვს, – თქვა მან, თან უზარმაზარ მუცელზე ისვამდა ხელს. – ერთ ქალთან წავიდეთ, ის ჯადოქარია. აღარავის ხვდება, ამბობს, რომ მის სიმართლეს უბედურება მოაქვს. მამაჩემისგან დავალებულია და უარი ვერ

მითხვა.

გულში ჩავიცინე: ღმერთო ჩემო, რა-
ლა დროს ჯაფოქრებია, მაგრამ მაინც
წავედით - ქვრივს უარს ვერ ვეტყოდი.

კარი მეგობრულმა და ნათელმა
ქალმა გააღო. მოხუცი სულაც არ ეთ-
ქმოდა, არც შავი ტანსაცმელი ეცვა,
არც შარფი ჰქონდა მოსხმული - ისე-
თი საერთოდ არ ყოფილა, როგორადაც
წარმომედგინა. იღიმებოდა, თეთრი
კბილები ჰქონდა და უსახელო კაბა ეც-
ვა. ლამაზი იყო.

- ჩაის დალევთ? - შემოგვთავაზა.

- დავლევთ, - ვთქვი მე.

მაგიდასთან დავსხედით, კამფეტები
შევჭამეთ. მუცლიან ჭიქაში ცხელი და
არომატული ჩაი ესხა.

- ვინმეს ეძებთ? - იკითხა ნათელ-
მხილველმა.

- სახლი გამიძარცვეს, - უპასუხა
ქვრივმა. - ყველაფერი ისე სუფთადაა
გაკეთებული, ნამდვილად შინაურმა
გამქურდა: არაფერი უძებნია, იცოდა,
სად რა იდო.

ჯაფოქარმა თავი დაიქნია.

- მე... აი, ფოტოსურათი მოვიტანე,
- თქვა ქვივრმა.

მან ჩანთიდან ფოტოსურათი ამოი-
ლო, რამაც ერთი სასიამოვნო ჩეჩინური
დღე გამახსენა, როდესაც ვსვამდით,
მერე კი შუქი ჩაქრა, მერე ისევ ჩაირთო
და უკვე მთვრალებმა სურათი გადავი-
ლეთ. იმდენი ვიყავით, სურათში ძლივს
შევძვერით, ცხენებივით ფართომხრე-
ბიანები.

- აი, ამან გაგქურდა, - თქვა ჯა-
ფოქარმა და ლამაზი ფრჩხილით გნო-
მის სახეს შეეხო, - ხედავ, როგორია?
ისე დაჯდა, რომ ყველაზე მაღალი გა-
მოჩენილიყო. შეხედეთ, ის ხომ პატა-

რაა, არა? აქ კი საერთოდ არ ეტყობა,
რომ პატარაა. შენს ქმარზე დიდი ჩანს,
ქვრივო. ეს შენი ქმარია? - და პრიმატ-
ზე მიუთითა. - ის მკვდარია, მაგრამ
მისი შვილები კარგები იქნებიან. შენ
ტყუპები გეყოლება.

გაშტერებული ვიჯექი, ჩაის ჭიქა
ხელში ამითამაშდა.

გნომი რაზმიდან სამი თვის წინ გა-
თავისუფლდა და მას შემდეგ არავის
უნახავს.

- მასთან წავიდეთ! - სიბრაზისაგან
აცახცახებულმა კინალამ ქუჩაში ვიყვი-
რე. ალბათ, მკვლელობისთვისაც მზად
ვიყავი.

ქვრივმა გულგრილად დამიქნია თა-
ვი.

გნომის სახლი ქალაქგარეთ იყო,
ჩვენ იქ მალე მივედით. დარაბები და-
ეკეტათ, კარზე კი დიდი ბოქლომი და-
ედოთ.

მეზობლებს მიუუკაუნეთ, მათ დაგ-
ვიდასტურეს: დიახ, წავიდნენ. ყველანი
წავიდნენ: დედა, შვილი და თვითონ.

ჩვენ მანქანაში ჩავჯექით: მე -
ალელებული და გაბოროტებული,
ქვრივი - მშვიდი და წყნარი.

- განცხადება უნდა შეიტანო, -
ვნერვიულობდი, ვენეოდი, სახლს სი-
ძულვილით ვუყურებდი და ვფიქრობ-
დი, ხომ არ გადამეწვა. - იპოვიან იმ
არსებას და ჩაჯენენ.

- საჭირო არაა. - მიპასუხა ქვრივმა.
- საჭირო არაა? - ნერწყვი სასულე-
ში გადამცდა, კინალამ დავიხრჩვე.

- არ შეიძლება. ჩემი სერიოზას მე-
გობარი იყო. ამას არ ვიზამ.

მანქანა დავქოქე და დავიძარით.
ქვრივს ხელები უზარმაზარ მუცელზე
დაეწყო და იღიმებოდა.

რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა